1425
2009

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არსენალი

№ 16 (85). 7 – 20 აგვისტო. 2009. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.



## ხვითის ბრძოლის გმირები

## რუსეთ-საქართველოს ომი - ერთი წლის გადასახედიდან

## არმიას მაინც არ მივატოვებ!..

## ექსკლუზივი - „რეაქტიული“ ქართველი გოგონას ოცნებების ზენიტი

## „...ყველა ერთგული სამშობლოს ჩვენ აქ დავეცით!“

ეროვნული ბიბლიოთეკა



წელი განსჯისა და სწავლისთვის 7



რუსეთ–საქართველოს ომი: აგრესია დასავლეთ საქართველოში 21



რეაქტიული ქართველი გოგონას ოცნებების ზენიტი 38

საქართველოს სანაპირო დაცვის ახალი კატარღა 30






ხვითის ბრძოლის გმირები 16



არმიას მაინც არ მივატოვებ... 18

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


**კალეიდოსკოპი**

4 ახალი ამბები

**ანალიზი**

6 წელი განსჯისა და სწავლისათვის

**წვრთნები**

7 ტაქტიკური დაჯგუფება თავდაცვაში

**კონფლიქტის ზონა**

10 რა ელოდებათ ქართველ სამხედროებს ავღანეთში...

**ავიაცია ომში**

11 ციდან წამოსული საფრთხე...

**აგვისტოს ომი**

16 ხვითის ბრძოლის გმირები

**მებრძოლი**

18 არმიას მაინც არ მივატოვებ...

**მებრძოლი**

20 „ნანო, წავედი, სამშობლო უნდა დავიცვაო"

**აგვისტოს ომი**

21 რუსეთ-საქართველოს ომი: აგრესია დასავლეთ საქართველოში

**სანაპირო დაცვა**

26 25 ივლისს სანაპირო დაცვის დღე აღინიშნა

**სიახლე შეიარაღებაში**

30 საქართველოს სანაპირო დაცვის ახალი კატარღა

31 შვეულმფრენის ტიპის უპილოტო საფრენი აპარატი

**სპეცსამსახურები**

32 საქართველოს საგარეო დაზვერვა მითი და რეალობა

**ისტორიული პარალელები**

35 300 სპარტელი

**ქალი და არმია**

38 რეაქტიული ქართველი გოგონას ოცნებების ზენიტი

**საავიაციო შეიარაღება**

42 საავიაციო ტყვიამფრქვევები და ქვემეხები

**რეგიონი**

46 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა...

**იდენტიფიკაცია**

48 პირადი ამოსაცნობი ნიშნების შექმნის ისტორია

**კროსვორდი**

52 არსენალვორდი

**არსენალის იარაღის მაღაზია**

53 Carl Gustaf-ი – 50 წელი შვედეთის არმიის არსენალში


პალიტრა მედია

## რედაქტორის სვეტი

შარშანდელი აგვისტოს ომის წლისთავზეც არა გვაქვს გარანტია, რომ საბრძოლო მოქმედებები არ განახლდება. სეპარატისტთა ლიდერი კოკოითი ახალ აბსურდულ პრეტენზიებს უყენებს საქართველოს. ჩანს, კრემლმა მორიგი დავალება მისცა, ისევე როგორც შარშან, ახლაც მწყობრიდან გამოიყვანოს საქართველოს ხელისუფლება და საპასუხო ნაბიჯი ცხელ გულზე გადაადგმევინოს.

გვინდა თუ არა, ცხინვალის რეგიონსა და გალის რაიონში პროვოკაციები გახშირდება. რუსეთის ხელისუფლებას საქართველოში მუდმივი დაძაბულობა სჭირდება, რაც უცხოელ ინვესტორებს დააფიქრებს, დაიჭირონ თუ არა საქმე ოფიციალურ თბილისთან...

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ქორქოლიანი*


ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი"
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 38-26-74;
38-26-73



რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია



გადაცემულია დასაბეჭდად
03.07.2009

გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©
რედაქციის მისამართია: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 37-78-07; 38-78-70
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის ორ კვირაში ერთხელ პარასკევს


გარეკანზე
ნინო შლამოვას ფოტო

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოთხმა სახელმწიფომ Eurofighter Typhoon-ები იყიდა




კონსორციუმ Eurofighter-ის ოთხმა წევრმა ქვეყანამ ხელი მოაწერა კონტრაქტს 112 მრავალმიზნობრივი გამანადგურებელ Eurofighter Typhoon-ის შესყიდვაზე. თვითმფრინავების ღირებულება დაახლოებით 9 მლრდ ევროს შეადგენს.

გერმანიის ბუნდესვერის მონაცემებით, შეთანხმება გაფორმდა NATO-ს თვითმფრინავ Eurofighter-ებისა და Tornado-ების განვითარების, წარმოებისა და მიწოდების (Nato Eurofighter and Tortnado Development, Production and Logistics Agency, NETMA) სააგენტოსა და ოთხ სახელმწიფოს შორის, რომლებიც ამ პროგრამის პარტნიორები არიან. ესენი არიან დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია და ესპანეთი.

1998 წელს ამ ქვეყნებმა, რომლებმაც ევროპული დამუშავების 629 საბრძოლო თვითმფრინავი შეუკვეთეს, გადაწყვიტეს მიწოდება 2017 წლამდე სამ ტრანშად გაყონ. მესამე ტრანშის ფარგლებში ქვეყანა-პარტნიორებს უნდა მიეღოთ 236 გამანადგურებელი, მაგრამ 2009 წლის მარტში გადაწყდა მისი ორ ეტაპად — 3A და 3B-დ დაყოფა. პირველი ითვალისწინებს დიდი ბრიტანეთისათვის, გერმანიისათვის, იტალიისა და ესპანეთისათვის 112 მანქანის, მეორე კი კიდევ 124 მანქანის მიწოდებას.

გერმანია პირველი სახელმწიფოა, რომელმაც განაცხადა, რომ შესაძლოა მესამე ტრანშის გამანადგურებლების რიცხოვნობა 37 ერთეულამდე შემცირობს. გერმანელი მოხელეების აზრით, ეს საშუალებას მისცემს ქვეყნის ბიუჯეტს მილიარდი ევრო დაზოგოს, 143 მანქანა კი, როგორც გერმანიის მთავრობას მიაჩნია, გერმანიის არმიის მოთხოვნებს სავსებით დააკმაყოფილებს.

# უკრაინის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა EVRO-2012-ისთვის NATO-ს სისტემაში გაწევრდება

უკრაინის საჰაერო ძალები ფეხბურთის ჩემპიონატ EVRO-2012-ზე მოსალოდნელი საფრთხეებისათვის ემზადებიან. სამხედროები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ობიექტების ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების სრულყოფას. 2009 წლის ბოლოს უკრაინის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მორიგე ძალები NATO-ს საჰაერო მდგომარეობის მონაცემთა გაცვლის საერთო სისტემას მიუერთდებიან. ეს შესაძლო საფრთხეებზე ადეკვატურად და დროულად რეაგირებისთვის კეთდება. მოჩმზადების დონის ასამაღლებლად ინტენსიურად ატარებენ ჯარების სამეთაურო-საშტაბო კომპლექსურ სწავლებებს, რაც მაქსიმალურად არის მიახლოებული რეალურს. ქვედანაყოფები ამუშავებენ საბრძოლო სროლას. სწავლებები მიმდინარეობს უკრაინის პოლიგონ „ჩაუდაზე", ასევე რუსეთის პოლიგონებზე: „ტელემბასა" და „აშულუკზე". სამხედროები ამუშავებენ ასევე „ჰაერი-ჰაერი" კლასის რაკეტების გაშვებასა და ბომბტყორცნას.

# სეული აშშ-ის ნახმარ შვეულმფრენებს აღარ იყიდის

სამხრეთ კორეამ, შესაძლოა, უარი თქვას ამერიკული დამრტყმელი შვეულმფრენ Apache-ების შესყიდვაზე და თავის არმიას საკუთარი წარმოების მანქანები მიაწოდოს.

ადრე სეულს განზრახული ჰქონდა გამოყენებაში არსებული მაკომპლექტებლების დიდი რაოდენობით ყიდვა, რამაც DAPA-ს დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. პოტენციურ მყიდველს ასევე უნდოდა, საკუთარი წარმოების მაკომპლექტებლებით შვეულმფრენების სრულყოფა, რასაც ამერიკულმა მხარემ „ძნელად შესასრულებელი" უწოდა.

ამჟამად სამხრეთ კორეაში აზრთა სხვადასხვაობაა სამამულო წარმოების დამრტყმელი შვეულმფრენის შექმნის თაობაზე. პროგრამა KAH (Korea Attack Hellicopter)-ის თანახმად, დაგეგმილია დაახლოებით 270 მანქანის აგება ერთ-ერთი უცხოელი მწარმოებლის დახმარებით. ეს პროექტი 8 მლრდ დოლარად არის შეფასებული. სამხედრო ექსპერტების აზრით, სეულისთვის უფრო მომგებიანი იქნება უცხოური ტექნიკის შესყიდვა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფრანგულმა კონტინგენტმა ახალი შვეულმფრენები მიიღო

ავღანეთის ტერიტორიაზე მომსახურე საფრანგეთის სამხედრო მოსამსახურეებმა კომპანია Eurocopter-ის წარმოების სამი ახალი დამრტყმელი შვეულმფრენი Tiger HAP-ი მიიღეს. შვეულმფრენების პარკის განახლება საფრანგეთის სამხედრო უწყება აიძულა კრიტიკამ, რაც საერთაშორისო ოპერაციაში კონტინგენტის სუსტ ტექნიკურ აღჭურვილობას შეეხებოდა. კრიტიკის მიზეზი იყო 2008 წლის აგვისტოში ათეულობით ფრანგი სამხედროს დაღუპვა სარობის რაიონში, ავღანეთის დედაქალაქიდან 50 კილომეტრში.



შვეულმფრენები Tiger HAP-ები აღჭურვილია 30-მილიმეტრიანი ქვემეხებითა და მართვადი სარაკეტო შეიარაღებით. საფრანგეთის კონტინგენტი, რომელიც ქაბულშია ბაზირებული, მათ სამ საბრძოლო სამძებრო-სამაშველო მანქანა Caracal EC 725-ებსა და სამ მსუბუქ სადაზვერვო შვეულმფრენ Gazelle-სთან ერთად გამოიყენებს.

შეგახსენებთ, რომ ამჟამად საფრანგეთის სამხედრო კონტინგენტი ავღანეთში დაახლოებით 2800 სამხედრო მოსამსახურეს ითვლის. ამერიკის ხელმძღვანელობის მიმართვის პასუხად ქვეყნის მთავრობა ადრეც მზად იყო გაეზარდა კონტინგენტის რიცხოვნობა.

# პენტაგონმა პარტნიორებს 11 მილიარდის იარაღი მიაწოდა

2008 ფინანსურ წელს აშშ-ის სამხედრო უწყებამ უცხოეთის ქვეყნებს პროგრამა „სამხედრო ტექნიკის უცხოური ქვეყნებისთვის მიწოდების" ფარგლებში (The Foreign Military Sales) დაახლოებით 11 მლრდ დოლარის თავდაცვითი ტექნიკა მიაწოდა. ეს დაახლოებით 1 მლრდ-ზე ნაკლებია 2007 ფინანსური წლის მიწოდებაზე, თუმც შეთანხმებათა რაოდენობა, რომლებიც პროგრამის ფარგლებში გაფორმდა, ბოლო დროს საკმაოდ გაიზარდა. კერძოდ, 2005 წელს იარაღის მიწოდებაზე გარიგებების ღირებულებამ 9,5 მლრდ დოლარი, 2006 წელს — 18 მლრდ, 2008 წელს კი 36 მლრდ დოლარი შეადგინა.

2008 წელს მიწოდებული შეიარაღების გაიაფება, შესაძლოა, გამოწვეულია იმით, რომ ბოლო დროს დადებული შეთანხმებები ძვირად ღირებული ტექნიკის მიწოდებას გულისხმობს, რომელთა გადაცემას შემკვეთისათვის წლები დასჭირდება. ამიტომ, ანალიტიკოსების აზრით, უახლოეს რამდენიმე წელიწადში ეს მაჩვენებელი მკვეთრად უნდა გაიზარდოს.

ამერიკული პროგრამის ძირითადი პარტნიორი იყო ისრაელი, რომელმაც 1,36 მლრდ დოლარად ღირებული სამხედრო პროდუქცია შეისყიდა. ამ სიაში 2007 წელს პირველ ადგილზე იყო პოლონეთი — 1,5 მლრდ დოლარი, რომელიც ახლა მეხუთე ადგილზეა (733 მლნ დოლარი). ლიდერებს შორის არიან საუდის არაბეთი (809 მლნ დოლარი), სამხრეთი კორეა (799 მლნ დოლარი) და ეგვიპტე (788 მლნ დოლარი).

# Bae Systems-ი „ჰამერებისათვის" უსაფრთხო ფანჯრებს მიაწვდის

ბრიტანულმა კორპორაცია Bae Systems-მა მიიღო აშშ-ის არმიის შეკვეთა საავტომობილო ტექნიკის ავარიული დატოვების ფანჯრის 5325 კომპლექტზე (Vehcile Emergency Escape (VEE) Window). კონტრაქტის ღირებულება 42 მლნ დოლარს შეადგენს.

ფანჯრებს სერია „ჰამერის" გაზრდილი ნაღმსაწინააღმდეგო დაცვის M1151-ს ავტომობილების თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობებისგან დასაცავად გამოიყენებენ. ფანჯრები დამზადებულია კორპორაცია VEE Window-ის დაპატენტებული ტექნოლოგიით, რაც საფრთხის შემთხვევაში სამხედროს საშუალებას აძლევს მანქანა საქარე ფანჯრიდან დატოვოს.

კორპორაცია Bae Systems-ის პროდუქცია მოითხოვს მინიმალურ ტექნიკურ მომსახურებასა და მისი ექსპლუატაცია ძვირი არ ჯდება. ის შეიძლება დაყენდეს აშშ-ის საზღვაო ქვეითების კორპუსისა და არმიის ტექნიკური პერსონალის ჯავშანმანქანებზეც.

ადრე ამერიკელი სამხედროები უკმაყოფილო იყვნენ „ჰამერების" უსაფრთხოების ხარისხით. ამ მანქანების, რომლებსაც ერაყსა და ავღანეთში იყენებენ, ფანჯრების ჯავშანი აძნელებდა მის სწრაფად დატოვებას, როცა გადაბრუნდებოდა, წყალში ჩავარდებოდა ან ცეცხლი წაეკიდებოდა. ამ დროს კარებიც იბლოკებოდა. გარდა ამისა, მანქანა ნაკლებად იყო დაცული ნაღმებისა და თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობებისაგან, რის გამოც ამერიკელებმა მათი ტექნიკის უფრო დაცული ნიმუშებით შეცვლა დაიწყეს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# წელი განსჯისა და სწავლისთვის

## 2008 წლის აგვისტოს ომის წლისთავზე ქართული არმია ბრძოლის ახალ ტაქტიკას ამუშავებს, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია...



გასული წლის აგვისტოს ომიდან ერთი წელი გავიდა, — წელი შიშის, განცდების, სირცხვილის, გააზრების, სწავლის...

რა მოგვიტანა აგვისტოს რამდენიმედღიანმა ომმა?

სოხუმისა და ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმები რუსეთის საოკუპაციო ჯარების ფრთებქვეშ გაძლიერდნენ და მათ უკვე ადმინისტრაციული საზღვრის სახელმწიფოდ გადაქცევა დაიწყეს.

მართალია, რუსეთმა ჩამოიხსნა ე.წ. მშვიდობისმყოფლის ნიღაბი და საოკუპაციო ჯარების სახელი დაირქვა, მაგრამ არც გაერო და არც ევროკავშირი, ჩვენდა სამწუხაროდ, რუსეთს ოკუპანტად ოფიციალურად არ მოიხსენიებს. ის ფაქტი, რომ მოსკოვი არღვევს მედვედევისარკოზის შეთანხმებას, ევროკავშირში მხოლოდ „შეშფოთებას“ იწვევს...

პოლიტიკური თვალსაზრისით სეპარატისტები მთლად კმაყოფილი არ უნდა იყვნენ, რადგან რუსეთის გარდა, ისინი მხოლოდ ნიკარაგუამ (ისიც მხოლოდ პრეზიდენტმა, რაც პარლამენტს არ დაუმტკიცებია) და „ჰესბოლაჰისა“ და „ჰამასის“ ტერორისტულმა დაჯგუფებებმა ცნეს.

სამხედრო თვალსაზრისით საქმე ბევრად უფრო რთულადაა. რუსეთმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე თითო-თითო სამხედრო ბაზა შექმნა, თითოეული 3800 კაცის შემადგენლობით. ეს ერთი რუსული მოტომსროლელი ბრიგადის ტოლია. ბაზებში განთავსებულია საშტატო შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა.

თბილისთან 30-ოდე კმ-ში რუსული სატანკო დანაყოფებისა და შორსმსროლელი არტილერიის განთავსება საგანგაშოზე მეტია.

გასული წლისგან განსხვავებით, მოწინააღმდეგეს აღარ მოუწევს არც როკის ვიწრო გვირაბში გამოძრომა და არც ოჩამჩირეში, ზღვიდან დესანტის გადმოსხმა.

მოწინააღმდეგის ასეთი სიახლოვე აღმოსავლეთში თბილისთან, გორთან, ცენტრალურ ავტომაგისტრალსა და რკინიგზის ხაზთან, ხოლო დასავლეთში ზუგდიდსა და ფოთთან, ქართული არმიისაგან მოქმედების ახალ ტაქტიკას მოითხოვს.

ივლისის ბოლოს ორფოლოში გამართულ სწავლებაზე „ფარი-2009“ მართლაც გათამაშდა ახალი ტაქტიკით ბრძოლა, — თავდაცვაში მყოფმა ავტონომიურად მოქმედმა ტაქტიკურმა ჯგუფებმა ჯერ შეაჩერა ბრიგადის დონის მოწინააღმდეგე, ხოლო შემდეგ კონტრიერიშზე გადავიდა და თავდაცვის ზღუდე აღადგინა.

ავტონომიურად მოქმედი ტაქტიკური დაჯგუფების მოქმედება ახალი ხილია ქართული არმიისთვის, მაგრამ მისი სწორად გამოყენების შემთხვევაში დანაყოფების მართვა უფრო ოპერატიული და ეფექტიანი ხდება.

გვინდა თუ არა, აგვისტოს ომში მიღებულმა მწარე გამოცდილებამ საქართველოს შეიარაღებული ძალების მოქმედების ტაქტიკა შეცვალა. თუკი მანამდე ყურადღება შეტევით ოპერაციებზე იყო გამახვილებული, ომის შემდეგ გაერთიანებულმა შტაბმა აქცენტი თავდაცვით ოპერაციებზე გადაიტანა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს მეორე უკიდურესობაში ჩავცვივდეთ და სულ დავივიწყოთ შეტევითი ოპერაციები, სადაზვერვო-სადივერსიო გასვლები მტრის ზურგში, ავიაციის ბომბებითა და რაკეტებით თავდასხმა.

თავდაცვითი ოპერაციებისთვის მზადება წინა პლანზე აყენებს საჰაერო (თუმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა ჰაერიდან დაცვა შეტევის დროსაც ძალზე აუცილებელია, რაც აგვისტოს ომმა ცხადყო) და ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის საბრძოლო ტექნიკით არმიის მაქსიმალურად გაჯერებას.

ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს შეიარაღების შესყიდვაში პრიორიტეტების გადახედვასა და ხარისხიანი იარაღის ყიდვას, რაც უნდა გვიზღუდავდეს იარაღის იმპორტს მოსკოვი.

აგვისტოს ომის მწარე გამოცდილებამ ქართული არმიის პირადი შემადგენლობის ნაწილის არცთუ მაღალი მორალურ-ფსიქოლოგიური მხარე გამოაამჟღავნა. ამას ობიექტური და სუბიექტური მიზეზები ჰქონდა. ობიექტურ მიზეზად შეიძლება ის გარემოებაც დასახელდეს, რომ ჯარის უდიდესი ნაწილი პირველად მოხვდა მტრის საჰაერო და საარტილერიო დაბომბვაში, რომლის დროსაც მოქცევა მათთვის არ უსწავლებიათ. ისინი ძირითადად ერაყში ჩეკპოინტებზე სადგომად იყვნენ გაწვრთნილი....

რაც შეეხება სუბიექტურ მიზეზს, უნდა ვაღიაროთ, რომ ბრიგადების რაოდენობის გაზრდის მიზნით და პირადი შემადგენლობის ნაკლებობის გამო ხშირად კონტრაქტს აფორმებდნენ მათთანაც, ვისაც საბრძოლო შემართება არ ჰქონდათ და დარწმუნებული იყვნენ, რომ ყოველ საღამოს შინ მშვიდად დაბრუნდებოდნენ და ცხელ ჩაის დალევდნენ.

მაგრამ ერთ საშინელ დღეს ისინი ფრონტის ხაზზე აღმოჩნდნენ, სადაც ნამდვილ ტყვიებს ისროდნენ...

არ შეიძლება იმ კაპრალის თუ ჯარისკაცის გამართლება, რომელმაც პირადი იარაღი — ავტომატი გადააგდო უკან დახევისა თუ გამოქცევის დროს. ამას ვერ გაამართლებენ დაბნეული თუ უცოდინარი მეთაურის ბრძანებით. ბოლოს და ბოლოს, თუკი შეუძლებელი იყო ავტომატით გაქცევა, მწყობრიდან გამოეყვანათ, მიწაში ჩაეფლათ და დაემალათ, მდინარეში გადაეგდოთ და გამართული მტრისთვის არ ჩაებარებინათ! ეს სამხედრო მოსამსახურის ვალია!

რუსმა ოკუპანტებმა გორში ერთ-ერთი ქართული სამხედრო ნაწილის კედელზე წარწერა დაგვიტოვეს: „ამხანაგო ქართველებო, ისწავლეთ სამხედრო საქმე, მოვალთ და შეგამოწმებთ!“

დიახ, უნდა ვისწავლოთ ბრძოლა. დაე რუსი ოკუპანტები ისევ მოვიდნენ, „შეგვამოწმონ“, მაგრამ უკან ველარ გაბრუნდებიან!

*ირაკლი ალადაშვილი*



სპეციალური ოპერაციების დაჯგუფების მებრძოლები მტრის ობიექტის განადგურებისას

# ტაქტიკური დაჯგუფება თავდაცვაში

## სწავლება „ფარი 2009“-ს დეტალები

**რუსულ-ქართული ომის შემდეგ ქართულ არმიაში სიახლეების შესახებ „არსენალის“ მკითხველი კარგადაა ინფორმირებული. თავდაცვითი სახის სწავლებები ერთმანეთის მიყოლებით სხვადასხვა სამხედრო პოლიგონზე ჩატარდა. ომის წლისთავზე კი ბოლო ორი წლის განმავლობაში ყველაზე მასშტაბური თავდაცვითი ტიპის წვრთნა გაიმართა.**

„ფარი 2009“ თვისებრივად ახალი სიტყვაა ქართული არმიის გადამზადების საქმეში. ამ სწავლებას ქვეით ბრიგადებში ჩატარებული სწავლებები უძღოდა წინ. მაგალითად, ყველა ბრიგადაში ბატალიონები სხვადასხვა დონის სწავლებებს გადიოდნენ. ასეთივე პრინციპით ხდებოდა ჯავშანტექნიკის ეკიპაჟებისა და საჰაერო ძალების წარმომადგენელთა გადამზადება. მასშტაბური სწავლება ორფოლოში 4 ივლისს დაიწყო. სწავლება სამ ეტაპად ჩატარდა და მასში ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა. პირველი ორი ეტაპი სამეთაურო-საშტაბო სწავლებას დაეთმო. ეს ეტაპები ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ამ დროს ოფიცრების გადამზადება ხდება. ბრძოლის ხაზისგან განსხვავებით, შტაბის მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს, — კერძოდ, ბრძოლის წარმოების, ლოგისტიკური მომარაგების, სამედიცინო ევაკუაციისა და სხვა მმართველობითი ამოცანების დაგეგმვა. თუ შტაბი კარგად მუშაობს, ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდება.

სამეთაურო-საშტაბო სწავლების შემდეგ საველე გადამზადება იგეგმება. საველე გადამზადებაც, როგორც წესი, რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს. თავდაპირველად ყურადღება ექცევა სამხედროების ინდივიდუალურ მომზადებას, ბრძანებაზე რეაგირებასა და ა.შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართული ტანკები კონტრიერიშზე გადავიდნენ

ამის მერე იწყება დანაყოფების მომზადება ათეულის დონეზე, შემდეგ ოცეულის, ასეულისა და ასე, მასშტაბი ბატალიონის დონემდე იზრდება. ბოლოს კი სწავლებაში მონაწილე ყველა დანაყოფი ერთად ასრულებს პირობით ამოცანას.

სწორედ ასეთი სწავლების გაშუქების შესაძლებლობა მოგვეცა ჟურნალისტებს ორფოლოს სამხედრო პოლიგონზე.

მასშტაბური სწავლება „ფარი 2009“ 1-ელ აგვისტოს დასრულდა, საჩვენებელი წვრთნა კი 30 ივლისს დაიგეგმა. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, საქართველოში აკრედიტებული უცხო ქვეყნების სამხედრო ატაშეები, პარლამენტის წევრები, თავდაცვის მინისტრი და გაერთიანებული შტაბის მაღალი რანგის სამხედრო მოსამსახურეები. სწავლებაში მონაწილეობდა დაახლოებით ერთი თვის წინ პირველ ქვეით ბრიგადაში ჩამოყალიბებული მეთერთმეტე მოტომსროლელი ბატალიონი. გადამზადების ამ პროგრამას მასთან ერთად გადიოდნენ შემდეგი დანაყოფები: მესამე ქვეითი ბრიგადის სატანკო ასეული, პირველი და მეორე საარტილერიო ბრიგადების ოცეულები (თვითმავალი საარტილერიო საშუალება „დანები“ და რეაქტიული არტილერია, „გრადები“), პირველი და მეორე ქვეითი ბრიგადის არტილერისტები, საზენიტო დივიზიონი, აგრეთვე ავიაციისა და სპეციალური ოპერაციების დაჯგუფების წარმომადგენლები. ყველა დანაყოფი ერთ ტაქტიკურ დაჯგუფებად იყო გაერთიანებული, რომელსაც მეთერთმეტე მოტომსროლელი ბატალიონის მეთაური მაიორი ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა.

ტაქტიკური დაჯგუფება ქართულ არმიაში სიახლეა. დასავლური ქვეყნები კი ამ ტაქტიკას დიდი ხანია იყენებენ. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები ავღანეთში ამ ტაქტიკით მოქმედებს. ტაქტიკური ჯგუფი სხვადასხვა დანიშნულებისა და შეიარაღების ქვედანაყოფებს აერთიანებს. მას შესწევს ძალა, დამოუკიდებლად აწარმოოს თავდაცვითი ოპერაცია. მას აღარ სჭირდება რომელიმე სხვა დანაყოფის მიმაგრება, რადგან თავად აქვს არტილერია, საზენიტო საშუალებები, ავიაცია, ჯავშანტექნიკა, ჰყავს ქვეითი ძალა და სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფი. აქვს ყველა საჭირო კომპონენტი, რაც ბრძოლისთვის აუცილებელია. „ფარი 2009“-ს დასკვნით სწავლებაზე სწორედ ასეთი ტაქტიკური დაჯგუფება წარდგა სტუმრების წინაშე. ტაქტიკური დაჯგუფება კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად იქმნება. ამ შემთხვევაში ამოცანა ასეთი იყო: სამხედროებს მოწინააღმდეგის ჭარბი ძალები, დაახლოებით ბრიგადის დონის დანაყოფი, უნდა შეეკავებინათ, კონტრიერიშზე გადასულიყვნენ და გაენადგურებინათ და აღედგინათ თავდაცვითი ზღუდე. ამ დროს სხვადასხვა დანიშნულების დანაყოფებმა აუცილებლად კოორდინირებულად უნდა იმოქმედონ.

თავდაპირველად სპეციალური ოპერაციების დაჯგუფების მებრძოლებმა საბრძოლო მანქანა „ჰამერების“ დახმარებით პირობითი მოწინააღმდეგის ტაქ-

152 მმ-იანი თვითმავალი „დანების“ ზალპი



ტიკური მომარაგების ბაზები გაანადგურეს. ეს იყო ქართული „ჰამერების“ პირველი სასწავლო ნათლობა. სპეცოპერაციის შემდეგ სწავლებაში სამი ქართული მოიერიშე Су-25 ჩაერთო. მათი მანევრების შემდეგ ორფოლოს პოლიგონზე ჯერ ორი Ми-24 ტიპის, შემდეგ ასევე ორი Ми-8 ტიპის შვეულმფრენი გამოჩნდა. მათი ეფექტიანი ცეცხლით პირობითი მოწინააღმდეგის აღმნიშვნელი სამიზნეები მალე ალში გაეხვია.

ავიაციის შეტევის შემდეგ საქმეში არტილერია ჩაერთო. „დანების“ გადამღობ ცეცხლს რეაქტიული ზალპი მოჰყვა. „გრადებმა“ რამდენიმე ზალპით სამიზნეები გააქრეს. ეს იყო სწორი ტაქტიკური გათვლა. თუმცა, რეალობიდან


„გრადები“ რაკეტებს პირდაპირი დამიზნებით ისვრიან



გამომდინარე, ამ დროს სავარაუდოა, რომ მოწინააღმდეგემ გამაგრებულ პოზიციაზე შემოჭრა კვლავ სცადოს. საჭირო ხდება კონტრიერიში და ის არ აყოვნებს. ჯერ ჩასანგრებული ჯავშანტექნიკა ხსნის ცეცხლს საზენიტო საშუალებებისა და სხვა ტიპის ტანკსაწინააღმდეგო დანაყოფების დახმარებით, შემდეგ კი პირობითი მოწინააღმდეგისკენ ქართული ტანკები დაიძვრებიან. ტანკების უშუალო ფუნქცია ამ დროს კონტრშეტევის მომზადებაა. კონტრშეტევას კი ქვეითები ახალი სადესანტო-საბრძოლო მანქანების „ეჯდერების“ დახმარებით იწყებენ. ეს გამანადგურებელი დარტყმაა, რომელიც ქირურგიულ ოპერაციას ჰგავს. ქვეითებმა საბოლოოდ უნდა გაწმინდონ გამაგრებული პოზიცია მოწინააღმდეგისგან და აღადგინონ თავდაცვითი ზღუდე.

სწავლების მსვლელობისას საზენიტო საშუალებები ერთი წამითაც არ გაჩერებულან. სწავლების წარმატებით დასრულება მონაწილე სამხედროებს თავად პრეზიდენტმაც მიულოცა. მიხეილ სააკაშვილის თქმით, ეს არ იყო მხოლოდ საჩვენებელი სწავლება. აქ დიდი პროფესიონალიზმი, და რაც მთავარია, გამოცდილების რეალობაში დანერგვა გამოჩნდა. თავდაცვის მინისტრ დავით სიხარულიძის განცხადებით, საქართველოს შეიარაღებული ძალები ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისთვის ანალოგიურ სწავლებებს კვლავაც ჩაატარებენ.

*გიორგი თუხარელი*
*ტელეკომპანია*
*„საქართველო“*
*სპეციალურად*
*„არსენალისთვის“*


ქართული არმიის ახალი შეიარაღება ჯავშანტრანსპორტიორი „დრაკონი“, ჯავშანმანქანები „კობრა“ და „ჰამერი“

ეროვნული ბიბლიოთეკა




# რა ელოდებათ ქართველ სამხედროებს ავღანეთში...

ავღანეთში სპეციალური ტურის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ ნათელი ხდება. ხვდები რადიკალურად განსხვავებულ გარემოში, სადაც დღისით საშინელი სიცხეა, ხოლო ღამით — სიცივე. თუკი ამ ყველაფერს დაუმატებთ მტვერსა და ტერორისტების საფრთხეს, ავღანეთს მიიღებთ.

ავღანეთში ჩასვლის დროს ამ ქვეყანაში NATO-ს შეიარაღებული ძალები რამდენიმე ანტიტერორისტულ ოპერაციას ატარებდნენ. ავღანეთის სამხრეთით, ჰელმანდის რეგიონში ვითარება უკიდურესად დაძაბული იყო. ჟურნალისტების ჯგუფი იმ დროს ჩავედით ავღანეთში, როდესაც ამერიკელ სამხედროებსა და თალიბებს შორის რამდენიმე დიდი შეტაკება მოხდა. როგორც წესი, თალიბები პარტიზანული ომის პრინციპებით მოქმედებენ. მათ არ გააჩნიათ თანამედროვე ჯავშანტექნიკა და გამაგრებული ობიექტები. პაკისტანისა და ირანის საზღვართან მდებარე ჰელმანდის რეგიონი ავღანეთის სამხრეთი რეგიონია და როგორც სამხედროებმა გაგვიმარტეს, თალიბები ტყვია-წამლის შესავსებად ამ ქვეყნებში გადადიან და შემდეგ, უკან გამობრუნებულები, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შტაბბინებს ესხმიან თავს. თალიბები სხვა მეთოდებსაც იყენებენ. მაგალითად, როდესაც ჟურნალისტები ჩაგჩარანის რაიონში ვიყავით, ჰერათის სამხედრო ბაზაში, იქ ასეთი რამ გვიამბეს: თალიბებისგან შეგულიანებული მოსახლეობა ბაზის ტერიტორიას მიუახლოვდა, ისინი გაურკვეველ მოთხოვნებს აყენებდნენ. ამ ბაზაში, სადაც ლიტველი სამხედროები არიან დისლოცირებული, იმ დროს ქართველი სამხედრო ექიმი ავთანდილ გვალიაც იყო. სამხედროებს ძალისთვის არ მიუმართავთ, მაგრამ ვითარება უკიდურესად დაიძაბა. საჭირო გახდა კორდონის გაკეთება, რათა ავღანელებს ბაზაში შეღწევა არ მოეხერხებინათ, და ამ დროს გაისმა გასროლის ხმა. ლიტველი სამხედრო ლავიწის ძვალთან მოხვედრილმა ტყვიამ იმსხვერპლა. ქართველი სამხედრო ექიმის თქმით, სამხედროს ტყვიამ მთავარი არტერია დაუზიანა და შეუძლებელი გამხდარა მისთვის სისხლდენის შეჩერება.

საზოგადოდ, ავღანელი მოსახლეობა, აგრესიული არ არის. ასეთი შემთხვევები მხოლოდ მაშინ ხდება, როცა მათ თალიბები წააქეზებენ. დიდ როლს თამაშობს ისიც, რომ მოსახლეობის განათლების დონე უკიდურესად დაბალია, ბევრმა წერა-კითხვაც კი არ იცის. ყურანის მოშველიიებით მათი მართვა და დეზინფორმირება ძალიან ადვილია. ტერორისტები მოსახლეობას არწმუნებენ, რომ ამერიკელი თუ სხვა სამხედროს მოკვლას მათ ყურანი ავალდებულებს. ამიტომაც არის, რომ ალიანსის შეიარაღებული ძალები ავღანეთის მთელ ტერიტორიაზე დიდ ყურადღებას აქცევენ განათლებას.

ამ ქვეყანაში ვიზიტის დროს ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა, რამდენიმე სასწავლებელს გავცნობოდით. სკოლების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე მთლიანად ალიანსი ზრუნავს. შექმნილია ბიბლიოთეკები და კომპიუტერული ცენტრები. თვით ჩვეულებრივ პროვინციულ სოფელშიც კი შეხვდებით ასეთ სასწავლო ცენტრებს. რა თქმა უნდა, ყველგან სასწავლებლების გახსნა ვერ ხერხდება. ავღანეთი მაღალმთიანი რეგიონია და ზოგიერთ აულში მისვლა მხოლოდ ფეხითაა შესაძლებელი, ისიც საცალფეხო ბილიკებით.

თალიბების ფინანსური წყაროები რამდენიმე სახისაა. ერთ-ერთია საზღვარგარეთის დახმარება. ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა ქაბულში გაგვიცხადა, რომ გარე დაფინანსება საკმაოდ დიდი ოდენობის თანხასა და შეიარაღებას გულისხმობს და, ძირითადად, შუა და ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან მოდის. გარდა ამისა, თალიბების შემოსავლის წყარო ყაყაჩოების პლანტაციებია, ოპიუმი თალიბების მასაზრდოებელი საშუალებაა. როგორც გვითხრეს, ოპიუმის 90%-ზე მეტი მსოფლიოში სწორედ ავღანეთიდან ხვდება. როდესაც ჟურნალისტები ერთ-ერთ სოფელში მიგვიყვანეს, ერთი რამ შევნიშნე: ავღანურ სახლებს გარს საკმაოდ მაღალი გალავანი არტყამს. ფაქტობრივად, შეუძლებელია, დაინახო, რა ხდება ეზოში. როდესაც ტელეგადაღების დროს თითქმის ყველა რესურსი ამოვწურე, გადავწყვიტე, ვიდეოკამერის შტატივის ხელში აღებით გადამეღო, რა ხდებოდა ღობის იქითა მხარეს ერთ-ერთი ავღანელის ეზოში. გადავიღე და მხოლოდ თბილისში ჩამოსვლისას ვნახე, რომ ეზოში ყაყაჩოების დიდი პლანტაცია იყო.

მართალია, ალიანსი ებრძვის ნარკოტრანზიტს, მაგრამ სამხედროებს გამოძიებისა და დევნის ფუნქციები არ გააჩნიათ. ამიტომ, როგორც გვითხრეს, მთავარია პოლიციის მომზადება. ავღანური პოლიციის მომზადება ისეთივე მეთოდებით მიმდინარეობს, როგორითაც სამხედროები ემზადებიან. ამის მიზეზი მარტივად აგვიხსნა ჩვენმა უსაფრთხოების ოფიცერმა: თუკი რომელიმე სოფელში რაიმე ინციდენტი მოხდება, ან თალიბები გაივლიან და შეტაკება დაიწყება, ჯარის ამ სოფლამდე მისვლას შეიძლება დიდი დრო დასჭირდეს, პოლიცია კი ყოველ სოფელშია. მათ უნდა უკუაგდონ თალიბები, თუ საჭირო იქნება საპასუხო ძლიერი ცეცხლითაც.

ახლა ავღანეთში საარჩევნო ციებცხელებაა. თალიბების გააქტიურებაც ამას უკავშირდება. ალიანსის სამხედროები არ მოელიან რაიმე კონკრეტულ საშიშროებას, თუმცა საფუძველს არც ის მოსაზრებაა მოკლებული, რომ თალიბები არჩევნების ჩაშლას შეეცდებიან. საპრეზიდენტო არჩევნები ავღანეთში უკვე მეორედ იმართება. პირველი არჩევნების დროს სამშვიდობო მისიას ქაბულში 50 ქართველი სამხედრო ასრულებდა.

**გიორგი თუხარელი**

*ტელეკომპანია „საქართველო“*
*სპეციალურად „არსენალისთვის“*
*ავღანეთიდან*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ციდან წამოსული საფრთხე...

შედეგი, რომელიც ქართული სამხედრო კოლონების ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის გარეშე დატოვებას მოჰყვა

აგვისტოს ომმა გამოააშკარავა საქართველოს შეიარაღებული ძალების ძლიერი თუ სუსტი წერტილები. სამწუხაროდ, ნაკლმა ქართული ჯარის დადებითი მხარეები აშკარად გადაწონა და საქმე საქმეზე რომ მიდგა, ნათელი შეიქნა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები, შეიარაღებაში არსებული თანამედროვე ტექნიკის მიუხედავად, ომისთვის მზად არ იყვნენ.

როდესაც იმ ავადსახსენებელი მოვლენებიდან უკვე ერთი წელი გავიდა, მომხდარის გაანალიზება და შეცდომებზე ლაპარაკი უფრო ადვილია.

„არსენალში“ აგვისტოს ომისას რუსული და ქართული ავიაციის მოქმედებაზე არაერთხელ დაწერილა. თუმცა ომის წლისთავზე გადავწყვიტეთ, მკითხველისათვის რუსული ავიაციის დანაკარგსა და ქართული ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვისა და ავიაციის მოქმედებებზე ამომწურავი ინფორმაცია მოგვეწოდებინა.

7 აგვისტოს, დაახლოებით ღამის 12-ის ნახევარზე, ქართულმა დანაყოფებმა სეპარატისტების შეუჩერებელ პროვოკაციებზე საპასუხო ცეცხლი გახსნეს, 8 აგვისტოდან კი საქმეში რუსული სამხედრო მანქანაც ჩაერთო. იმ დილით რუსულმა მოიერიშეებმა საჰაერო დარტყმა მე-2 ქვეით ბრიგადას მიაყენეს, რომელიც ერგნეთთან, „ლენდროვერებით“ გადაადგილდებოდა. ამ ომში ეს ერთ-ერთი პირველი საჰაერო თავდასხმა იყო. შემდეგი ოთხი დღის განმავლობაში მას კიდევ რამდენიმე ათეული საჰაერო შეტევა მოჰყვა. საბედნიეროდ, მანქანებში მხოლოდ მძღოლები ისხდნენ და იერიში უმსხვერპლოდ დასრულდა, მაგრამ აქ გამომჟღავნდა ჩვენი პირველი სუსტი წერტილი, — კოლონას ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა არ გააჩნდა, მებრძოლებს რუსული მოიერიშეების მოსაგერიებლად გადასატანი ჰაერსაწინააღმდეგო კომპლექსებიც კი არ ჰქონდათ, შუა გზაზე მდგარი მანქანები კი ტყეში მხოლოდ დარტყმის შემდეგ გადაიყვანეს.

მალე რუსული ავიაცია ფართომასშტაბიან მოქმედებაზე გადავიდა და 8 აგვისტოს შუადღიდან სამხედრო აეროდრომების დაბომბვაც დაიწყო, რომლებიც ასევე დაუცველი აღმოჩნდა. დაუცველი იყო სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი მარნეულის ბაზაც, რომელიც მხოლოდ 8 აგვისტოს ოთხჯერ დაიბომბა. ქართულ დანაყოფებს მოწინააღმდეგის თვითმფრინავზე ინფორმაცია არ გააჩნდათ, ამიტომაც იყო, რომ მარნეულის თავზე გამოჩენილი Су-25-ები ქართული ეგონათ. ამასთან, ბაზიდან იარაღის გატანა მხოლოდ დაბომბვის დაწყების შემდეგ დაიწყო, პირად შემადგენლობას კი ამხელა ბაზის დასაცავად გადასატანი ჰაერსაწინააღმდეგო კომპლექსებიც კი არ ჰქონდა. ბაზაში არსებული ტექნიკის გადანაწილების ნაცვლად, სატრანსპორტო Ан-2-ები ერთ მწკრივად განლაგებული დატოვეს, რის გამოც რუსული თვითმფრინავების იოლი სამიზნე გახდნენ, — განადგურდა სამი Ан-2. სამწუხაროდ, ამ დაბომბვას სამი სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლეც შეეწირა.

ყველაზე საშინელი ის არის, რომ პირველი საჰაერო დარტყმის შემდეგ არ მიუღიათ ზომები აეროდრომის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ორგანიზებისთვის, ყოველ შემთხვევაში, თუკი რამ გაკეთდა, შედეგი არ მოუტანია. მარნეულის აეროდრომი კიდევ რამდენიმეჯერ ისე დაიბომბა, რუსულ თვითმფრინავებს წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ.

უფრო სავალალო ის იყო, რომ



9 აგვისტოს ჩამოგდებული ამ რუსული Су-25-ის პილოტი ოსმა სეპარატისტებმა ჰაერშივე დაცხრილეს — ქართველი ეგონათ, თავად თვითმფრინავი კი რუსებმავე შეცდომით ჩამოაგდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯავის მახლობლად ნაპოვნი, მაიორ ვლადიმერ ედამენკოს Су-25-ის ფრაგმენტები

მტრის ავიაციისგან დედაქალაქიც დაუცველი აღმოჩნდა. 10 აგვისტოს დილით და საღამოს რუსებმა თითოჯერ „თბილავიამშენის“ აეროდრომი დაბომბეს, 11-ში კი თბილისის ზღვასთან, Су-24М-ის ტიპის საფრონტო ბომბდამშენმა, სავარაუდოდ Х-58-ის ტიპის ტაქტიკური რადიოლოკაციურსაწინააღმდეგო რაკეტით სამოქალაქო რადარი გაანადგურა.

გამანადგურებლების უქონლობამ უარყოფითი როლი ითამაშა, აგვისტოს ომში ქართული ჯარი მხოლოდ საზენიტო კომპლექსების იმედად იყო. არადა, საქართველოს რამდენიმეჯერ გვქონდა МиГ-29-ის ტიპის გამანადგურებლების შეძენის შესაძლებლობა. 2005 წელს უზბეკეთი ხუთ МиГ-29-ს გვთავაზობდა, თითოს 3.2 მილიონ დოლარად, მაგრამ შეთანხმება არ შედგა.

უკვე 8 აგვისტოს მოწინააღმდეგეს ჩვენს საჰაერო სივრცეში სრული უპირატესობა ჰქონდა მოპოვებული და შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლი სწორედ ამან ითამაშა. ამიტომაც ქართულმა ავიაციამ კონფლიქტში დიდი როლი ვერ ითამაშა. მოიერიშეებმა 8 აგვისტოს დილის შვიდის ნახევარზე მხოლოდ ერთი საბრძოლო გაფრენა შეასრულეს, მაგრამ არც აქ იყო ყველაფერი კარგად. საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში მყოფი 12 Су-25-დან (აქედან ორი სასწავლო Су-25УБ) საბრძოლო გაფრენისთვის სრულ მზადყოფნაში მხოლოდ ექვსი აღმოჩნდა. ამ ექვსიდან ერთ-ერთს ძრავა გაუმართავი აღმოაჩნდა და დავალებაზე მხოლოდ ხუთი მოიერიშე გაფრინდა, თუმცა ერთ-ერთი ბაზაში რატომღაც სავსე შეიარაღებით დაბრუნდა. დარჩენილი ოთხიდან კი მოდერნიზებული და გაუმჯობესებული საბრძოლო შესაძლებლობების მქონე „მიმინოს“ დონემდე დაყვანილი მხოლოდ ერთი თვითმფრინავი იყო. ერთიც სასწავლო Су-25УБ. არადა საქართველოს შეიარაღებაში არსებულ „მიმინოებს“ ღამე და რთულ მეტეოპირობებშიც შეუძლიათ მოქმედება და საბრძოლო გაფრენისთვის მზად ორი მათგანიც რომ ყოფილიყო, მოწინააღმდეგის ტექნიკის დასანახავად არ იქნებოდა საჭირო მზის ამოსვლის ლოდინი და ქართველი მოიერიშეები მტერზე იერიშს ღამითაც მიიტანდნენ, რაც მოულოდნელობის ეფექტს გააძლიერებდა.

გარდა ამისა, მოიერიშეები დავალებაზე რატომღაც 500-იანი კი არა, 250კგ-იანი ბომბებით გაფრინდნენ. მაშინ როდესაც ნახევარტონიან ბომბებს ან КМГУ-ს ტიპის კასეტური ბომბებისთვის განკუთვნილ კონტეინერებს მტრისთვის უფრო დიდი ზიანის მიყენება შეეძლო. ამ გაფრენის შემდეგ ჰაერში რუსული თვითმფრინავების გაბატონების გამო მოიერიშეებს აღარ უფრენიათ.

დამრტყმელი Ми-24-ის ტიპის შვეულმფრენები კი კონფლიქტის ზონაში 8 აგვისტოს დილას გამოჩნდნენ. ისინი ცხინვალის ახლოს, მინიმალურ დასაშვებ სიმაღლეზე მოქმედებდნენ. ექვსი შვეულმფრენი ორ რგოლად მიფრინავდა და 80მმ-იანი უმართავი საავიაციო რაკეტების გამშვები ბლოკებით იყვნენ შეიარაღებული. სულ მათ 8, 9 და 10 აგვისტოსაც ოთხი საბრძოლო გაფრენა შეასრულეს.

პრობლემებისა და არაორგანიზებული მოქმედების მიუხედავად, ქართველმა მეზენიტეებმა მაინც კარგად იმუშავეს. რუსული საავიაციო დანაკარგის სია მოიერიშე Су-25-მა გახსნა. 8 აგვისტოს სტავროპოლის მხარის ქალაქ ბუდიონოვსკში დისლოცირებულმა 368-ე საიერიშო პოლკმა, რომელსაც პოლკოვნიკი სერგეი კობილაში მეთაურობს, პირველი Су-25 დაკარგა. იმ დღეს საბრძოლო გაფრენიდან მეორე კლასის მფრინავი, პოლკის მეთაურის მოადგილე, ვიცე-პოლკოვნიკი ოლეგ ტერებუნსკი არ დაბრუნდა. მან კაჩას მფრინავების უმაღლესი სამხედრო საავიაციო სასწავლებელი დაამთავრა და სულ 930 საათი ჰქონდა ნაფრენი, მათ შორის 75 საათი (120 გაფრენა) საბრძოლო პირობებში — ჩეჩნეთის მეორე ომში, რისთვისაც ღირსების ორდენით დაჯილდოვდა.

იმავე დღეს ბუდიონოვსკის აეროდრომზე, საიდანაც ცხინვალამდე 289კმ-ია, კიდევ ორი დაზიანებული Су-25 დაჯდა — ორივე მანქანა ბაზამდე ცალი ძრავათი მიფრინდა. ერთს კაპიტანი ივან ნეჩაევი მართავდა, მეორეს კი პოლკოვნიკი ოლეგ მოლოსოვი. მის მოდერნიზებულ Су-25СМ-ს, რომელმაც აგვისტოს ომში საბრძოლო ნათლობა მიიღო, რაკეტა მარცხენა ძრავას კუდის კოკში მოხვდა. აფეთქებამ ის მოგლიჯა და ფიუზელაჟში რადიოელექტრონული აღჭურვილობის ნაკვეთურში არც ისე პატარა ნახვრეტი დატოვა. მოგვიანებით ტექნიკოსებმა ამ მანქანაში 88 ნახვრეტი დაითვალეს.

ომის მეორე დღეს, 9 აგვისტოს, ქართველმა მეზენიტეებმა შორი მოქმედების ბომბდამშენი Ту-22М3, სავარაუდოდ, საზენიტო-სარაკეტო კომპლექს Бук-М1-ით ჩამოაგდეს. ოფიციალურმა მოსკოვმა თვითმფრინავის დაკარგვისთანავე განაცხადა, რომ ის უკრაინის მიერ მოწოდებული С-200-ის ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსით ჩამოვაგდეთო. რეალურად კი ეს კომპლექსი მართლაც რომ გვქონოდა, რუსეთი გაცილებით მეტ თვითმფრინავს დაკარგავდა. ეკიპაჟის ოთხი წევრიდან მხოლოდ ერთი — მეორე მფრინავი, მაიორი ვიაჩესლავ მალკოვი გადარჩა. ეკიპაჟის სამი წევრი კი: მეთაური, ვიცე-

პოლკოვნიკი ალექსანდრ კოვენცოვი, შტურმან-ოპერატორი, მაიორი ვიქტორ პრიადკინი და შტურმან-ნავიგატორი, მაიორი იგორ ნესტეროვი — დაიღუპნენ.

ამ თვითმფრინავზე დავა დღესაც გრძელდება. საქმე ის არის, რომ ამ თვითმფრინავის დაკარგვისთანავე რუსულ ინტერნეტწყაროებში გაჩნდა ცნობა, რომ ახტიუბინსკში დისლოცირებული ჩკალოვის სახელობის სახელმწიფო საფრენოსნო-საცდელი ცენტრიდან აფრენილი ეს თვითმფრინავი მზვერავი ბომბდამშენის მოდიფიკაცია Ту-22М3Р იყო. ამ მანქანაზე, საბორტე ნომრით „36“, უახლესი სადაზვერო აღჭურვილობა იყო დაყენებული და ამ აეროდრომზე გამოცდას გადიოდა.

თითქმის იმავე პერიოდში რუსულ ინტერნეტფორუმებზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ეს მანქანა ახტიუბინსკიდან კი არა, კალუგის ოლქში მდებარე შაიკოვკის აეროდრომიდან აფრინდა, სადაც 52-ე მძიმე ბომბდამშენთა ავიაპოლკი ბაზირდება, რომელიც 37-ე საჰაერო არმიის შემადგენლობაში შედის. ამ ინფორმაციას ნაწილობრივ ისიც ადასტურებს, რომ 30 სექტემბერს შაიკოვკის აეროდრომზე Ту-22М3-ის დაღუპულ ეკიპაჟის წევრებთან გამოსამშვიდობებელი ცერემონიალი ჩატარდა. საავადმყოფოში მიყვანილმა იგორ ზინოვმა კი ქართველი ჟურნალისტის კითხვაზე, რა სახის დავალებას ასრულებდა საქართველოს საჰაერო სივრცეში, უპასუხა, რომ საჰაერო დაზვერვის დროს ცხინვალის მახლობლად იქნა ჩამოგდებული.

იმავე დღეს ბუდიონოვსკის 368-ე ავიაპოლკიდან საბრძოლო დავალებაზე Су-25-ის ერთი წყვილი გაფრინდა. დავალების შესრულების შემდეგ, უკანა გზაზე, თვითმფრინავს, რომელსაც საიერიშო პოლკის საავიაციო რგოლის მეთაური მაიორი ვლადიმირ ედამენკო მართავდა, რაკეტა მოხვდა და ჯავასთან, ხეობაში ჩავარდა.

მეორე წყვილად დავალებაზე პოლკის მეთაური, პირველი კლასის მფრინავი პოლკოვნიკი სერგეი კობილაში და მაიორი კუკუშკინი გაფრინდნენ. მათ ამოცანას ქართული ჯავშანკოლონების განადგურება წარმოადგენდა. მათთვის მიწოდებული რუსეთის დაზვერვის ინფორმაციის თანახმად, კოლონა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებების გარეშე გადაადგილდებოდა და მისი განადგურება არ უნდა გასძნელებოდათ, მაგრამ შეტევაზე გადასულ კობილაშს ქართველმა მეზენიტეებმა ცეცხლი გაუხსნეს. მისკენ მფრენი რაკეტის შესახებ მიმყოლმა მფრინავმა შეატყობინა. მკვეთრი მანევრის მიუხედავად, მას რაკეტა მარცხენა ძრავაში მოხვდა, კატაპულტირებას მან ერთი ძრავათი ბაზამდე მიფრენა ამჯობინა. თუმცა ქართველი მეზენიტეები აგრძელებდნენ მისი მანქანის გაცილებას და მალევე მომდევნო რაკეტა უკვე მეორე — მარჯვენა ძრავაში მოხვდა. ამ მომენტში ის დაახლოებით 1000მ სიმაღლეზე, ცხინვალის თავზე იყო. კატაპულტირების შემდეგ ის საშველად მიფრენილმა Ми-8 და Ми-24 ტიპის შვეულმფრენებმა აიყვანეს.





ძევერაში ჩამოგდებული Су-24М-ის ეკიპაჟის მეორე წევრის ამოცნობა მის მუზარადზე ამოტვიფრული გვარით — რუავტინი — მოხერხდა

იმავე დღეს დანაკარგი რუსეთის საფრონტო ავიაციამაც განიცადა. ცხინვალის მახლობლად, სოფელ ძევერაში ქართველმა მეზენიტეებმა Су-24М ჩამოაგდეს. ეკიპაჟიდან მხოლოდ პოლკოვნიკი იგორ ზინოვი გადარჩა. ეკიპაჟის მეორე წევრი,

სამი Ан-2-ია და მომსახურების მანქანების განადგურების გარდა, მარნეულის აეროდრომზე რუსების პირველ საჰაერო დარტყმებს სამი კაცის სიცოცხლე შეეწირა



ეროვნული ბიბლიოთეკა



აგვისტოს ომში ერთ-ერთი უდიდესი შეცდომა Бук-ების მიტოვება იყო

როგორც შემდგომ გაირკვა, მაიორი იგორ რჟავტინი (გვარი მუზარაძზე იყო ამოტვიფრული) დაიღუპა.

9 აგვისტოს დღის ბოლოს რუსებმა კიდევ ერთი Су-25 დაკარგეს. თავიდან რუსებმა ის ქართულ მოიერიშედ მიიჩნიეს. მაგრამ მისი ფოტოების დათვალიერების შემდეგ ეჭვი აღარ არის, რომ ეს მოიერიშე რუსულია, — მის მარცხენა ბორტზე, მფრინავის კაბინის წინა მხარეს, რვა ვარსკვლავია, რაც საბჭოთა, შემდგომ კი რუსულ დამრტყმელ ავიაციაში 10 საბრძოლო გაფრენის ტოლფასია. მთავარი ის არის, რომ რუსებმა თავისივე მოიერიშე თვითონვე ჩამოაგდეს (შესაძლოა, თავისივე კოლონებზე შეცდომით იერიშის მიტანის გამო). რუსების ოსი „კოლეგები“ კატაპულტირებული პილოტის მიწაზე დაშვებას არ დაელოდნენ და ჰაერშივე დაცხრილეს, ქართველი ეგონათ.

10 აგვისტოს ჯავის რაიონში, ერთ-ერთი ძრავას მწყობრიდან გამოსვლის გამო, ლიპეცკში დისლოცირებული საბრძოლო გამოყენებისა და საფრენოსნო შემადგენლობის გადამზადების მე-4 ცენტრიდან აფრენილმა Су-24M-მა (შესაძლოა, ის მზვერავი Су-24MP იყო) კატასტროფა განიცადა. ეკიპაჟის ორივე წევრმა, რომელთაგან ერთ-ერთი საბომბდამშენო ავიაციის მფრინავი, პოლკოვნიკი ოლეგ სტოროჟუკი იყო, კატაპულტირება მოასწრო.

მეორე დღეს, 11 აგვისტოს, სოხუმის აეროპორტში ავარიული დაჯდომა მოუხდა კრასნოდარში დისლოცირებულ 461-ე საიერიშო პოლკიდან აფრენილ Су-25-ს. მას ქართული საზენიტო რაკეტა მარჯვენა ძრავას კუდის კოკში მოხვდა, ძლიერმა აფეთქებამ მთლიანად მოგლიჯა და მას მოტოგონდოლის ორივე კაპოტი მიაყოლა. ძრავას სრულ მოგლეჯას ხელი მხოლოდ იმან შეუშალა, რომ მისი სამმაგი კვანძები ზედა მხარესაა განთავსებული და აფეთქებამ მხოლოდ უკანა შპანჰოუტზე დამაგრებული (Су-25-ზე ძრავა ორ შპანჰოუტზე მაგრდება) კვანძები დააზიანა.

აგვისტოს ომში ომამდე ცოტა ხნით ადრე ისრაელში შეძენილი Spyder-ის ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსმა ძალიან გაამართლა. ჰაერსაწინააღმდეგო საქმეში კი ერთგვარ ნოუ-ჰაუს და საკმაოდ ეფექტიანსაც, კვადროციკლების გამოყენებით სახმელეთო ჯარების ჰაერსაწინააღმდეგო დანაყოფებისგან მობილური ჰაერსაწინააღმდეგო ჯგუფების ჩამოყალიბება წარმოადგენდა. თითო ჯგუფში ორი კაცი შედიოდა, მძღოლი და მეზენიტე,



რომელიც გადასატანი ჰაერსაწინააღმდეგო კომპლექსით იყო შეიარაღებული. სწორედ მობილური საზენიტო ჯგუფების დამსახურებაა ჩამოგდებულ-დაზიანებული რუსული თვითმფრინავების ერთი ნაწილი.

მიუხედავად ამისა, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვაში პრობლემები გამომჟღავნდა. არაორგანიზებული უკან დახევის გამო, ქართულმა დანაყოფებმა პოზიციებზე ათობით ქვემეხი, ტანკი თუ სატვირთო მანქანა მიატოვეს. ყველაზე დაუშვებელი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების მიტოვება იყო. ომამდე საქართველომ Бук-ის ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები შეიძინა, რომელსაც სამიზნის ჩამოგდება 22კმ სიმაღლესა და 35კმ დისტანციაზე შეეძლო. ომამდე გაეროს რეესტრში დაფიქსირებული მონაცემებით, საქართველოს 15 Бук-ი (მათ შორის დამტენი, გამშვებ-დამტენი და სამეთაურო მანქანები) ჰყავდა. მათგან რუსებმა ხელთ იგდეს ორი გამშვებ-დამტენი (ნომრებით „213“, „223“) და სამი გამშვები მანქანა (ერთ-ერთი „232“), რომლებიც სენაკის სამხედრო ბაზის მახლობლად იპოვეს. რუსებს საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი და რამდენიმე ათეული გადასატანი სარაკეტო კომპლექსიც დარჩა ნადავლად.



მალთაყვაში მიტოვებული და შემდგომ რუსების მიერ განადგურებული П-18-ის ტიპის რადიოლოკაციური სადგური

მართალია, საბრძოლო მოქმედებების დროს რუსებმა ვერც ერთი ქართული მოიერიშე ან დამრტყმელი შვეულმფრენი ვერ ჩამოაგდეს, მაგრამ დანაკარგი ქართულ ავიაციას ხმელეთზე ჰქონდა. მარნეულში განადგურებული სამი Ан-2-ის გარდა, საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალებმა სამი შვეულმფრენი დასავლეთ საქართველოში დაკარგეს. სენაკის ბაზაში რუსების თითქმის ერთკვირიანი თარეშის შემდეგ, ბაზა იარაღით დატვირთულმა ათზე მეტმა სატვირთო მანქანამ დატოვა. ბაზის აეროდრომზე მყოფი სამი შვეულმფრენი — ორი Ми-24 და Ми-14 — კი რუსებმა დაწვეს. ეს უკანასკნელი რესურსგასული იყო და დიდი ხანია, აღარ დაფრინავდა, დამრტყმელი Ми-24-ები კი (საბორტო ნომრები „04“ და „05“) გაუმართავი იყო და მათი კალენდარული ვადაც ამოწურვის პირას იყო.



სოფელ ძევერაში ჩამოვარდნილი რუსული Су-24М-ის ეკიპაჟის ორი წევრიდან პოლკოვნიკი იგორ ზინოვი გადარჩა, მაიორი იგორ რჟავტინი კი დაიღუპა

აგვისტოს ომში ათამდე რუსული საფრენი აპარატის ჩამოგდებისა და დაზიანების მიუხედავად,, ქართული ავიაციისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მოქმედებებში ბევრი შეცდომა იყო. გასაგებია, რომ რუსეთს ჩვენ დიდ წინააღმდეგობას ვერ გავუწევდით და ტექნიკის რაოდენობითაც გვჯობნიდა, მაგრამ ნუთუ პოზიციებზე ტექნიკის დატოვებას არ ჯობდა მისი განადგურება?

ომის მერე თავდაცვის სამინისტროში რადიკალური ცვლილებები დაიწყო. გადაიხედა დოქტრინა და პრიორიტედად ტანკებთან ბრძოლა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა იქცა.

იმედია, აგვისტოს ომის ყველა შეცდომა სრულფასოვნად იქნება გაანალიზებული და გათვალისწინებული.

*თემურ პულუზაშვილი*

# ხვითის ბრძოლის გმირები



22-ე ბატალიონის ჩარლი-ასეულის მზვერავთა ოცეული

ჟურნალ ,,არსენალის" მე-14 ნომერში გამოქვეყნებულ წერილს ,,ზემო ხვითის ბრძოლის უცნობ დეტალებს" საინტერესო გაგრძელება მოჰყვა. გაირკვა იმ სამხედროების ვინაობა, ვინც მტერს არ შეუშინდა, მოწინააღმდეგეს დიდი დანაკარგი მიაყენა და რამდენიმე საათის განმავლობაში წინსვლის საშუალება არ მისცა.

მოვლენების ეპიცენტრში მე-2 ბრიგადის 22-ე ბატალიონის ჩარლი-ასეულის სადაზვერვო ოცეული აღმოჩნდა.

2008 წლის 10 აგვისტოს 22-ე ბატალიონმა ცხინვალზე შეტევისათვის სოფელ ხეთაგუროვოდან ავნევის გავლით ზემო ხვითისაკენ გადაჯგუფებისა და პოზიციების დაკავების ბრძანება მიიღო.

ოპერაციაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ზემო ნიქოზიდან ზემო ხვითისკენ მიმავალი გზის უსაფრთხოების შემოწმება იძენდა და ამ დავალების შესრულება სადაზვერვო ოცეულს დაევალა.

14 საათისათვის მზვერავები ზემო ხვითში, ძირითადი პოზიციებიდან წინ, დაახლოებით 300-400 მეტრში იყვნენ და მოწინააღმდეგის კანტიკუნტ გასროლებს თუ არ ჩავთვლით, სხვა მხრივ საფრთხე თითქოს არ ჩანდა.

დამიზნებული რამდენიმე გასროლის შემდეგ მზვერავებმა უკან დახევა და ჩარლი-ასეულის ძირითად პოზიციებზე დაბრუნება გადაწყვიტეს, როცა მოულოდნელად სოფლის ცენტრალურ გზაზე დიდი სიჩქარით რუსების ორმა T-72-მა და ამდენივე БМП-2-მა ჩაიქროლა.

რუსული ჯავშანტექნიკა იმდენად სწრაფად მოძრაობდა, რომ ცეცხლის გახსნა არ მოესწრო, ხოლო მოწინააღმდეგის მეტყვიამფრქვევის გასროლით ჩვენი ,,ფაგოტის" გათვლა — კაპრალები ლევან მანძულაშვილი და მალხაზ ბერიძე დაიღუპნენ.

გასაგები ხდებოდა, რომ სოფლისაკენ მტრის კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი ჯავშანკოლონა მოემართებოდა.

ქართულ არმიას ინდივიდუალური მომზადების კარგი სასწავლო პროგრამები აქვს და ჯარისკაცებს რთულ ვითარებაში, უფროსის არყოფნის შემთხვევაში, ოპტიმალური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება შეუძლიათ. ამ



ხვითთან აფეთქებული რუსული T-72

შემთხვევაში მზვერავებმა ჩასაფრება მოაწყვეს. სანგრების გასათხრელად დრო აღარ რჩებოდა და პოზიციები გზის მახლობლად, ბაღებში, მაღალ ბალახში მოაწყვეს. სამ სნაიპერსა და რამდენიმე მსროლელს, სულ ათიოდე ჯარისკაცს მტრის მრავალრიცხოვან ჯავშანკოლონასთან უთანასწორო ბრძოლა ელოდა.

რუსი აგრესორების კოლონას T-72 მოუძღოდა. ტანკს კოშკურის უკანა ნაწილი ჩასაფრებაში მყოფი ქართველი ჯარისკაცების მხარეს ჰქონდა მიტრიალებული. ეკიპაჟს ყურადღება, ალბათ, გზის მეორე მხარეს მდებარე მინდორისკენ ჰქონდა გადატანილი, სადაც უკანდახეული ქართველი ჯარისკაცები შენიშნეს.

ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნი РПГ-7



სროლისათვის კარგი მომენტი იყო და უმცროსი სერჟანტის, შმაგი გულორდავას РПГ-7-ით გაკეთებული გასროლა ტანკს უკანა ნაწილში მოხვდა, იქ, სადაც ჭურვების მარაგი ინახება, და მყისიერად დეტონაცია გამოიწვია. აფეთქების ძალა იმდენად ძლიერი გამოდგა, რომ მრავალტონიანი კოშკურა მოგლიჯა და რამდენიმე მეტრზე მოისროლა.

სერჟანტმა ლევან ჯანგირაშვილმა ერთჯერადი ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნიდან ტანკის უკან მომავალ ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-2-ს უკანა ნაწილში გაარტყა. საბრძოლო მანქანამ რამდენიმე მეტრი გაიარა, გაჩერდა და შემდეგ აკვამლდა.

ძირითად პოზიციებს მიღმა ჩასაფრებული მზვერავების კიდევ ერთმა გასროლამ მწყობრიდან აგრესორთა მეორე ქვეითთა საბრძოლო მანქანა გამოიყვანა.

რუსებმა საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს, მაგრამ მზვერავებმა და მსროლელებმა ჩასაფრებიდან შეუმჩნევლად და უდანაკარგოდ უკან დახევა შეძლეს.

კარგად ორგანიზებულმა ჩასაფრებამ და მოულოდნელი დარტყმით გამოწვეულმა ეფექტმა რუსები იმდენად გააოგნა, რომ სოფელში პირდაპირ შესვლაზე ხელი აიღეს, შემოვლითი გზით გავიდნენ და ზემო ხვითი-შინდისის გზა დაბლოკეს.

სამწუხაროდ უკანდახეულმა ქართველმა ჯარისკაცებმა მოწინააღმდეგის პოზიციების ცვლილება ვერ შენიშნეს და აგრესორთა ტყვიას 22-ე ბატალიონის ნაღმმტყორცნელთა ოცეულის კაპრალი ნუკრი ფორჩხიძე შეეწირა.

*თემურ ჩარჩანიძე*

ქართველმა სამხედროებმა ჩასაფრებაში რუსი მედესანტეების БМД-2-იც დაწვეს



ეროვნული ბიბლიოთეკა

# არმიას მაინც არ მივატოვებ...



რომან აბაშიძე მეუღლესთან ერთად

## „საველე სწავლებას ვერ გავაგრძელებ, მაგრამ ჩემს საქმეს იქ გავაკეთებ, სადაც შევძლებ“

მედალი საბრძოლო იარისათვის და ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენი, – ასეთია 24 წლის ლეიტენანტ რომან აბაშიძის საბრძოლო დამსახურება ქვეყნის წინაშე. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომში მან მარჯვენა ფეხი დაკარგა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სამხედრო სამსახურში დარჩენას აპირებს.

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალს სამხედრო კათედრა არ ჰქონდა და გადავწყვიტე, სწავლის დამთავრების შემდეგ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნულ აკადემიაში ჩამებარებინა. ამ პერიოდს პრეზიდენტის პროგრამაც დაემთხვა, რომელიც აკადემიაში დაჩქარებულ სწავლას ითვალისწინებდა. პირველივე ნაკადში ჩავაბარე, უმცროსი ქვეითი ოფიცრის 7-თვიანი კურსით გათვალისწინებული სწავლება გავიარე. სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის 21-ე ბატალიონში მეორე ასეულის მეორე ოცეულის მეთაურად გამამწესეს. სენაკის სამხედრო ბაზაში წვრთნას ყოველდღე გავდიოდით, მანამდე ოცეულის მეთაურებმა დამატებით ოცდღიანი კურსებიც გავიარეთ.

სენაკის ბაზაში ქვედანაყოფებში სწავლებებს ინსტრუქტორებთან ერთად სპეციალობების მიხედვით ვატარებდით. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომამდე განსაკუთრებული მომზადება არ გაგვივლია, ყველაფერი ჩვეულებრივ რეჟიმში მიმდინარეობდა. თუმცა, ბოლო რამდენიმე დღეს ცხინვალში ძალზე დაიძაბა ვითარება და ნაწილში განგაშსაც ხშირად აცხადებდნენ. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში კი მეთაურებისგან ცხინვალის მიმართულებით წასვლის ბრძანებას ველოდებოდით.

— **როდის მიიღეთ ბრძანება?**

— 8 აგვისტოს... საღამოს უკვე სოფელ ზემო ნიქოზში შევედით და ცხინვალის მისადგომებთან თავდაცვითი პოზიცია დავიკავეთ. ზუსტად არ მახსოვს, რომელი ქვედანაყოფი ჩავანაცვლეთ, მაგრამ ზემო ნიქოზის მიმდებარე ტერიტორია უნდა გაგვემაგრებინა. ამ დროს რუსეთის ავიაცია უკვე ინტენსიურად გვიტევდა. 9 აგვისტოს, გამთენიისას, ჩვენი პოზიციის დაბომბვაც დაიწყო. ჩვენი ქვედანაყოფის ახლოს ე.წ. რუსი სამშვიდობოების საგუშაგო იყო, საიდანაც უფრო მასირებულად გვიტევდნენ, ვიდრე ცხინვალიდან.

— **რუსები მძიმე კალიბრის იარაღს ისროდნენ?**

— დიახ, თითქმის ყველანაირი ტიპის იარაღს, რისი გამოყენებაც ომის დროს ნებადართულია ან უკანონო. ჩვენი პოზიციიდან დაახლოებით 500 მეტრში იყვნენ, საგუშაგოდან ისროდნენ.

9 აგვისტო ძალზე მძიმე დღე იყო ქართული შეიარაღებული ძალებისთვის. ამ დღეს შეტევამ მოლოდინს გადააჭარბა.

— **ამ დროისთვის ქართული სოფლები უკვე დაცლილი იყო?**

— დიახ, ყოველ შემთხვევაში, ზემო ნიქოზში არც ერთი სამოქალაქო პირი არ მინახავს... 9 აგვისტოს, როცა მოწინააღმდეგემ ჩვენს პოზიციას შეუტია, წინააღმდეგობას შეძლებისდაგვარად ვუწევდით, მოუმზადებლები არ დავხვედრილვართ. იქვე სანგრები გვქონდა გათხრილი. მოწინააღმდეგეს აშკარა უპირატესობა ჰქონდა, ავიაციაც მასირებულად გვბომბავდა, ისროდა არტილერიაც.

შუადღემდე ორმხრივი ინტენსიური სროლა არ შეწყვეტილა. დაახლოებით შუადღის 12 საათისთვის, გვიბრძანეს, უკან დაგვეხია. ჩანაფიქრი ასეთი იყო: მოწინააღმდეგე მხარე უკან უნდა მოგვყოლოდა და შემდეგ ალყაში მოვაქცევდით. ის იყო, ბრძანების შესრულებას შევუდექი, ქვედანაყოფი პოზიციიდან თითქმის გამოყვანილი მყავდა და იქაურობა მეც უნდა დამეტოვებინა, რომ სწორედ ამ დროს ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი РПГ-7 მომხვდა და მარჯვენა ფეხი წამაწყვიტა. გონი ერთი წამითაც არ დამიკარგავს და ისიც მახსოვს, რომ ჩემ თვალწინ იმავე მომენტში ჭურვმა ჩემი ქვედანაყოფის ჯარისკაცს ხელი წააგლიჯა. ნებისმიერ ოცეულში არის 5-6 ჯარისკაცი, რომელთაც პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ. ფეხი მუხლქვემოთ მქონდა წაწყვეტილი და სისხლისგან რომ არ დავცლილიყავი, ერთ-ერთმა ჯარისკაცმა ლახტი შემომიჭირა. შევატყვე, ჩემმა ჭრილობამ რამდენიმე ჯარისკაცზე ფსიქოლოგიურად იმოქმედა და შევეცადე, თავს მოვრეოდი, მითითებებს ვიძლეოდი, არ მინდოდა, ნაწილში ქაოსი დაწყებულიყო. ჩვენი საბრძოლო პოზიციიდან გამოყვანის შემდეგ, პოზიციაზე შეიარაღება არ დარჩენილა, „კრაზის“ ტიპის სატვირთო მანქანა დატვირთეს და წამოიღეს, მაგრამ მანქანა გზაში დაბომბეს და აფეთქდა.

— **მძღოლი გადარჩა?**

— არ ვიცი, მაშინ მეც საავადმყოფოში ვიყავი და როცა ვიკითხე, იარაღი გამოიტანეს თუ არა-მეთქი, მიპასუხეს, მანქანა, რომელსაც ჩვენი შეიარაღება მოჰქონდა, დაიბომბაო...

საბრძოლო პოზიციიდან ტყვიავის საველე ჰოსპიტალში გადამიყვანეს, სადაც სასწრაფო ოპერაცია გამიკეთეს. რადგანაც იქამდე მიყვანას დრო დასჭირდა, მდგომარეობა გამირთულდა და ფეხი მუხლზემოთ მომაჭრეს. შემდეგ იყო მკურნალობის ხანგრძლივი პროცესი. თავდაცვის სამინისტროს დახმარებით პროთეზირება ოცამდე სამხედრო პირს თურქეთის დედაქალაქ ანკარაში სამხედრო კლინიკა „გათაში“ ჩაგვიტარდა. ახლა შესაგუებელ პროთეზს ვატარებ, კიდევ ერთი მკურნალობის კურსი დამჭირდება, რომლის შემდეგაც უკვე სხვა პროთეზს გამიკეთებენ და იმედია, ცხოვრებას ჩვეულ რიტმში თუ არა, მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლოებულ რეჟიმში მაინც გავაგრძელებ... ახლა ხშირად მეკითხებიან, ამ ყველაფერს ნანობ თუ არაო, არ მინდა პათეტიკურად გამომივიდეს, მაგრამ ასე ვპასუხობ: კარგი იქნებოდა, ეს არ მომხდარიყო, მაგრამ, როცა ომია და ამ დროს ვიღაც ჯანმრთელობას კარგავს, ვიღაც კი სიცოცხლეს, ეს ვიღაცის შეცდომა კი არა, ომის კანონია... ფეხი დავკარგე, მაგრამ მაინც გამიმართლა, — გადავრჩი. ორი შვილი მყავს, ქალ-ვაჟი, ძალიან მინდა, ჩემმა შვილმა სამხედრო კარიერა გაიკეთოს. ის, რისი გაკეთებაც მე ვერ შევძელი ქვეყნისთვის, მან უნდა შეძლოს.

**— ჯარისკაცები და უფრო მაღალი რანგის სამხედროებიც ხშირად ლაპარაკობენ კავშირის უქონლობაზე, რამაც სამხედრო ნაწილებში დაბნეულობა და პანიკა გამოიწვია...**

— სხვაგან რა ხდებოდა, რა ვიცი, მაგრამ მე რაციის საშუალებით მუდმივი კავშირი მქონდა ასეულის მეთაურსა და ზემდგომებთანაც. როგორც უკან დახევის ბრძანებაზე, ასევე შიდა გადაადგილებაზე მითითებას შეუფერხებლად ვიღებდი. ჩვენს ქვედანაყოფს კავშირის პრობლემა არ შეჰქმნია. თუმცა, ბიჭებისგან ვიცი, რომ ამ მხრივ სირთულეები შეექმნათ, მაგრამ ეს უკვე 9 აგვისტოს ნაშუადღევს იყო, როცა რუსული თვითმფრინავები შეტევაზე გადმოვიდნენ და სიხშირე დახშული იყო.

**— სამხედრო სპეციალისტები ხშირად ამბობენ, რომ ჯარისკაცები ომისთვის ფსიქოლოგიურად მომზადებული არ იყვნენ. რას იტყვით ამაზე?**

— გეთანხმებით, ჯარისკაცებს კარგად არ ჰქონდათ წარმოდგენილი რეალური ომი, თავისი სირთულეებითა და საშინელებებით, რაც, ალბათ, იმანაც განაპირობა, რომ მცირე დაპირისპირებებსა და შეტაკებებს თუ არ ჩავთვლით, აფხაზეთის ომის შემდეგ თითქმის ოცი წელია საქართველოში ფართომასშტაბიანი საომარი შეტაკებები არ მომხდარა... ჩემს ქვედანაყოფში კი არა, ასეულსა და საერთოდ, ბატალიონშიც დაბნეულობა მართლაც იყო, მაგრამ არა პანიკა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ჩვენს ასეულში, რომელსაც საკმაოდ დიდი და მნიშვნელოვანი პოზიცია ეკავა, არც ერთი ჯარისკაცი არ დაღუპულა, ეს

**„რისი გაკეთებაც ქვეყნისთვის ვერ შევძელი, ჩემმა ბიჭმა უნდა შეძლოს“**






ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ, როცა, 50 პროცენტი მაინც დაიჭრა. ბიჭებმა იბრძოლეს, თავისი საქმე ბრწყინვალედ შეასრულეს, აზრადაც არავის მოსვლია დეზერტირობა. სხვათა შორის, ძალიან მიკვირს, — ბრძოლის დროს მობილური ტელეფონით გადაღებულ ვიდეოკადრებს რომ მანახვებენ. ვერ წარმომიდგენია, ვის ეცალა ომის დროს მობილურით სათამაშოდ? როგორც ჩანს, ყველამ თავისებურად აღიქვა ომი. მე ვიცი, რომ ჩვენს ბატალიონს არც ერთი დეზერტირი არ ჰყავს.

— **პანიკის შემთხვევაში რეალობა როგორი იქნებოდა?**

— პანიკა რომ ყოფილიყო, პოზიციებიდან სამხედროების გამოყვანა ვერ მოხერხდებოდა. მე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, — ჩვენ იქ ერთი დაჭრილიც არ დაგვიტოვებია. თუმცა ვიმეორებ, რუსული ავიაციის გამოჩენამ დაბნეულობა გამოიწვია. ეს ფსიქოლოგიური მომენტია, როცა ყველა სახის იარაღს გესვრიან, გარშემო მხტუნავი ბომბები ცვივა, მოწინააღმდეგე ყველა კანონიერ თუ უკანონო იარაღს იყენებს და თანამებრძოლები იჭრებიან, ვერც არკვევ, საიდან მოდის საფრთხე. ასეთ დროს ძნელია სიმშვიდის შენარჩუნება.

— **მიგაჩნიათ, რომ ქართულ შეიარაღებულ ძალებს ხარვეზები არ ჰქონია?**

— არა, გადაჭრით ამას ვერ ვიტყვი. შეცდომები იყო, მაგრამ იმის თქმა, ეს ომი თავიდან ბოლომდე შეცდომა იყო და ამიტომაც მივიღეთ კატასტროფული შედეგიო, სიმართლე არ არის. როცა ასეთ შეუსაბამო ძალასთან გიწევს ბრძოლა, წარმოუდგენელია თუნდაც მაღალ დონეზე მომზადებული და შეიარაღებული ჯარით გაუმკლავდე. 9 აგვისტოს ქართული ცა რუსების თვითმფრინავებით იყო სავსე და გასაკვირი არც უნდა იყოს, რომ ბატალიონში ნახევარზე მეტი სამხედრო პირი დაჭრილი ვიყავით. მეტიც, იმ ტყვიების წვიმაში ბატალიონი მთლიანად რომ განადგურებულიყო, ეს არავის შეცდომა არ იქნებოდა. ეს ომის კანონია, — ვიღაც დაიჭრება, ვიღაც დაიღუპება, ომია და მორჩა...

იცით, როგორ გამიჭირდა პროთეზთან შეგუება? იმ უცხო სხეულის დანახვაც კი არ მინდოდა, მაგრამ მერე შევეგუე და ახლა ასე მგონია, ასეთი დავიბადე. როცა კაცი სამხედრო ფორმას იცვამს, იმაზეც უნდა დაფიქრდეს, რომ ხელი და ფეხი კი არა, შესაძლოა, თავიც დაკარგოს... აგვისტოს ომმა ფიქრის საშუალება მომცა, ჯანმრთელობის გამო პოსტზე ვეღარ ვარ, ხშირად ვაანალიზებ სიტუაციას, მაგრამ ჯარისკაცების ან მეთაურების სავალალო შეცდომები ვერ აღმოვაჩინე.

— **სამხედრო სამსახურს აგრძელებთ?**

— დიახ, და არა მარტო მე. ბიჭები, რომლებმაც ფიზიკური დაზიანება საბრძოლო მოქმედებების დროს მიიღეს, სამხედრო სამსახურს განაგრძობენ. თავდაცვის სამინისტრო ყველა პირობას გვიქმნის, რომ მუშაობა არათუ გავაგრძელოთ, არამედ საცხოვრებელთან ახლოს გვქონდეს სამსახური. კახეთიდან, დედოფლისწყაროდან ვარ, სენაკი ჩემთვის ტერიტორიულად შორს არის და ახლა ცდილობენ, თბილისში დამასაქმონ. თავდაცვის აკადემიის რექტორსაც შევხვდი და შემპირდა, რომ ხელს გამიმართავს. საველე ინსტრუქტორად, ალბათ, ვერ ვიმუშავებ, მაგრამ იმ საქმეს გავაკეთებ, რის საშუალებასაც ჩემი ფიზიკური მდგომარეობა მომცემს.

*ლალი პაპასკირი*

# „ნანო, წავედი, სამშობლო უნდა დავიცვაო“



დედი, ნუ გეშინია, არაფერია საშიში, ომი ახლა არ იქნება, არეულობა არავის აწყობს. უბრალოდ, მანევრებია და ჩვენი ბიჭები ვარჯიშობენო. შემდეგ უცებ მოტრიალდა, დედას ერთი გაუცინა, ნანო, წავედიო, უთხრა და დაეშვა კიბეზე. ისე სიხარულით გარბოდა, თითქოს ქორწილში მიდიოდა...

ასე დაემშვიდობა საყვარელ დედას გორის რაიონის სოფელ შერთულში მცხოვრები ჯარისკაცი გოგიტა მაკრახიძე, როცა სოფელში სროლისა და აფეთქების ხმა გაიგონა. არავინ იცის, იმ წუთში რას ფიქრობდა ეს უშიშარი ვაჟკაცი, დედას რომ ამხნევებდა. ერთი კი ცხადია, მას ყოველთვის სამშობლოს სიყვარულისთვის და თავისუფლებისთვის უძგერდა გული.

გოგიტა მაკრახიძემ 4 წელი იმსახურა საკონტრაქტო ჯარში. იყო ჭკვიანი და დისციპლინიანი ჯარისკაცი, ერთი შენიშვნაც არ ჰქონდა მიღებული მეთაურისაგან. ამიტომაც დაინიშნა ჯერ სერჟანტად, შემდეგ კი უფროსი სერჟანტი გახდა.

ომის დაწყების დღიდანვე წინა ხაზზე იბრძოდა. მეკავშირე იყო და თავის საქმეს პირნათლად ასრულებდა. „სადაც ბიჭებს გაგვიჭირდებოდა, იმ წუთში იქ გაჩნდებოდა ხოლმე, თუ ვინმე ალყაში აღმოვჩნდებოდით, გოგა მაშინვე მოგვძებნიდა და გაგვამხნევებდა“, — იგონებს მისი თანამებრძოლი შუბითიძე. „ერთი წუთითაც არ გაჩერებულა, ის ყველგან იყო თავის დიდ გადამცემ აპარატთან ერთად. ვატყობდით, ძალიან დაღლილი იყო, დასვენებაც ვთხოვეთ, მაგრამ მაინც მედგრად იბრძოდა. ერთ-ერთი დავალების შესრულებისას, როცა დაჭრილი ბიჭები უნდა გადაერჩინა, გოგა მძიმედ დაიჭრა ბომბის ნამსხვრევებით. ნაცვლად იმისა, ბიჭებისთვის შველა ეთხოვა, პირიქით, გამხნევება დაუწყო: მე კარგად ვარ, ბიჭებო, თქვენს თავს გაუფრთხილდითო... მძიმედ იყო დაჭრილი, ბევრ სისხლს კარგავდა და მაშინვე გამოვიყვანეთ ბრძოლის ველიდან, — ამბობს თვალცრემლიანი ჯაბა შავერდაშვილი, — გოგას ომახიანი ხმით მოწოდება: „ცოლშვილიანები უკან დადექით, საქორწილოები წინ წავალთ!“ — ახლაც ჩაგვესმის ბიჭებს. ის ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან. იცხოვრა კაცურად, იბრძოლა ვაჟკაცურად და დატოვა ძალიან დიდი სახელი“.

გოგამ დაოჯახებაც ვერ მოასწრო. ბიჭებს ეუბნებოდა: თუ ომი მოვიგეთ და შინ მშვიდობით დავბრუნდით, მალე დავქორწინდები და მაგრად გაქეიფებთო... ბევრი რამ დარჩა გასაკეთებელი და სათქმელი მეგობრებისთვის, საყვარელი ადამიანებისთვის და ძმისთვის.

დედას არ ავიწყდება მისი უკანასკნელი სიტყვები: „ნუ გეშინია, ნანო. ომი არ იქნება, მალე დავბრუნდები“, — მაგრამ ასე არ მოხდა. დედას არც ის ავიწყდება, როგორ დაუდგებოდა ხოლმე „ჩესტით“ შვილი და ეტყოდა: „ნანო, ვემსახურები საქართველოს!“

დღეს კი გოგას დედა მხოლოდ მის ფოტოებს ეფერება და ელაპარაკება.

დიდია ქალბატონი ნანულის მწუხარება, მაგრამ ამაყობს შვილის გმირობითა და სახელით.

იმრავლონ საქართველოში ასეთმა გმირებმა და ვაჟკაცებმა.

ღმერთო, დაუმკვიდრე გოგას ცათა შინა სასუფეველი და სანთელ-საკმეველი არ მოაკლო მის გმირ და სპეტაკ სულს.

მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი სოფელ შერთულის მიწა, გმირო ვაჟკაცო.

*შორენა ცქიტიშვილი*

*10. IV 2009 წ.*

# რუსეთ-საქართველოს ომი: აგრესია დასავლეთ საქართველოში



2008 წლის 1-ელი ოქტომბერი. ქართული კატარღების ამფეთქებელ პოდპოლკოვნიკ ანატოლი ლებედს რუსეთის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი ორდენს გადასცემს...



12 აგვისტო. იგივე პოდპოლკოვნიკი ფოთის სამხედრო პორტში ქართულ კატარღაზე თავს იწონებს




ხუთდღიანი ომის აღსანიშნავად გამოშვებული სამკერდე ნიშანი

შარშან, აგვისტოში, ცხინვალის რეგიონიდან 200-220 კილომეტრის დაშორებით, აფხაზეთის სანაპიროსა და ფოთში რუსეთის არმია შავი ზღვის ფლოტის მხარდაჭერით საქართველოში, სუვერენულ ქვეყანაში შემოიჭრა.

2008 წლის აგვისტოში საქართველო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე დაძაბული ვითარების მიუხედავად, ომის განახლების საშიშროება არ იყო, მაგრამ ცხინვალის რეგიონში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები რუსეთმა აფხაზეთის საქართველოსთვის ჩამოსაცილებელი გეგმის შესასრულებლად გამოიყენა.

გეგმაში დიდი ადგილი რუსეთის შავი ზღვის ფლოტმა დაიკავა, რომელიც რეგიონში ჯერ ისევ უძლიერესია და 2008 წლის აგვისტოს მდგომარეობით სახომალდო შემადგენლობიდან მზადყოფნაში იმყოფებოდა:

*სარაკეტო კრეისერი „მოსკვა“ (პროექტი 1164) — 16 ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა* П-500*, საზენიტო კომპლექსი 2X2* Оса-М *(40 რაკეტა), ორი 130 მმ-იანი ქვემეხი, 6X6 30მმ-იანი ავტომატი;*

*სარაკეტო საესკადრო ნაღმოსნები: „ოჩაკოვი“ (პროექტი* 1134ц*) — საზენიტო კომპლექსი 2X2* Оса-М *(40 რაკეტა), 2X2 76 მმ-იანი ქვემეხი, 6X6 30მმ-იანი ავტომატი; „სმეტლივი“ (პროექტი 61M) — 2X4 ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა „ურან“ X-35, 1X2 76 მმ-იანი ქვემეხი; „ქერჩი“ (პროექტი 61) — 2X2 76 მმ-იანი ქვემეხი;*

*სარაკეტო ფრეგატები: „ლადნი“ (პროექტი 1135) — საზენიტო კომპლექსი 2X2* Оса-МА-2 *(40 რაკეტა), 2X2 76 მმ-იანი ქვემეხი; „პიტლივი“ (პროექტი 1135M) — საზენიტო კომპლექსი 2X2* Оса-МА-2 *(40 რაკეტა), ორი 100 მმ-იანი ქვემეხი)*

*წყალქვეშა ნავი* Б-871 *„ალროსა“ (პროექტი* 877В*) — ექვსი 533 მმ-იანი სატორპედო აპარატი და 18 ტორპედო;*

*კორვეტები: „ალექსანდროვეცი“ (პროექტი 1124) — საზენიტო კომპლექსი 1X2* Оса-М *(20 რაკეტა), 1X2 57 მმ-იანი ქვემეხი, 1X6 30 მმ-იანი ავტომატი;*

ეროვნული ბიბლიოთეკა


ფოთის პორტში ჩაძირული „დიოსკურია"

„ვლადიმირეცი" (პროექტი 11451) — ერთი 76 მმ-იანი ქვემეხი, 1X6 30 მმ-იანი ავტომატი; „სუზდალეცი", „მურომეცი", „კასიმოვი", „პოვორინო" და „ეისკი" (პროექტი 1124М) — საზენიტო კომპლექსი 1X2 Оса-МА (20 რაკეტა), ერთი 76 მმ-იანი ქვემეხი, 1X6 30-იანი ავტომატი;

პატარა სარაკეტო ხომალდები: „ბორა" და „სამუმი" (პროექტი 1239) — 8 ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა „მოსკიტი", საზენიტო კომპლექსი 1X2 Оса-М (20 რაკეტა), ერთი 76 მმ-იანი ქვემეხი, 2X6 30 მმ-იანი ავტომატი; „შტილი" და „მირაჟი" (პროექტი 12341) — 6 ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა „მალაქიტი" П-120, საზენიტო კომპლექსი 1X2 Оса-М (20 რაკეტა), ერთი 76 მმ-იანი ქვემეხი, 1X6 30 მმ-იანი ავტომატი;

სარაკეტო კატარღები: P-60, P-109, P-239 და P-334 „ივანოვეცი" (პროექტი 12411) — 4 ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა „მოსკიტი", ერთი 76 მმ-იანი ქვემეხი; P-71 (პროექტი 12417) — 4 ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა „ტერმიტი" П-15М, ერთი 76 მმ-იანი ქვემეხი;

მტრალავი ხომალდები: „ჟელეზნიაკოვი" (პროექტი 12660) — ერთი 76 მმ-იანი ქვემეხი, 1X6 30 მმ-იანი ავტომატი; „ვალენტინ პიკული" (პროექტი 266МЭ) — 2X6 30 მმ-იანი და 2X2 25 მმ-იანი ავტომატები; „კოვროვეცი", „ივან გოლუბეცი", „ტურბინისტი" და „ვიცე-ადმირალი ჟუკოვი" (პროექტი 266М) — 2X2 30 მმ-იანი და 2X2 25 მმ-იანი ავტომატები;

დასახელებული ხომალდებიდან და კატარღებიდან ის შეიარაღებაა მოყვანილი, რომლითაც საზღვაო-სახმელეთო სამიზნეების განადგურება შეიძლება.

სადესანტო ოპერაციებისათვის ფლოტის განკარგულებაში იყო დიდი სადესანტო ხომალდები: „ნიკოლაი ფილჩენკოვი" და „სარატოვი" (პროექტი 1171), „აზოვი" (პროექტი 775М), „ცეზარ კუნიკოვი", „ნოვოჩერკასკი" და „იამალი" (პროექტი 775);


ფოთის პორტში აფეთქებული „გრიფი" P-204

იმ დროისათვის საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებში საკმაოდ რთული მდგომარეობა იყო. სარაკეტო კატარღის კლასის „თბილისსა" და „დიოსკურიას" მწყობრიდან გამოსული მთავარი ენერგეტიკული დანადგარების გამო ზღვაში გასვლა არ შეეძლოთ.

არაერთხელ ითქვა, რომ კატარღები საქართველომ ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო შეიარაღების გარეშე — რაკეტების მართვის დემონტირებული სისტემითა და ცარიელი სარაკეტო კონტეინერებით მიიღო, ამიტომ ორივე, ფაქტობრივად, საარტილერიო მცურავ საშუალებას წარმოადგენდა.

მწყობრში იდგა საზღვაო ძალების კატარღები: 202 „ქუთაისი" (ერთი 40 მმ-იანი ქვემეხი, 23 მმ-იანი ЗУ-23-2), 201 „ივერია" და 203 „მესტია" (2X2 23მმ-იანი ЗУ-23-2) და 101 „წყალტუბო" (ერთი 37 მმ-იანი ქვემეხი).

ამას შეიძლება დაემატოს სანაპირო დაცვის ძალების P-21 „გიორგი თორელი" (ერთი 37 მმ-იანი ქვემეხი) და ტყვიამფრქვევებით აღჭურვილი „გრიფის" ტიპის რამდენიმე კატარღა. შედარებით დიდი წყალწყვის P-22 „აიეტი" (ერთი 40 მმ-იანი ქვემეხი) გაუმართავი ენერგეტიკული დანადგარების გამო არ დაცურავდა.

საინტერესოა, ასეთი დისბალანსის პირობებში როგორ იგეგმებოდა აფხაზეთში საზღვაო დესანტის გადასხმა, რისთვისაც რამდენიმე ათეული სწრაფსვლიანი, გასაბერი რეზინის ნავი იქნა შეძენილი?

მოსკოვმა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ხომალდების შემოსვლას ათასნაირი მიზეზი მოუგონა: სამხრეთ ოსეთის მსგავსი მოვლენებისაგან აფხაზეთის გადარჩენა, სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან ლტოლვილებისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევა, ზღვაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რუსეთის მოქალაქეებისა და მშვიდობისმყოფელთა დაცვა, ბაღაფშის თხოვნით აფხაზეთის საზღვაო საზღვრების დაცვა და სხვ.

თუმც აგრესიის პირველივე დღეებიდან რუსული ხომალდების მიზანი ძალიან მალე გამოიკვეთა, კერძოდ, საქართველოს სანაპირო ზოლის ბლოკადა, საქართველოსათვის საზღვაო ტრანსპორტით შემოტანილი დახმარების გაკონტროლება, საქართველოს საზღვაო ძალების მცურავი საშუალებებისა და სანაპირო ინფრასტრუქტურის განადგურება და ა.შ.

ეს ომს ნიშნავდა, მაგრამ მოსკოვი

ჯიუტად იმეორებდა, რომ რუსეთი საქართველოს არ ებრძოდა.

8-9 აგვისტოს ღამით რუსმა სამხედროებმა ფოთში სამხედრო პორტს „ხმელეთი-ხმელეთი“ კლასის რამდენიმე რაკეტა ესროლეს. რატომ მაინცდამაინც ღამით? ალბათ, ასე სურდათ მოულოდნელობის ეფექტის მიღწევა და საქართველოს საზღვაო ძალების რაც შეიძლება მეტად დაზარალება.

ოჩამჩირის რაიონში შემოსულმა ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის 114-ე სარაკეტო ბრიგადამ ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების Точка-У (ჩვეულებრივი ქობინით ფრენის მაქსიმალური სიშორე 120 კილომეტრი) ტიპის სამი ან მეტი რაკეტა გამოისროლა. რაკეტების ქობინები კასეტური ელემენტებით იყო დატენილი.

ქართველმა მეზღვაურებმა ცეცხლი საზენიტო-საარტილერიო საშუალებებით გახსნეს, მაგრამ ღამით რაკეტებს აბა, რას დააკლებდნენ. ორი რაკეტა სამხედრო პორტის ტერიტორიაზე, ხოლო ერთი კი სამხედრო პოლიციის შენობის მახლობლად ჩამოვარდა. კასეტურმა ელემენტებმა ხუთი მეზღვაურის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო 30-ზე მეტი კი დაიჭრა.

კიდევ კარგი, ჩამოყრილი კასეტური ელემენტების დიდი ნაწილი ზღვაში ჩავარდა, თორემ მეზღვაურებში მსხვერპლი ბევრად მეტი იქნებოდა.



შავი ზღვის ფლოტი საბრძოლო მზადყოფნაში 8 აგვისტოს მოვიდა და იმავე დღეს საქართველოს ტერიტორიული წყლების აფხაზეთის მონაკვეთში პატრულირებისათვის კორვეტი „კასიმოვი“ და სარაკეტო კატარღა P-109 გამოიგზავნა.

ფლოტის დიდმა სადესანტო ხომალდებმა — „ცეზარ კუნიკოვმა“ და „სარატოვმა“ ნოვოროსიისკში მე-7 საჰაერო-სადესანტო დივიზიის ქვედანაყოფებისა და ტექნიკის დატვირთვის ბრძანება მიიღეს. ოდნავ მოგვიანებით ნოვოროსიისკისაკენ დამატებით კიდევ ერთი დიდი სადესანტო ხომალდი — „იამალი“ გაიგზავნა.

ნოვოროსიისკიდან დიდი სადესანტო ხომალდები პატარა სარაკეტო ხომალდ „მირაჟის“, კორვეტ „სუზდალეცის“,




ქართული ფლოტის ვეტერანი „განთიადი“ ისევ ცოცხალია

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გიორგი თორელი“ 2009 წლის ივლისი, ფოთის სამხედრო ფლოტში




საზღვაო მტრალავების: „ჟელეზნიაკოვისა“ და „ტურბინისტის“ თანხლებით აფხაზეთისაკენ წამოვიდნენ.

9 აგვისტოს 16:00სთ-დან რუსეთმა აფხაზეთის სანაპიროსა და მიმდებარე წყლებში შავი ზღვის ფლოტის ხომალდების გარშემო 50-კილომეტრიანი ე.წ. „უსაფრთხოების ზონა“ გამოაცხადა. ზონაში შესული ნებისმიერი ხომალდი თუ გემი აგრესორად ჩაითვლებოდა და მის წინააღმდეგ შესაბამისი ზომები გატარდებოდა.

9 აგვისტოს დღის მეორე ნახევარში სევასტოპოლიდან შავი ზღვის ფლოტის ფლაგმანი, სარაკეტო კრეისერი „მოსკვა“ სარაკეტო-საესკადრო ნაღმოსან „სმეტლივის“ თანხლებით გამოვიდა და 10 აგვისტოს 12 საათისათვის ორივე ხომალდი აფხაზეთის სანაპიროსთან იყო.

იმავე დღეს 5.30სთ-ზე სადესანტო ხომალდებმა ოჩამჩირესთან, პირდაპირ სანაპიროზე, დაახლოებით 1500 მედესანტე გადმოსხეს და სამხედრო ტექნიკის 100 ერთეული გადმოტვირთეს. დესანტირების რაიონს „მირაჟი“ და „სუზდალეცი“ იცავდნენ.

რუსული ხომალდების მოახლოებასთან ერთად ქართულმა კატარღებმა ფოთი დატოვეს და ბათუმში გადავიდნენ. სამხედრო პორტში ჯერ ისევ რჩებოდა დაზიანებული და დამოუკიდებლად ცურვის უნარმოკლებული რამდენიმე კატარღა, თუმცა ზოგიერთის ბუქსირით გაყვანა, ალბათ, შესაძლებელი იყო.

ფოთი ყველაზე ბოლოს სანაპირო დაცვის საპატრულო P-21 „გიორგი თორელმა“ დატოვა. კატარღის მეთაურის, კაპიტან-ლეიტენანტ ზაზა გელაძის თქმით, ფოთიდან გამოსვლისას რუსი მეზღვაურები „გიორგი თორელს“ ბოლო ცურვასა და ჩაძირვას დაჰპირდნენ, მაგრამ დანაპირები რატომღაც არ შეასრულეს.

საქართველოს საზღვაო ძალების შეტევით მოქმედებებს აზრი არ ჰქონდა, ეს თვითმკვლელობის ტოლფასი იყო. რუსულ ხომალდებს ავიაცია, რაკეტები თუ მსხვილკალიბრიანი არტილერია საიმედოდ იცავდა. არადა, აგრესორს გმირი მეზღვაურები და ჯილდოები სჭირდებოდა.

შედგა საზღვაო ბრძოლის ინსცენირების გეგმა, სადაც მთავარ როლებს კორვეტი „სუზდალეცი“ (მეთაური III რანგის კაპიტანი ვადიმ ჯანუნცი) და პატარა სარაკეტო ხომალდი „მირაჟი“ (მეთაური III რანგის კაპიტანი ივან დუბიკი) ასრულებდნენ, ხოლო რეჟისურა ნოვოროსიისკის სამხედრო-საზღვაო ბაზის მეთაურს, ვიცე-ადმირალ სერგეი მენიაილოს ეკუთვნოდა.

გეგმის შესაბამისად, 10 აგვისტოს საღამოს 17:10სთ-ზე (სახელდება სხვა დროც) „მირაჟმა“ სწრაფსვლიანი 3-5 სამიზნე 45 კილომეტრის მანძილზე დააპელენგა. სამიზნეებში ქართული კატარღები (ამ დროისათვის ყველა ქართული კატარღა ბათუმის პორტში იდგა) იქნა ამოცნობილი და ადმირალ მენიაილოს ბრძანებით „სუზდალეცმა“ კომპლექს Oca-ს ორი რაკეტით გამაფრთხილებელი გასროლა შეასრულა.

საზენიტო რაკეტებით გამაფრთხილებელი სროლა რუსული საზღვაო სიახლეა, რომლის ეფექტიანობა საქართველოს ფლოტზე გამოიცადა და თან შედეგიანად: ერთ-ერთი რაკეტა საპატრულო კატარღა P-104-ს „მოხვდა“ და ცეცხლი გაუჩინა.

გაუგებარი ის არის, ზღვაში ცეცხ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლმოდებულ-განადგურებული კატარღა ფოთის სამხედრო პორტის გემსადგომზე როგორ აღმოჩნდა?

ქართული კატარღები შეტევას აგრძელებდნენ და 18:41სთ-ზე პატარა სარაკეტო ხომალდმა „მირაჟმა“ 25 კილომეტრის მანძილიდან „მალაქიტის“ ტიპის 2 ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა გამოიყენა.

რუსების აზრით, „მირაჟის“ რაკეტებმა „თბილისი“ ან „გიორგი თორელი“, ან თევზმჭერი სეინერი „განთიადი“ ჩაძირეს. თუმც ამ უკანასკნელის საბრძოლო და თან სარაკეტო კატარღად მიჩნევა საკმაოდ დიდი პატივია.

ქართული ფლოტის ვეტერანი „განთიადი“ ფოთის პორტის თევზმჭერი სეინერების სადგომთან დიდი ხანია დგას და გარემონტებას ელოდება.

„მირაჟის“ მეთაურმა თავი კიდევ ერთხელ ისახელა და 18:50სთ-ზე Oca-ს კომპლექსის რაკეტით შეტევაზე გადასულ ჰიდროგრაფიულ კატარღა DHK-81-ს ცეცხლი გაუხსნა და ჩაძირა, მაგრამ რუსული რაკეტით დამწვარ-ჩაძირული ჰიდროგრაფიული კატარღა DHK-81 რატომღაც დღესაც მწყობრშია და სამსახურს აგრძელებს.

გამოგონილი საზღვაო „ბრძოლის“ მეტი დამაჯერებლობისათვის რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის წარმომადგენელმა კატეგორიულად განაცხადა, რომ რუსულმა ხომალდებმა უნარიანი მოქმედებებით ჩაშალეს ქართული სასაზღვრო და სარაკეტო კატარღების პროვოკაციული სამხედრო მოქმედებები, გადაარჩინეს ასეულობით რუსი სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლე და რუსეთს მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური ზარალი თავიდან აცილეს.

ახლა უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ 12 აგვისტოს ფოთის სამხედრო პორტში დივერსიების ჩასატარებლად სპეციალურად გამოიგზავნა რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების 45-ე ცალკეული სადაზვერვო პოლკის ქვედანაყოფი.

რუსმა დივერსანტებმა პოდპოლკოვნიკ ანატოლი ლებედის მეთაურობით ააფეთქეს და ჩაძირეს: „თბილისი“, „დიოსკურია“, „წყალტუბო“, „აიეტი“, P-204 და P-205 „ორბი“. ამას არ დასჯერდნენ და ხელს გააყოლეს 7 „შავი ზვიგენის“ ტიპის და 8 APEX-ის ტიპის რეზინის გასაბერი კატარღა, დიზელგენერატორები, კომპიუტერული ტექნიკა, მაგიდები, სკამები, პირადი შემადგენლობის ნივთები და ოფიცრების ფორმებიც კი.

ფოთში გემსადგომთან აფეთქებულ-



„ფოთის საზღვაო ბრძოლის“ მთავარი რეჟისორი ადმირალი სერგეი მენიაილო და სეპარატისტთა ლიდერი ბაღაფში

ჩაძირული კატარღები შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურებმა საზღვაო ბრძოლაში განადგურებულად გაასაღეს, ხოლო რუსეთის უმაღლეს მთავარსარდალს, პრეზიდენტ მედვედევს ქართული სარაკეტო კატარღების შეტევის ჩაშლა და რამდენიმე მათგანის ჩაძირვა უპატაკეს.

დადგმულ საზღვაო სპექტაკლში მონაწილე ერთ-ერთმა ოფიცერმა — „მირაჟის“ მეთაურმა III რანგის კაპიტანმა ივან დუბიკმა ორდენი „მამაცობისათვის“ 14 აგვისტოს უშუალოდ რუსეთის პრეზიდენტისაგან მიიღო.

„სუზდალეცის“ მეთაური III რანგის კაპიტანი ვადიმ ჯანუნცი ასევე დაჯილდოვდა ორდენით „მამაცობისათვის“, ხოლო სპექტაკლის — „ფოთის საზღვაო ბრძოლის“ მთავარ რეჟისორს, ვიცე-ადმირალ სერგეი მენიაილოს ვაჟკაცობის, მამაცობისა და თავდადებისათვის ხმლებისგამოსახულებიანი „მამულის წინაშე დამსახურებისათვის“ IV ხარისხის ორდენი გადაეცა.

საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის აღსანიშნავად რუსებმა სამახსოვრო სამკერდე ნიშანიც მოიგონეს, სადაც კრეისერ „მოსკვას“, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დროშების ფონზე საქართველოს დროშაც არის გამოსახული წარწერით — „საზღვაო ოპერაციების მონაწილე“.

ზღვიდან საკმაოდ დაშორებული ცხინვალის რეგიონის შავ ზღვასთან დაკავშირება კიდევ ერთი რუსული გეოპოლიტიკური „სიახლეა“.

„ფოთის საზღვაო ბრძოლა“ რუსულ საინფორმაციო საშუალებებში ფართოდ გაშუქდა და ზოგიერთი ქვეყნის გამოცემამ წყაროდაც კი გამოიყენა. მათ შორის აღმოჩნდა ჩვენი მეგობარი ქვეყნების — ლიტვის სამხედრო უწყების ჟურნალი Kardas-ი, პოლონეთის საზღვაო ჟურნალი Okrety Wojenne №91 (5/2008) და სხვ.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ რუსულმა ხომალდებმა რაკეტები ნამდვილად გამოიყენეს, მაგრამ არა ქართული კატარღების გასანადგურებლად. მეზღვაურებმა რაკეტებით სასწავლო სამიზნეები გაანადგურეს, რომლის ნამსხვრევები მოლდავური მშრალტვირთმზიდი „ლოტოს-1“-ის გემბანზე დაცვივდა, ხოლო საქართველოს სანაპიროსთან „მამაცური თავდადებული“ ვარჯიშისათვის სახელმწიფო ჯილდოები დაიმსახურეს.

მომდევნო დღეებში ფოთის რაიონში შავი ზღვის ფლოტის აქტიურობა შემცირდა, მაგრამ აფხაზეთის მონაკვეთზე რუსული ხომალდები კვლავინდებურად რჩებიან.

როცა ცნობილი გახდა, რომ ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდები საქართველოსათვის ჰუმანიტარული დახმარების შემოტანას იწყებდნენ, აგვისტოს ბოლოს საქართველოს სანაპიროსკენ სარაკეტო კრეისერი „მოსკვა“ ორ თანმხლებ ხომალდთან ერთად გამოიგზავნა.

27 აგვისტოს „მოსკვა“, გაბარიტებიდან გამომდინარე, სოხუმის რეიდზე დადგა, ხოლო თანმხლები ხომალდები პორტში შევიდნენ. აგრესორებს სეპარატისტებმა საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს, — სერგეი ბაღაფშის მიწოდებული ყანწი ადმირალმა სერგეი მენიაილომ სულმოუთქმელად დაცალა.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

თემურ ჩაჩანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 25 ივლისს სანაპირო დაცვის დღე აღინიშნა



სანაპირო დაცვის მოსამსახურეებს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი მიესალმა

საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხელისუფლების გადაწყვეტილებასა და 1998 წლის 16 ივლისიდან საკუთარი ძალებით ქვეყნის საზღვაო საზღვრების გაკონტროლების დაწყებას.

ამის აუცილებლობა გამოიწვია იმ უმსგავსობამ, რაზეც რუსი მესაზღვრეები თვალს ხუჭავდნენ და რასაც ქართველი მეზღვაურები პატრულირების პირველივე დღეებში წააწყდნენ: საქართველოს სახელმწიფოს კანონმდებლობის სრულ იგნორირებას, ზოგიერთი ქვეყნის სავაჭრო გემის ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის დროშით ცურვას, აჭარის საზღვრების დამოუკიდებლად გაკონტროლების ასლან აბაშიძის ამბიციებს და სხვ.

აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება არაერთხელ დაემუქრა ჩაძირვით ქართულ საპატრულო კატარღებს, თუმცა ჩვენმა მეზღვაურებმა პირიქით, საქართველოს კანონმდებლობის დამრღვევი არაერთი გემი უშუალოდ აფხაზეთის სანაპიროს ახლოს დააკავეს.

განვლილ დროში მეგობარი ქვეყნების: აშშ-ის, გერმანიის, თურქეთის, უკრაინისა და სხვების დახმარებით შეიქმნა თანამედროვე და მოქმედი სტრუქტურა, რომელმაც სხვადასხვა დარღვევისათვის ათეულობით გემი დააკავა.

ამჯერად სანაპირო დაცვის დღე 25 ივლისს აღინიშნა. ფოთის სანაპირო დაცვის ბაზაში დაგეგმილ საზეიმო ღონისძიებებს დაესწრნენ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, სასაზღვრო პოლიციის უფროსი გენერალ-მაიორი ზაზა გოგავა, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორი, I რანგის კაპიტანი ბესიკ შენგელია, საქართველოში აკრედიტებული ზოგიერთი ქვეყნის სამხედრო ატაშე, აგვისტოს ომში დაღუპულთა ახლობლები და მონაწილეები, ფოთის საქალაქო მმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

საზეიმო მოწყობაზე სანაპირო დაცვის დეპარტამენტის რამდენიმე ოფიცერსა და მიჩმანს საიუბილეო მედალი და სამკერდე ნიშანი, საპატიო სიგელი და ფულადი ჯილდო გადაეცა, ხოლო ერთმა ოფიცერმა ვადაზე ადრე მორიგი სამხედრო წოდება მიიღო.

სანაპირო დაცვის მცურავ საშუალებებს ახლახან დამატებული სასაზღვრო-საპატრულო კატარღა P-108-ის მეთაურებმა — კაპიტან-ლეიტენანტმა მამუკა მოდებაძემ და III რანგის კაპიტანმა ცისკარა მახარაძემ კატარღის დროშა ჩაიბარეს.

საზეიმო ნაწილის დასრულების შემდეგ პატივი მიეგო 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ მეზღვაურებსა და დაღუპულთა სულის მოსახსენიებლად ღია ზღვაში რამდენიმე კატარღით შინაგან საქმეთა მინისტრი, დეპარტამენ-

2008 წლის 8-9 აგვისტოს სამხედრო პორტის ტერიტორიაზე ჩამოვარდნილი რუსული რაკეტა Точка-У-ს ფრაგმენტი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის ხელმძღვანელობა და სტუმრები გავიდნენ.

ძველი საზღვაო ტრადიციისამებრ, კატარღების საყვირების გუგუნით P-108-დან სანაპირო დაცვის ოფიცრებმა ყვავილების გვირგვინი ზღვაში ჩაუშვეს.

მომდევნო ღონისძიება 8-9 აგვისტოს რუსული სარაკეტო თავდასხმის დროს დაღუპული მეზღვაურების მემორიალის გახსნა იყო.

იმ ღამით რუსეთის არმიის ვერაგულ თავდასხმას სამხედრო-საზღვაო ძალების ხუთი მეზღვაური: კაპიტან-ლეიტენანტი თეიმურაზ ჭიტაძე, კაპრალები — ზვიად დათუაშვილი, თემურ ფიჩხაია, გიორგი ღვინჯილია და ზვიად ბარბაქაძე შეეწირნენ. დაიჭრა 30 სამხედრო მოსამსახურე და მათ შორის რამდენიმე დაინვალიდდა.

რუსული რაკეტის კასეტური ელემენტების წვიმაში პატარა სადესანტო ხომალდი „გურია“ და სწრაფსვლიანი რეზინის კატარღები მოექცა.

კრიტიკულ მომენტში, როცა „გურიის“ ეკიპაჟი ხომალდიდან გემბანზე გამოსვლას შეეცადა, კაპრალი ზვიად დათუაშვილი კარში ჩადგა, თანამებრძოლებს გემბანზე გამოსვლის საშუალება არ მისცა, კასეტური ელემენტის აფეთქებას შეეწირა და თავისი სიცოცხლის ფასად მეგობრები გადაარჩინა.

იმ თავდასხმის დროს მძიმედ დაიჭრა „გურიის“ მასტერ-სერჟანტი აბესალომ ბუკია. მისი თქმით, ხომალდს პორტში მდებარეობა სულ ერთი საათის შეცვლილი ჰქონდა, როცა მოწინააღმდეგემ სარაკეტო თავდასხმა დაიწყო. ეკიპაჟიდან ასევე მძიმედ დაიჭრა კაპრალი მამუკა ღურწკაია, რომელსაც ფეხის ამპუტაცია დასჭირდა.


დაღუპული ქართველი მეზღვაურების მემორიალი

სწრაფსვლიანი რეზინის კატარღების მახლობლად დაიღუპნენ კაპრალები თემურ ფიჩხაია და გიორგი ღვინჯილია.

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, დაღუპული მეზღვაურების ოჯახებს ფულადი დახმარებები გადაეცათ. კარგი იქნებოდა, დახმარება მიეღოთ იმ დაინვალიდებულ სამხედრო მეზღვაურებსაც, რომლებსაც სამხედრო სამსახურის გაგრძელება აღარ შეუძლიათ.

*თემურ ჩაჩანიძე*


ანატოლი გავრილენკოს ფოტო: დაღუპულთა სულის მოსახსენიებლად ახალშეძენილი P-108-ის ბორტიდან ძველი საზღვაო ტრადიციის თანახმად, ზღვაში ყვავილების გვირგვინი ჩაუშვეს


არსენალი
P-108
სანაპირო დაცვა
COAST GUARD

# საქართველოს სანაპირო დაცვის ახალი კატარღა

ჩვენი ძალოვანი სტრუქტურების აღჭურვილობაში შეიარაღებისა და ტექნიკის თანამედროვე მოდელები სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს.

რამდენიმე დღის წინ სანაპირო დაცვამ მეგობარი თურქეთიდან კომპანია Yonca Onuk-ის ქარხანაში აგებული კომპოზიციური მასალებისაგან აგებული KAAN-20 მოდელის საპატრულო კატარღა P-108 მიიღო.

კატარღის წყალწყვა 36 ტონა, სიგრძე — 22,55 მ, სიგანე — 4,76 მ და წყალჯდომა — 1,3 მ-ია. მაქსიმალური სიჩქარე 60 კვანძზე მეტს შეადგენს. აქვს MTU ფირმის 1500 ცხ.ძ. სიმძლავრის ორი დიზელი. ეკიპაჟი 4 კაცისაგან შედგება და დამატებით 10 მგზავრის მიღება შეუძლია. აქვს დისტანციურად მართვადი საბრძოლო მოდული წვრილკალიბრიანი ტყვიამფრქვევით.

მისი დანიშნულებაა სანაპირო ზოლში მართლწესრიგის დაცვა, საძიებო-სამაშველო ოპერაციები, სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, საპოლიციო ფუნქციები, ბრძოლა ზღვის დაბინძურებასთან, სანიტარიული ზედამხედველობა და სხვ.



# შვეულმფრენის ტიპის უპილოტო საფრენი აპარატი

ეროვნული ბიბლიოთეკა



აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს შეკვეთით კომპანია Frontier Aircraft-მა ხანგრძლივი დროით ფრენაზე გათვლილი აპარატი — A160 Hummingbird-ი შექმნა, რომელსაც ამჟამად Boeing-ი აწარმოებს.

აპარატის ფიუზელაჟი კომპოზიციური მასალებისაგან არის დამზადებული და მთელი რიგი ტექნიკური სიახლე ახასიათებს.

ფრენისათვის გამოყენებულია ოთხფრთიანი წამყვანი ხრახნი, ხოლო საჭისათვის კი ორფრთიანი ხრახნი.

აპარატის აღჭურვილობაში შედის: ოპტიკურელექტრული მოწყობილობები, რადარები, რადიო და რადიოტექნიკური დაზვერვის ან რადიოელექტრული გზაგადამჭრელი საშუალებები, მონაცემთა გადამცემი აპარატურა.

მაქსიმალური სიჩქარე საათში 260 კილომეტრს, პრაქტიკული ფრენის ჭერი — 9145 მეტრს, ფრენის სიშორე — 4630 კილომეტრს და ფრენის ხანგრძლივობა 24 საათს შეადგენს. მაქსიმალური საფრენოსნო მასა 2500 კილოგრამია, ხოლო სასარგებლო დატვირთვა 450 კილოგრამი.

2009 წლის 9 მაისს აპარატმა რეკორდული ფრენა შეასრულა, რომლის დროსაც 18,7 საათი იფრინა და ავზებში საწვავი კიდევ 90-წუთიანი ფრენისთვის იყო საკმარისი.

# საქართველოს საგარეო დაზვერვა

# მითი და რეალობა

**დასაწყისი იხ. „არსენალი“ №14**

## საგარეო დაზვერვა პირველი რესპუბლიკის წლებში

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პირველი ეტაპი (1918-1921 წწ.) იმდენად ხანმოკლე აღმოჩნდა, რომ საქართველოში, როგორც პოლიტიკურად და ეკონომიკურად სუვერენულ ქვეყანაში, ახალგაზრდა სახელმწიფოს ეფექტიანი მართვისთვის აუცილებელი ინსტიტუტების შექმნა ვერ მოხერხდა.

მიზეზი ის იყო, რომ რუსეთის იმპერიაში ცალკეული გუბერნია „ცენტრიდან“ — მოსკოვიდან იმართებოდა და მათ, ბუნებრივია, არ გააჩნდათ დამოუკიდებელი სახელმწიფო სტრუქტურები. რუსეთის იმპერია იმდენად მოულოდნელად დაინგრა, რომ მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე ერთბაშად წარმოქმნილ ახალ სახელმწიფოებს ეროვნული ინსტიტუტების შექმნის დრო, ფაქტობრივად, არც ჰქონდათ. ეს ინსტიტუტები ახალი ქვეყნების საერთაშორისო აღიარების პარალელურად იქმნებოდა.

ქართველი მენშევიკები ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით სახელმწიფო ინსტიტუტებს რუსი ბოლშევიკების თარგზე ჭრიდნენ და ქვეყნის აშენებას სოციალისტურ საფუძველზე გეგმავდნენ. თუმცა მათგან განსხვავებით ძლიერი სპეცსამსახურების შექმნისთვის ნაკლებად იცლიდნენ. საგარეო დაზვევრვის სტრუქტურაზე რომ არაფერი ვთქვათ, იმ წლებში საქართველოში ერთიანი სტატისტიკის სამსახურიც კი არ არსებობდა.

რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების შემდეგ, საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსი, რუსეთმა ოფიციალურად აღიარა. ბოლშევიკების მზაკვრობა სწორედ ის იყო, რომ ამ ხელშეკრულების შემდეგ მათ უფრო გააძლიერეს საქართველოსთან ფარული ბრძოლა. თბილისში გახსნილი რუსეთის დიპლომატიური მისიის ყველა წევრი (დაახლოებით 50 კაცი), სერგეი კიროვის ხელმძღვანელობით, ყველაფერს აკეთებდა, რომ დივერსიების, საბოტაჟისა და გაჭირვებული მოსახლეობის წაქეზებით დაემხოთ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება. ცალკე საკითხია რუსი ბოლშევიკების მოქმედებად სხვადასხვა ეროვნების სეპარატისტებისთვის (უპირველესად კი აფხაზებისა და ოსების). მატერიალური და სამხედრო დახმარების აღმოჩენა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასარღვევად. ლენინის მოთხოვნით 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულებაში შევიდა საიდუმლო პუნქტები, რომლებიც მაშინ საჯაროდ გამოქვეყნებული არ ყოფილა. საქართველო ვალდებულებას იღებდა, დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინა სასჯელისაგან და სასამართლო და ადმინისტრაციული წესით დევნისაგან ყველა ის პირი, ვინც იდევნებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ან კომუნისტური პარტიის სასარგებლოდ მოქმედებისთვის.

იმ ისტორიულ ეტაპზე (1920 წლის 2-15 მაისი) ლენინი და სტალინი ჯერ კიდევ უწევდნენ ანგარიშს ევროპის ქვეყნების მოთხოვნებს. ამიტომ რუსი ბოლშევიკების მიზანი აგენტურულ-დივერსიული მოქმედებებით საქართველოში დაძაბულობის შექმნა უფრო იყო, ვიდრე სამხედრო ძალით ხელისუფლების დამხობა. ამისთვის ითხოვდნენ ისინი კომუნისტების ლეგალიზებას.

**მათ შორის, ვინც აქტიურად იბრძოდა ახალგაზრდა დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ, იყო ოცდაერთი წლის ლავრენტი ბერიაც, რომელიც 1920 წლის აპრილიდან მე-11 არმიის სადაზვერვო სამმართველოს დავალებით არალეგალურად იმყოფებოდა საქართველოში და ასრულებდა ბოლშევიკების დავალებებს**



მათ შორის, ვინც აქტიურად იბრძოდა ახალგაზრდა დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ, იყო ოცდაერთი წლის ლავრენტი ბერიაც, რომელიც 1920 წლის აპრილიდან მე-11 არმიის სადაზვერვო სამმართველოს დავალებით არალეგალურად იმყოფებოდა საქართველოში და ასრულებდა ბოლშევიკების დავალებებს: ქმნიდა რეზიდენტურებს, ჰქონდა საქართველოს სამხედრო ძალებისა და ეროვნული გვარდიის შტაბების ოფიცრების გადაბირებას.

ბერიას, ნაზაერთიანსა და სხვა ბოლშევიკებს, ასევე ცენტრალური კომიტეტის წევრებს მალევე აპატიმრებენ. საქმეში მოსკოვი ერთვება და ნოე ჟორდანიაც უკვე მერამდენედ იძულებულია, დაუთმოს რუსეთს. მისი განკარგულებით ყველას ათავისუფლებენ იმ პირობით, რომ ისინი სამი დღის ვადაში დატოვებენ საქართველოს.

ლავრენტი ბერია კი რჩება და „ლაკერბაიას“ ყალბი საბუთით სამსახურს იწყებს რსფსრ-ს წარმომადგენლობაში, რომელსაც რუსი ბოლშევიკი სერგეი კიროვი ხელმძღვანელობდა. ბერია განაგრძობს არალეგალურ სადაზვერვო საქმიანობას. ახალი ბრძანებებისა და დავალებების მისაღებად ხშირად ჩადის ბაქოში, სადაც მდებარეობდა საქართველოს ხელისუფლების დამხობის მოსამზადებელი სამხედრო-პოლიტიკური ცენტრი. ერთ-ერთი ვიზიტის შემდეგ უკან დაბრუნებისას ნოე რამიშვილის ბრძანებით ბერიას აპატიმრებენ და კიროვის დიდი მცდელობის მიუხედავად, ტიფლისის ციხეში ათავსებენ.

1920 წლის ივნის-ივლისის თვეებში ბერია ქუთაისის ციხეში იყო, შემდეგ კი მენშევიკებმა გაათავისუფლეს და აზერბაიჯანში გააძევეს.

ლავრენტი ბერიას საქმიანობა რომ უშედეგო არ იყო, ისტორიული ფაქტებიც გვიდასტურებს. ერთ-ერთი გადაბირებული ქართველი თავადი და რუსეთის არმიის ყოფილი ოფიცერი შალვა წერ-

ეთული იყო, რომლის მძიმე ხვედრზე მოკლედ ქვემოთ მოგითხრობთ.

## ლავრენტი ბერიას ერთგულება სიცოცხლის ფასად

შალვა ოთარის ძე წერეთული დაიბადა 1894 წელს, საჩხერეში. სწავლით დიდად არ გამოირჩეოდა, ალბათ, უფრო პირიქით — სულ ორი კლასის განათლება მიიღო. სამაგიეროდ, თავგადასავლებისა და ავანტიურის დიდი მოყვარული იყო. 1915 წელს მოხალისედ წავიდა პირველ მსოფლიო ომში, თავიც მალევე ისახელა და 1916 წელს გიორგის ჯვარიც დაიმსახურა. ამის შემდეგ ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს, სადაც ორი წელი დაყო.

საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, 1918 წლის ბოლოდან, შტაბსკაპიტნის ჩინით მსახურობდა ქართულ ჯარში. თუმცა გული კი მაინც ბოლშევიკებისკენ მიუწევდა. 1919 წელს ფარულად კომუნისტური პარტიის წევრი გახდა.

თავადი წერეთლის რუსეთისადმი სიმპათია საქართველოს მენშევიკურ მთავრობას არ გამოჰპარვია და ბოლშევიკების აგენტობის ბრალდებით მას ჯერ თბილისის, ხოლო 1920 წელს ქუთაისის ციხეში უკრეს თავი. ამავე ციხეში იჯდა ლავრენტი ბერიაც, რომელიც საქართველოში რუსეთის წარმომადგენლის, სერგეი კიროვის ჩარევის შემდეგ იმავე წლის ივლისში გაათავისუფლეს. შალვამ კი ციხის ლაზარეთიდან გაქცევა მოახერხა. ერთი წელი ტყეს აფარებდა თავს და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლებს აწარმოებდა. ალბათ, სწორედ ამ დამსახურებისათვის ბოლშევიკებმა ის 1921 წელს მუშათა და გლეხთა მილიციის ბანდიტიზმის განყოფილების ხელმძღვანელად დანიშნეს. სავარაუდოდ, ქუთაისის ციხეში ერთად ყოფნის პერიოდიდან მოხვდა შალვა წერეთული ჯერ საქართველოს, შემდეგ ამიერკავკასიის ჩეკას ხელმძღვანელის ლავრენტი ბერიას თვალთახედვის არეში.

ბერიამ იცოდა ერთგულების დაფასება. წერეთულს 1935 წლის 26 მარტს მიენიჭა სახელმწიფო უშიშროების კომისრის წოდება, ხოლო 1938 წელს მოსკოვში გადაყვანამდე საქართველოს მილიციის უფროსი იყო. ბერიამ მოსკოვში გადასვლისთანავე „თავისი გუნდიც" წაიყვანა. შალვა საკავშირო შინსახკომის მე-3 განყოფილების (დაპატიმრება და ჩხრეკა) უფროსის მოადგილედ დაინიშნა. ერთი წლის შემდეგ ის უკვე ამ განყოფილების უფროსია. წერეთული პირადად მონაწილეობდა საკავშირო შინსახკომის ყოფილი ხელმძღვანელების: ეჟოვის, ფრინოვსკის, კედროვისა და სხვა მაღალჩინოსანი ჩეკისტების დაპატიმრებაში. ბერიას დავალებით ჩატარებულ სრულიად საიდუმლო ოპერაციებში დამსახურებისთვის წერეთული 1941 წელს საქართველოს შინსახკომის პირველ მოადგილედ დანიშნეს. 1942 წლის 14 თებერვალს წერეთულს სახელმწიფო უშიშროების მე-3 რანგის კომისრის (ანუ გენერალ-მაიორის) სამხედრო წოდება მიანიჭეს. 1943 წელს თეირანის კონფერენციაზე ბერიას დავალებით ის სტალინის პირად დაცვას ხელმძღვანელობდა. ომის შემდეგ საქ. სსრ უშიშროების მინისტრის მოადგილეა, 50 წლის შესრულდა თუ არა, „საჩუქრად" გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდება მიანიჭეს. შალვა წერეთული 1949 წლის დეკემბრიდან 1953 წლის 6 ივლისამდე საქართველოს სსრ უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე და სასაზღვრო ჯარების სარდალი იყო. შალვა წერეთული 1955 წლის 15 ნოემბერს დახვრიტეს.

## ბრძოლა ბოლშევიკების აგენტურასთან

საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში შიდა უსაფრთხოების დაცვის (გარკვეულწილად პოლიტიკური პოლიციის) და კონტრდაზვერვის ფუნქციებს მილიცია ასრულებდა. საქართველოს ჯარს ტაქტიკური სამხედრო დაზვერვის ნაწილები კი ჰყავდა, მაგრამ საგარეო დაზვერვის ცალკე სტრუქტურა ან რაიმე დანაყოფი არ არსებობდა.

1918-1920 წლების ქართულ გაზეთებში მოიპოვება ცნობები ქართული მილიციის მიერ ჩატარებული კონტრდაზვერვითი ოპერაციების შესახებ, რომლებიც, ერთი მხრივ, ადგილობრივი ქართველი „ბოლშევიკების", ხოლო მეორე მხრივ, რუსეთიდან გამოგზავნილი სხვადასხვა ეროვნების აგენტურის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ქვემოთ უცვლელად შემოგთავაზებთ მაშინდელი მთავრობის ყოველდღიურ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" 1919-1920 წლებში გამოქვეყნებული ოფიციალური ინფორმაციიდან საინტერესო ამონარიდებს.

„7 ოქტომბერს ქუთაისის ქალაქის მილიციის უფროსი სილიბისტრო მაღნარაძის განკარგულებით ბოლშევიკური იდეების გავრცელებისათვის დაატუსაღეს და ქუთაისის ციხეში მოათავსეს აკაკი კობახიძე".

ირკვევა, რომ 2008 წლის „აგვისტოს ომის" დროს სადგურ გრაკალთან რუსეთის სპეცრაზმის მიერ რკინიგზის ლიანდაგის აფეთქება, ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოციან წლებში ბოლშევიკების მიერ ჩატარებული დივერსიული ოპერაციის გამეორება ყოფილა.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 1919 წლის 7 ოქტომბრის ნომერში ვკითხულობთ: „საქართველოს სახაზინო რკინის გზაზე სამხედრო წესების გამოცხა-




იკითხეთ წიგნის მაღაზიებში
ან დარეკეთ 38-26-73; 38-26-74
და მიიღეთ წიგნი სახლში, ფასნამატის გარეშე
www.elva.ge

დება გამოიწვია სადგურ გრაკალთან მატარებელზე თავდასხმამ. რკინის გზის გენერალ-გუბერნატორის ვ. სულაქველიძის განცხადებით, ყაჩაღთა უმეტესობას შეადგენდნენ დუშეთიდან გადმოსული ყაჩაღები, რომელთა „მიზანია ანარქია გამოიწვიონ საქართველოში“. როგორც გამოირკვა, მათი მეთაურია „ვიღაც რუსი“.

იმ წლებში ხშირი ყოფილა საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების ფაქტებიც: „შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით დაიხურა გაზეთი „ვოზროჟდენიე“, რისი მიზეზიც გახდა ერთ-ერთ ნომერში აჭარის დელეგაციასა და კავკასიაში მოკავშირეთა უმაღლეს კომისარ, პოლკოვნიკ ჰასკელს შორის გამართული მოლაპარაკების საიდუმლო ოქმის დაბეჭდვა“, — იტყობინება 1919 წლის 24 სექტემბრის ნომერში „საქართველოს რესპუბლიკა“.

როგორც ირკვევა, დაძაბული ურთიერთობა ყოფილა მილიციას, „სახალხო გვარდიის“ მებრძოლებსა (რომლებიც მენშევიკური პარტიის აქტივისტ-რევოლუციონერები იყვნენ) და საქართველოს სამხედრო ნაწილების ოფიცრებს (რომლებიც, ძირითადად რუსეთის არმიის ყოფილი ოფიცრები იყვნენ) შორის.

„1919 წლის 15 ოქტომბერს ონში ადგილობრივ ებრაელთა ახალი სკოლის გახსნისადმი მიძღვნილ ნადიმზე მიწვევის გარეშე დარჩენილმა რამდენიმე ქართველმა შეზარხოშებულმა ოფიცერმა (გოგიტიძემ, ქარუმიძემ, ზედგენიძემ) არეულობა გამოიწვიეს, რაც კინაღამ გახდა მიზეზი ერთის მხრივ ჯარის, ხოლო მეორეს მხრივ მილიციას და გვარდიას შორის დაპირისპირებისა. ამის გამო ეს ოფიცრები სამხედრო მინისტრ რამიშვილის ბრძანებით გადაყენებულ იქნენ სამსახურიდან და მათი საქმე გადაეცა სამხედრო ბრალმდებელს — პასუხისგებაში მისაცემად“.

რუსეთის იმპერიის არმიაგამოვლილ გამოცდილ ოფიცრებზე ეჭვი იმდროინდელი საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი წრეებიდან მოდიოდა.

„საზოგადოთ ჩვენ დაგვღუპა ამნაირმა ოფიცრობამ (ლაპარაკია მეფის რუსეთის ჯარში ნამსახურებ ოფიცრებზე — ბ.ა.), მას არ ჰქონდა არავითარი პატრიოტიზმი, ყველაფერს უყურებდა გამორჩენის თვალსაზრისით... ეს რუსეთუმე ხალხი იყო ნამდვილი რისხვა ჩვენი საქმისთვის“, — ასე აფასებდა წლების შემდეგ უკვე პარიზში მყოფი ნოე ჟორდანია რუსეთის იმპერიის დროშით მებრძოლ ქართველ სამხედრო კადრებს.

ამ დროს კი ბოლშევიკები დივერსიული სადაზვერვო ოპერაციების ჩატარებას გეგმავდნენ და ატარებდნენ კიდეც.

„17 ოქტომბერი. სამხედრო მინისტრ ნოე რამიშვილის განცხადებით, 12 ოქტომბერს ღამის ცხრა საათზე 80 ჯარისკაცის ფორმაში გადაცმული აგიტატორი ცდილობდა სოხუმში იარაღის საწყობის გაძარცვას. ბოლშევიკთა მიზანი იყო მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობის გაჩაღება და ანარქიის გაძლიერება, — განაცხადა მინისტრმა, — თავდასხმა მოგერიებულია, მოთავენი დაპატიმრებული“.

„24 ოქტომბერი. შსს იტყობინება, რომ ნატანებში დაპატიმრებულია დენიკინის მოხალისეთა ჯარის აგენტი დავით პაიჭაძე, რომელიც თავს თავად მუხრანელს უწოდებდა“.

„3.02.1920. საქართველოს შსს-მ დახურა სომხური ყოველდღიური გაზეთი „პაჰაკ“-ი, რომელშიაც საქართველოს დამოუკიდებლობის საწინააღმდეგო წერილები იბეჭდებოდა“.

„4.03.20. შსს მინისტრ ნოე რამიშვილის გამოსვლიდან დამფუძნებელი კრების წინაშე: „საქართველოს წინააღმდეგ გამოსვლები მზადდება იმ ფულით, რომელსაც საბჭოთა მთავრობა (ბოლშევიკები) აგზავნიან რუსეთიდან, იმ ხალხით, რომლებიც იქიდან იგზავნებიან. ესენია კომისარი უბირია, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი ტუმარკინი, რომლებიც გავაძევეთ ქვეყნიდან“.

1920 წლის 2 მაისს ბოლშევიკების შეიარაღებული ნაწილები თბილისში თავს დაესხნენ იუნკერთა სასწავლებელს, მაგრამ უშედეგოდ. ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან კარგად ჩანს, რომ იმ წლებში ნოე ჟორდანიას მთავრობას უმთავრესად რუსეთის ბოლშევიკების წინააღმდეგ უხდებოდა კონტრდაზვერვითი ოპერაციების ჩატარება და შეზღუდული საკადრო-ფინანსური რესურსების გამო სამხედრო-პოლიტიკური ინფორმაციის მოსაპოვებლად მოსკოვში ან ჩრდილო კავკასიაში ქართველი მზვერავების მივლინება მხოლოდ ოცნების სფეროს განეკუთვნებოდა.

მით უფრო, რომ ბოლშევიკების გარდა, საქართველოს წინააღმდეგ აქტიურად მოქმედებდა დენიკინის არმია. „საქართველოს რესპუბლიკა“ 1919 წლის 4 ოქტომბერს იტყობინებოდა, რომ:

„1-ელ ოქტომბერს ბათუმში გემი „ჩერნიგორია“ ოდესიდან ჩამოვიდა. საქართველოს საკონსულოს სრული ლიკვიდაცია მოხდა 10 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც დენიკინის არმიის პოლკოვნიკმა ტუგან-ბარანოვსკიმ ულტიმატუმის ფორმით მოსთხოვა საქართველოს კონსულ ე. უშვერიძეს ოდესის დატოვება“. დიპლომატიური მისიის ლიკვიდაციით სამხედრო-პოლიტიკური ინფორმაციის მოპოვების ლეგალური წყარო დაიხურა.

დამოუკიდებელი საქართველოს სპეცსამსახურების, მათ შორის საგარეო დაზვერვის, ისტორიის კვლევა ურთულესი პროცესია და ჯერაც დაუსრულებელია. ეს გართულებულია შემდეგი ობიექტური გარემოებების გამო:

კერძოდ, 1930-1950 წლებში საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურების სისტემაში მომუშავე ქართველი მზვერავები გაანადგურეს. საბჭოთა პერიოდში ასევე განადგურდა ბევრი ისტორიული მნიშვნელობის საარქივო დოკუმენტი, ხოლო რაც გადარჩა, დღეს საქართველოს შსს-ს „მოდულის“ შენობაშია დაცული და ისტორიული მნიშვნელობის არქივში დაშვება მეცნიერების, ექსპერტებისა და ჟურნალისტებისთვის, პრაქტიკულად, შეწყვეტილია.

*ბესიკ ალადაშვილი*

*ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი*

(გაგრძელება იქნება)

„ლიგა“
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11 ☎ 32 21 21, 31 73 24

ეროვნული ბიბლიოთეკა



# 300 სპარტელი

**ძველი მსოფლიოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებიდან და მხატვრული ფილმებით ბევრმა იცის თერმოპილეს მთაგორიან გასასვლელში მომხდარი ბრძოლის ამბავი. აქ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 480 წელს სპარტელთა მეფე ლეონიდასმა, რომელსაც მმართველობის 10 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებია (ან რა უნდა გაეკეთებინა, როცა განგება სამარადისო დიდებას უმზადებდა) უკანასკნელ ბრძოლაში ისახელა თავი და თავისი ხალხიც განადიდა. ბერძენთა მცირერიცხოვანი ჯარით სპარსელთა მილიონიან არმიას გზა გადაუჭრა და თერმოპილეს მთიან ვიწრო გასასვლელში 300-კაციანი გვარდიით სისხლის უკანასკნელ წვეთამდე შეებრძოლა. ნაკლებად ცნობილია ქალაქ თესპიეს მეომართა გმირობის შესახებ, რომლებმაც სპარტელები არ მიატოვეს და მათთან ერთად შეაკვდნენ მტერს. თერმოპილეს ბრძოლა გმირობის და სამშობლოსათვის თავგანწირვის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ისტორიაში.**

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 484 წელს სპარსეთის მეფე ქსერქსემ გადაწყვიტა, თავისი აზიური იმპერიისათვის ევროპაც შეეერთებინა და ელინებთან ბრძოლისათვის მზადებას შეუდგა. მსგავსი მობილიზაცია ისტორიას არ ახსოვს, — დაიძრა ნახევარი აზია. ქსერქსეს 56 ვასალური ქვეყნიდან იმპერატორის ბრძანებით ტიგროსისა და ევფრატის ნაპირებისკენ გაემართნენ ინდოელები, მიდიელები, ბაქტრიელები, ლიბიელები, ეთიოპელები, არაბები და სხვა ხალხები... მათი დათვლა ჩვეულებრივი მეთოდით შეუძლებელი იყო. ამიტომ ქსერქსემ ბრძანა, გადაეთვალათ 10 ათასი მეომარი, ვაკეზე მჭიდროდ დაეყენებინათ და შემოეღობათ. როცა შემოღობვა დაამთავრეს, ისინი გამოუშვეს და სხვები შერეკეს. ასე განმეორდა 170-ჯერ. ომში, სულ ცოტა, მილიონ შვიდასი ათასი კაცი მიდიოდა. მრისხანე, დაუნდობელი მასა მზად იყო, ნაცარტუტად ექცია ყოველივე, რაც კი გზაზე შეხვდებოდა. ამ სამხედრო მანქანის ბირთვი სპარსელები იყვნენ: მათი ცხენოსნების შეტევას ვერავინ უმკლავდებოდა, მათი მძიმედ შეჭურვილი ქვეითები ანადგურებდნენ მოწინააღმდეგეს. ბრძოლაში საომარ ეტლებს იყენებდნენ (იმ ეპოქის „ტანკები"), რომლებსაც ბორბლებზე ცელები ჰქონდა მიმაგრებული და მტერს ბალახივით ცელავდა. ბრძოლას ისინი იწყებდნენ, ცხენოსნები კი მოწინააღმდეგეს ფლანგებიდან უტევდნენ. საომარ ეტლებს მოჰყვებოდა არმიის ცენტრი, სადაც თვით იმპერატორი იმყოფებოდა „უკვდავთა" გვარდიით გარშემორტყმული. გვარდია 10000 ნარჩევი, კარგად გაწვრთნილი სპარსი მეომრისგან შედგებოდა, რომლებიც ცხენკაციანად მოელვარე აბჯარში იყვნენ ჩამსხდარი. მსუბუქ ქვეითებს იმპერიის მთიელები წარმოადგენდნენ, რომლებიც მშვილდ-ისრის გარდა ოსტატურად ხმარობდნენ შურდულებსა და სასროლ შუბებს.

ჯარში უმეტესობა სხვადასხვა ხალხის ნარევი იყო და არ იცოდა, რა იყო წესრიგი. ძარცვა-ჟლეტაში დახელოვნებულებს შეტევის მოგერიება არ შეეძლოთ და მცირეოდენი წარუმატებლობის შემთხვევაში უკანმოუხედავად გარბოდნენ: მათი მოთოკვა მხოლოდ სიმკაცრით იყო შესაძლებელი.



გაშლილ ველებზე აზიელებთან ბრძოლაში სპარსელები ყოველთვის იმარჯვებდნენ, მაგრამ რთულ რელიეფზე ან ჭკვიან და მოხერხებულ მოწინააღმდეგესთან ზოგჯერ მარცხდებოდნენ კიდეც.

ამ საომარ მზადებამდე 10 წლით ადრე ისინი საბერძნეთში შეიჭრნენ, მაგრამ ბერძნებმა უთანასწორო ბრძოლაში (1 ათის წინააღმდეგ) სძლიეს მარათონთან.

ქსერქსე თავისი ურდოებით საბერძნეთისკენ გაზაფხულზე დაიძრა. შვიდი დღე-ღამის განმავლობაში ჯარი ჰელესპონტის (დარდანელის) სრუტეზე შეუსვენებლად გადადიოდა. ჰეროდოტეს ცნობით, გაშლილ ზღვაში, ნაპირთან ახლოს, მათ 150 საბრძოლო და 3000 სატრანსპორტო ხომალდი მიჰყვებოდა. ამხელა ძალის სათავეში იდგა მხოლოდ ერთი გულზვიადი და ქედმაღალი ტირანი, რომელსაც ხალხები ისე ეთაყვანებოდნენ, როგორც ღმერთს.

აზიელთა ურდოები საბერძნეთის ჩრდილოეთს მოედვნენ. წინააღმდეგობის გაწევა ვერავინ გაბედა. ქალაქები ერთიმეორის მიყოლებით ბარდებოდნენ დამპყრობლებს და მორჩილების ნიშნად მიწა და წყალი მიჰქონდათ. ზოგი ქალაქის ჯარი მომხდურის მხარეზე გადადიოდა. ერთი სიტყვით, სპარსელთათვის ყოველივე სასურველ კალაპოტში მიედინებოდა... მაგრამ, ჰეროდოტეს თავის „ისტორიაში" მოხმობილი აქვს სამხედრო ექსპერტ დემარტეს აზრი. მან ქსერქსეს უწინასწარმეტყველა, რომ მის ურდოებს დაბრკოლებად სპარტელები გადაეღობებოდნენ.

აზიის მბრძანებელმა გულზვიადად უარყო მისი აზრი, რადგან ბრძოლისუნარიანად არ მიაჩნდა ისეთი ჯარი, რომელსაც მათრახით არ მიერეკებოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ საომრად („მხოლოდ სიმკაცრე შობს წესრიგს!“). ქსერქსე თავისუფალ ადამიანებს მეომართა ისეთ კატეგორიას მიაკუთვნებდა, რომელიც პირველივე შეტევისას უკანმოუხედავად გარბის. დემარატემ უთხრა ქსერქსეს: „ისინი თავისუფლები არიან, მაგრამ მათაც ჰყავთ კერპი — წინაპართა ნაანდერძევი კანონები. მათ ამ კანონების უფრო დიდი შიში აქვთ, ვიდრე შენს ხალხს შენ მიმართ. მათ კანონი უკრძალავს ნებისმიერი ძალის წინაშე უკან დახევას, მოუწოდებს ბრძოლისაკენ, მოუწოდებს ან გაიმარჯვოს, ან მტერს შეაკვდეს“.

აზიის მბრძანებელი ირონიული ღიმილით უსმენდა დემარატეს. საბედისწერო დრო დაუდგა ელადას... ქვეყანა ამ დროს რამდენიმე ათეული დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფოსაგან შედგებოდა, რომლებსაც თავიანთი კანონები ჰქონდათ, მმართველები და ჯარი ჰყავდათ. ზოგმა ჩაურევლობა ამჯობინა, ზოგიც მომხდურის მხარეს გადავიდა. მხოლოდ ათენმა და კიდევ რამდენიმე ქალაქმა სპარტის მეთაურობით გადაწყვიტა, შებრძოლებოდა მტერს, მაგრამ მათი გაერთიანებული ძალები რიცხვით ვერ შეედრებოდა ქსერქსეს უზარმაზარ არმიას.

სამაგიეროდ, ბერძენთა ჯარი ბრძოლისუნარიანობით გამოირჩეოდა. განსაკუთრებით სპარტელები იყვნენ სწორუპოვარი მეომრები. მათთვის ნათელი იყო, რომ სამშობლოსთვის უნდა გაეწირათ თავი: „ერთად გავიმარჯვებთ ან ერთად დავიხოცებით!“ წვრთნებისას სპარტელები იგონებდნენ ბრძოლის ახალ და აუმჯობესებდნენ ძველ ტაქტიკურ ხერხებს. იყენებდნენ საუკეთესო საბრძოლო განლაგებებს, აუმჯობესებდნენ იარაღის გამოყენების მეთოდებს და ქმნიდნენ ახალ იარაღს, რის გამოც დიდი ხნის განმავლობაში დაუმარცხებლად ითვლებოდნენ. ომი მათთვის დასვენების პერიოდი იყო, რადგან მშვიდობიანობისას ერთთავად საომარ მზადებაში იყვნენ. ომიანობისას მძიმე ფიზიკურ სამუშაოს მონები ასრულებდნენ, ტვირთი სასაპალნე ცხოველებს გადაჰქონდათ, მეომართა ამოცანა კი ბრძოლა იყო. მძიმედ შეჭურვილი სპარტელი ქვეითი (ჰოპლიტი) შეიარაღებული იყო: სასროლი შუბითა და ორლესული მოკლე მახვილით, დაცული მუზარადითა და სამკერდე ჯავშნით ინდივიდუალური და ჯგუფური თავდაცვის მთავარი ელემენტი დიდი ფარი იყო. მისი დაკარგვა სამარცხვინოდ ითვლებოდა. სპარტელი დედა ომში მიმავალ შვილს ასე ემშვიდობებოდა: „ფარით ფარზე“ (ფარზე დასვენებული მოჰქონდათ ომში დაღუპულის ცხედარი) ეუბნებოდა იგი.

მსუბუქი ქვეითები სპარტელებს არ ჰყავდათ, ისინი უგულებელყოფდნენ მათ; სხვა ბერძნული ქალაქების ქვეითები მთავარი დამრტყმელი ძალის, ჰოპლიტების ფლანგებზე გაფანტული იბრძოდნენ და ავიწროებდნენ 12-რიგიანი ჩაკეტილი სივრცით. ამ სამხედრო განლაგებას ფალანგა ეწოდებოდა. ფარებითა და შუბებით შემოფარგლულები ბუკების ხმაზე გამოზომილი ნაბიჯით მიემართებოდნენ მტრისკენ. მოიერიშე ან თავდაცვაში მყოფი სპარტელთა ფალანგის დამარცხება თითქმის შეუძლებელი იყო.

ქვეყნის ჩრდილოეთი, რადგან საზღვრის დასაცავად ძალები არ ჰყოფნიდათ, ბერძნებმა უომრად დათმეს.

## „მოდი და წაიღე“

სპარსელები თერმოპილეს მიუახლოვდნენ. აქედან მათ საბერძნეთის შუაგულისკენ ეხსნებოდათ გზა. ამ ადგილას მთები ზღვის ნაპირს უახლოვდება და ვიწრო, შვიდმეტრიან გასასვლელს ქმნის. ძველი მიწათხრილებისა და საგუბრის გამო ამ ადგილს თერმოპილე, ანუ „თბილი წყლების კარი“ დაერქვა. თავ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცვისათვის ეს ბუნებრივი ზღუდე საუკეთესო იყო. აქ ჰოპლიტების მცირერიცხოვანმა რაზმმა მთელი არმიის შეკავება შეძლო. ბერძნული ქალაქების მთავრებმა პირობა დაარღვიეს და სპარტელთა მეფე ლეონიდასს მხოლოდ 7000 მეომარი გაუგზავნეს, ისინიც არა პროფესიონალი მეომრები, არამედ ქალაქების, თებესა და თესპიეს მოქალაქეები იყვნენ. თავად სპარტელების რაოდენობა კი მხოლოდ 300 მეომარს ითვლიდა. ლეონიდასი კარგად მოემზადა თავდაცვისათვის. მტერთან შეტაკებამდე მოასწრო ძველი ხანდაკების მიწაყრილებისა და სანგრების აღდგენა-გამაგრება. მთავარი ძალა, 6000 მეომარი, წინ დააყენა, რითაც გასასვლელი ჩაკეტა, ათასი კაცი კი მარცხნივ, მთის ფერდობზე განალაგა, თავისი „ბლოკპოსტის“ შემოვლითი ბილიკის დასაცავად.

სპარსელები ნელა უახლოვდებოდნენ თერმოპილეს ყელს. როცა ჩაკეტილ გასასვლელს მიადგნენ და მთავარსარდალს მდგომარეობა მოახსენეს, ქსერქსემ გაიცინა (მის მილიონიან არმიას წინ ერთი მუჭა უგუნური გადაელობა) და ლეონიდასს პარლამენტართა პირით შეუთვალა იარაღის ჩაბარება. „მოდი და წაიღე“, — მიიღო პასუხი. სპარსელებმა მათი წინააღმდეგობა უიმედოდ ჩათვალეს. „ისე ბევრნი ვართ, რომ ჩვენი ისრები მზეს დააბნელებენ“. „მით უკეთესი, ჩრდილში ვიბრძოლებთ“, — მიიღეს პასუხი სპარტის მეფისაგან.

ქსერქსემ ბერძნებს მოსაფიქრებლად დრო მისცა, მაგრამ როცა მათგან პასუხი ვერ მიიღო, იერიშზე გადასვლა ბრძანა.



თერმოპილეს მთიანი ვიწრო გასასვლელი

„ისინი გვიახლოვდებიან!“ — წამოიძახა ერთმა სპარტელმა.

„კარგია! ესე იგი ჩვენც ვუახლოვდებით მათ“, — თქვა ლეონიდასმა და ფლანგის ბრძოლაში ჩაბმის ბრძანება გასცა.

როგორც ელოდა, მოწინააღმდეგემ გასასვლელის შუაგულზე მიიტანა იერიში, რათა რიცხობრივი უპირატესობით დაეძლია წინააღმდეგობა, მაგრამ მოტყუვდნენ, ბერძნებმა გაუძლეს. სპარსელები მჭიდროდ შეკრული ფარების რკინასავით მაგარ კედელს წააწყდნენ, საიდანაც ისრების წვიმა და შურდულებით ნასროლი ქვების სეტყვა მოდიოდა. ქსერქსემ რამდენიმეჯერ კიდევ შეუტია, მაგრამ კედელი ვერ შეარყია, ის ძველებურად იდგა და გრძელი შუბებით მუსრს ავლებდა მტერს. სპარსელებმა შეტევაზე გადაიყვანეს ველური ქურთების ურდო, რომელიც რამდინიმე წუთის შემდეგ სპარტელთა დაცვის ხაზს შეაწყდა. ბერძნებმა მოფართხალე გვამებისაგან გაათავისუფლეს შუბები და ახალი შეტევისთვის მოემზადნენ. მათ წინ კი დახოცილთა გორები გაჩნდა. სპარსელები შედრკნენ. აღარც ერთ მათგანს აღარ უნდოდა იერიშზე გადასვლა. გამწარებულმა ქსერქსემ ბრძანა, მათრახებით გაერეკათ ისინი, თან ბრძოლაში რჩეული ჯარისკაცებიც ჩააბა, მაგრამ ისინიც ისევე დაიხოცნენ, როგორც მათი წინამორბედნი. „რკინის“ კედელი კი კვლავ შეურყევლად იდგა. ასე გაგრძელდა მთელი დღის განმავლობაში. მეორე დღეს შესასვლელს „უკვდავებმა“ შეუტიეს, მაგრამ ბერძნებმა მათი მოგერიებაც შეძლეს. მართლაც უცნაური, პარადოქსული მდგომარეობა შეიქმნა, — მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი არმია უძლური იყო ელინთა ერთ მუჭა მხედრობასთან.



## ღალატი

გავიდა ექვსი დღე. სპარსელები დანაკარგს ვეღარ ითვლიდნენ. კიდევ ბევრი შეეწირებოდა თერმოპილეს გასასვლელს, რომ არა მოღალატე ესთილატე, რომელიც ახლომდებარე ერთ-ერთი ქალაქის მოქალაქე იყო. თანამოძმეთა გამყიდველმა მტერს სპარტელების სიმაგრის ზურგიდან შემოსავლელი ბილიკი მიასწავლა. ქსერქსემ სასწრაფოდ გაგზავნა ბილიკისაკენ „უკვდავთა“ რაზმი, რომელმაც მალულად გაიარა ტყიანი მთა და ზურგიდან შემოუარა ლეონიდასის სიმაგრეს. სწრაფად ჩაიგდო ხელთ ყარაულთა ნაწილი, დანარჩენები გაიქცნენ და ძალაუნებურად გაუხსნეს გზა მტერს თანამებრძოლთა ზურგისკენ. ლეონიდასმა სასწრაფოდ გაგზავნა ზურგის დასაცავად სპარტელთა მცირე რაზმი, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა



სპარტელთა მეფე ლეონიდასმა, რომელსაც მმართველობის 10 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებია (ან რა უნდა გაეკეთებინა, როცა განგება სამარადისო დიდებას უმზადებდა) უკანასკნელ ბრძოლაში ისახელა თავი და თავისი ხალხიც განადიდა.

უკვე დაგვიანებული იყო: მეომრების ნაწილი დაიღუპა, მეორე ნაწილმა კი უკან დაიხია. ამ დროისთვის სპარტელთა მეფეს 5000 მეომარი კიდევ ჰყავდა. ლეონიდასი მიხვდა, რომ გასასვლელის დაცვას უკვე აზრი აღარ ჰქონდა. საჭირო იყო ჯარის გადარჩენა, ამიტომ ბრძანა, გადაეთელათ ზურგიდან შემოვლილი მტრის რიგები და სამხრეთისკენ დაეხიათ ელინთა მთავარ ძალებთან შესაერთებლად, თვითონ კი სპარტელებთან ერთად ბრძოლის ველზე დარჩა. მათთან დარჩნენ თესპიელებიც. თესპიელმა მებრძოლებმა არ იკადრეს სპარტელების მიტოვება. საომრად დარჩა თებელთა მცირე ჯგუფიც, რომელიც შეშინდნენ და მტრის მხარეზე გადავიდნენ.

სპარტელები მათმა ღალატმა გააცოფა, ძველისძველი სიმაგრის კედელთან მომცრო გორაკი იერიშით აიღეს და თავდაცვის ზღუდე შექმნეს. მილიონიანი არმიის სამარცხვინო შვიდი დღის უკანასკნელი დილაც გათენდა. დაჭრილდაჩეხილი ელინები ნელ-ნელა მოდიოდნენ გონს და საომრად ემზადებოდნენ. როგორც დეოდორე სიცილიელი გვაუწყებს ლეონიდასი საზეიმო სამეფო ტანსაცმლით შეიმოსა, ღმერთებს მსხვერპლი შესწირა და უკანასკნელად გაუშალა სუფრა თანამებრძოლებს. ტრაპეზის შემდეგ კი კვლავ ბრძოლისთვის მზადება ბრძანა. ამ დროს მოწინააღმდეგის მხრიდან ხმაური ატყდა და სპარსელთა ჯარის ჭრელი ღრუბელი უნდილად დაიძრა შეტევაზე. ელინები სიმაგრიდან გამოვიდნენ და პირველი დარტყმა მოიგერიეს. მათ ასე გმირულად და შემართებით არასოდეს უბრძოლიათ. შემდეგ უფრო შეამჭიდროეს რიგები, მხარში შეუდგნენ დაჭრილებს და შუბებით დინჯად დაიძრნენ შეტევაზე. მწყობრი ნაბიჯით მიმავალი ფალანგა მიწასთან ასწორებდა ყველასა და ყველაფერს. გაქცეული სპარსელები ზღვაში ცვიოდნენ, კლდეთა ნაპრალებში იმალებოდნენ, თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ. უმეტესობა შიშით წინ ფეხის გადადგმას ვერ ბედავდა და უკან დახევას ცდილობდა, რის გამოც უკან მდგომი ასისთავები მათრახებს სცემდნენ და ცდილობდნენ, შეტევაზე გაერეკათ ისინი.

სპარტელები და თესპიელები იმარჯვებდნენ იმ ბრძოლაში, რომელშიც გამარჯვება წარმოუდგენელი იყო. იმარჯვებდნენ და თან დროს იგებდნენ, რათა უკანდახეული ელინი მებრძოლები რაც შეიძლება შორს წასულიყვნენ. როცა თავგანწირულ მებრძოლებს შუბები ხელში შემოატყდათ, ხმლები იშიშვლეს. მათი ნაკვალევი მტრის გვამებით იყო მოფენილი.

„უკვდავები“ დიახაც რომ მოკვდავები აღმოჩნდნენ, სპარტელთა ხმლებმა ადვილად დაჩეხეს ბრჭყვიალა მუზარადჯავშნიანად.

სპარსეთის მეფის ელიტური შეიარაღებული რაზმი სპარტელებმა ერთიანად ამოწყვიტეს. ლომივით იბრძოდა მეფე ლეონიდასიც, მაგრამ მტრის სიმრავლემ თავისი გაიტანა და იგი განგმირული დაეცა ბრძოლის ველზე. სპარსელებმა ეს რომ დაინახეს, უფრო გააქტიურდნენ და მისი გვამის ხელში ჩასაგდებად მიეტანენ რიგებშეთხელებულ სპარტელებს, რათა მოკლული მეფის თავი ქსერქსესთვის მიერთმიათ. ელინებმა ლეონიდასის სხეული შუაში მოიქციეს და ისე აგრძელებდნენ მტრის მოგერიებას. ბოლოს ელინებმა მიწაყრილისკენ დაიხიეს და მეფის ცხედარიც სიმაგრეში შეიტანეს.

ისინი უკანასკნელი ბრძოლისთვის გაემზადნენ. სისხლში ამოსვრილებს აბჯარ-იარაღი შემოემტვრათ, მაგრამ გახელებულები მაინც იბრძოდნენ ქვებით, კბილებითა და ფრჩხილებით. ყველა მათგანი ლეონიდასის ცხედარს დააკვდა, არც დახოცილებმა დაანებეს მტერს მისი სხეული. ეს იყო მათი უკანასკნელი გმირობა.

აზიის მბრძანებელი დიდი ქსერქსე ვერ აღმოჩნდა ქველი. მან არ დააფასა მოწინააღმდეგის ვაჟკაცობა და მხდალივით მოიქცა. ბრძანა, თავი მოეკვეთათ სპარტელთა მეფისთვის და მარგილზე წამოეგოთ.

გამოხდა ხანი. ელინებმა სპარსელთა ურიცხვი ჯარი დაამარცხეს და ქვეყნიდან განდევნეს. შეაგროვეს თერმოპილეს ვიწროებში გაფანტული სამასი გმირის ძვლები და საძმო საფლავში დამარხეს. ქვისაგან გამოკვერეს ლომის ფიგურა, რომლის კვარცხლბეკზეც ამოკვეთეს ძველი ბერძენი პოეტის სიმონიდე კეოსელის ეპიტაფია. „მგზავრო, აუწყე ლაკედემონელთა (ლაკედემონია — სპარტის ძველი სახელწოდება), რომ ჩვენ აქ განვისვენებთ, აღმსრულებელნი ვალისა სამშობლოს წინაშე“.

**P.S.** არსებობს მოსაზრება, რომელსაც გოეთეს მიაწერენ: „პოეზია არ ითარგმნება, განსაკუთრებით კი ლირიკა. იგი მშობლიური ენის ერთგული რჩება ყოველთვის. თარგმანი კი მინის ქვეშ ამოდებულ იმ ყვავილის ჰგავს, რომლის ფერსა და ფორმას ხედავ, სურნელს კი ვერ გრძნობო“. ლირიკის უპირველესი დანიშნულება ხომ მკითხველის იმ ემოციით განმსჭვალვაა, რომელსაც ავტორი განიცდიდა. ამის მიღწევა თარგმანის მეშვეობით რთულზე რთულია.

მაგრამ არსებობს გამონაკლისი, როცა ერთი დიდი პოეტის განცდას მეორე დიდი პოეტი აღიქვამს და ზუსტად გადმოსცემს ემოციას. სიმონიდეს ეპიტაფიის გალაკტიონისეული თარგმანი ასე ჟღერს:

„ლაკედემონელთ
ამცნე, მგზავრო,
და გადაეცით:
ყველა ერთგული
სამშობლოის
ჩვენ აქ დავეცით“.
(„საუბარი ლირიკის შესახებ“)

*თამაზ ჟორჟოლიანი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეაქტიული ქართველი გოგონას ოცნებების ზენიტი

ფემინიზმში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ, როდესაც უფროს სერჟანტ ნინო კაკელიშვილს ვუსმენდი, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ქალისთვის შეუძლებელი არაფერია. ეს, ერთი შეხედვით, ნაზი და სუსტი გოგონა სამხედრო პილოტია და უკვე 2 წელია დაფრინავს. ყველაფერი ნატახტრის აეროდრომიდან დაიწყო, შემდეგ იყო უკრაინა, ახლა სხვა პილოტებთან ერთად ძირითად საწვრთნელ თეორიულ და პრაქტიკულ პროგრამას მარნეულის სამხედრო ბაზაში გადის.



— პირველი გაფრენა არასდროს დამავიწყდება. ძნელი გადმოსაცემია, ამქვეყნიურს ვერაფერს შევადარებ. დიდი რაოდენობით ადრენალინი გამოიყოფა. გაოცება და შიში ერთმანეთში ირევა. შეიძლება ხმელეთიდან იოლი და ლამაზი ჩანს, მაგრამ მერწუნეთ, თითოეული ის ფიგურა, რომელიც ჰაერში სრულდება, ძალიან დიდი შრომის ფასად მიიღწევა. ყურადღების უდიდესი კონცენტრაცია გჭირდება, ერთწამიანი მოდუნება შეიძლება სიცოცხლის ფასად დაგიჯდეს.

**— ნინო, რატომ სამხედრო პილოტობა? ეს ხომ საკმაოდ რთული და ასე ვთქვათ, მამაკაცური პროფესიაა?**

— პილოტობა არც ოჯახური ტრადიცია ყოფილა და არც ბავშვობის ოცნება, როგორც ხშირად ხდება ხოლმე. განათლებით ეკონომისტი ვარ. ერთხელ შვეულმფრენით ვიფრინე და, როგორც ჩანს, მაშინ შემეყარა ფრენის სენი. 26 წლის ვარ, პილოტობა, 20 წლისამ დავიწყე. ჩემი აზრით, ადამიანი გონებაში სწორედ ამ ასაკში აყალიბებს, რას გააკეთებს, რითი იქნება დაკავებული მთელი ცხოვრება. უკვე 6 წელია, რაც სამხედრო საქმეს ვემსახურები. ავიაციაში პილოტობამდეც ვმუშაობდი, მთავარ დეპარტამენტში, ოპერატიულ განყოფილებაში. როცა შევიტყვე, რომ სამხედრო ავიაციაში ქალების მიღება დაიწყეს, სიხარულისგან გადავირიე. ეს ჩემი დიდი ხნის სურვილი იყო და მივიღე კიდეც შესარჩევ კონკურსში მონაწილეობა. სულ სამი გოგონა აგვიყვანეს. თავიდან მხოლოდ შვეულმფრენებზე იყო ლაპარაკი, შემდეგ თვითმფრინავებზეც დაგვიშვეს. ახლა უფროსი სერჟანტი ვარ და სასწავლო-საბრძოლო რეაქტიულ თვითმფრინავ L-39 „ალბატროსით“ დავფრინავ.

**— როგორ დაიწყო თქვენი წვრთნა?**

— 2007 წელს ჯერ ნატახტარში გავიარეთ 4-თვიანი სასწავლო კურსი. კერძოდ, უკრაინულ ულტრამსუბუქ X-32 „ბეკასზე“ გვავარჯიშებდნენ. ამ კურსის გავლის შემდეგ 22-კაციანი ჯგუფი უკრაინაში წაგვიყვანეს, სადაც 8-თვიანი თეორიული კურსი გავიარეთ. იქ გავიარეთ საშტურმანო მომზადება, გვიკითხავდნენ ლექციებს ნავიგაციაში, აეროდინამიკასა და სხვა საგნებში. ჩეხური წარმოების L-39 „ალბატროსის“ მართვას გვასწავლიდნენ. საქართველოში 2008 წლის მაისში დავბრუნდით.

**— ანუ რუსეთ-საქართველოს ომის დროს უკვე აქ იყავით, გქონდათ კონკრეტული დავალება?**

— კონკრეტული საბრძოლო ბრძანება არ გვქონია. ამისთვის ჯერ მზად არ ვიყავით. ასე რომ, საბრძოლო ნათლობა არ მიმიღია.

ამჟამად წვრთნას მარნეულის სამხედრო ბაზაში გავდივართ. უკრაინაში მიღებულ თეორიულ ცოდნას აქ პრაქტიკულად ვამყარებთ. თეორიული მეცადინეობა დღესაც ყოველდღიურად გვაქვს იმ საგნებში, რომლებიც თვითმფრინავის მართვასა და ექსპლუატაციას შეეხება. გამოცდები წელიწადში ერთხელ გვაქვს.

**— ტექნიკური განათლება ძალიან გამოგადგებოდათ საპილოტო საქმეში.**

— რა თქმა უნდა, დინამიკა ხომ წმინდა ფიზიკაა და ტექნიკური საგნების კარგად ცოდნა ძალიან გეხმარება იმ საქმის ათვისებაში, რასაც დღეს ვემსახურები.

**— რა ტიპის საფრენი აპარატების მართვა შეგიძლიათ?**

— „ბეკასსა“ და „ალბატროსს“ ვმართავ. განსხვავება მათ შორის უდიდესია, ერთი რეაქტიული თვითმფრინავია, მეორე — ულტრამსუბუქი. აქვთ ფრენის განსხვავებული რეჟიმები — მაქსიმალსა და ნომინალზე, განსხვავებაა სიჩქარეებ-



**სამხედრო პილოტობა ჩემთვის №1 პროფესიაა**

ეროვნული ბიბლიოთეკა




**ახლა უფროსი სერჟანტი ვარ და სასწავლო-საბრძოლო რეაქტიულ L-39 „ალბატროსით“ დავფრინავ**

ში, გადატვირთვებში. რა თქმა უნდა, რეაქტიული თვითმფრინავი მეტ საშუალებას გაძლევს პილოტაჟში.

— L-39 **„ალბატროსი“ საკმაოდ მოძველებული მოდელია, პირველი გაფრენა ჯერ კიდევ 40 წლის წინ შეასრულა, თანაც სასწავლო თვითმფრინავია.**

— მართალია, L-39 სასწავლო თვითმფრინავია, მაგრამ ამავე დროს საბრძოლოცაა და საკმაოდ კარგი ტექნიკურ-ტაქტიკური მახასიათებლები აქვს. L-39-ს მაქსიმალური ასაფრენი მასა 4700 კილოგრამამდე აქვს, ავითარებს 900 კმ/სთ-ში, ფრენის ჭერი 11 კილომეტრია, უყენდება ორი 100-კილოგრამიანი ბომბი. შეიარაღებული „ალბატროსით“ ჯერ არ მიფრენია, ეს სწავლების ბოლო ეტაპია და აქამდეც მივალ. სულ „ბეკასით“ 26 საათი მაქვს ნაფრენი, ხოლო „ალბატროსით“ – 42.

— **მაქსიმალური სისწრაფე რამდენი გაგივითარებიათ და მაქსიმუმ რა სიმაღლეზე ასულხართ?**

— მე ჯერჯერობით 4 კილომეტრზე დავფრინავ, მაქსიმუმ 600-650 კმ/სთ-ით. დასაჯდომად 220-230 კმ/სთ-ით შემოვდივარ.

— **„ალბატროსის“ შემდეგ რა თვითმფრინავზე იგეგმება თქვენი გადაყვანა?**

— ჯერ ეს თვითმფრინავი უნდა ამოვწუროთ და ყველა დაშვება ავიღოთ. საბრძოლო გამოყენებასაც L-39-ზე ვისწავლით პოლიგონზე და შემდეგ გადავალთ Су-25-ზე. იმედი მაქვს, მანამდე სხვა საფრენ აპარატებსაც შევიძენთ. Су-25-ზე საბრძოლო მომზადებას არავინ გვასწავლის, ეს ძალიან დიდ ხარჯთან არის დაკავშირებული. ტექნიკისა და პილოტაჟის სირთულის მხრივაც Су-25 გაცილებით რთულია, გაბარიტებითაც დიდი და შეიარაღებაც მეტი აქვს. ამიტომ ჯერ სასწავლი ბევრი გვაქვს. თავს პროფესიონალ პილოტად ჯერ ვერ მივიჩნევ, ამას დიდი შრომა სჭირდება. თავს პროფესიონალი რომ ვუწოდო, ათწლიანი ყოველდღიური მუშაობაა საჭირო.

— **რა სასწავლო წვრთნებიც გაქვთ გავლილი, რა იყო ყველაზე რთულად ასათვისებელი, თქვენი პროფესიის უარყოფითი მხარეებიც გვითხრათ?**

— მიჭირს უარყოფითის თქმა, რადგან იმ პროფესიას ვემსახურები, რისკენაც წლების განმავლობაში მივილტვოდი. უარყოფით მხარეში რისკფაქტორს დავასახელებდი. ფაქტობრივად, სიცოცხლეს ყოველდღიურად საფრთხეში ვიგდებ. რაც შეეხება სირთულეებს, სანამ სწავლობ, ყველაფერი რთული გეჩვენება. ძნელია დატვირთულ დღის რეჟიმთან შეგუება, მაგრამ ჩემთვის დღემდე ყველაზე რთული მაინც დაჯდომაა. ეს საკმაოდ დიდ რისკთან არის დაკავშირებული.

ასევე ძალიან რთულია გადატვირთვებთან შეგუება. როგორც იცით, ადამიანის ნორმალური მდგომარეობა არის ერთი გადატვირთვა. ვთქვათ, 60 კილოგრამი ხარ, იმ დროს, როცა ფიგურას ასრულებ, 5-ჯერ მეტს, ანუ 300-კილოგრამიან დატვირთვას გრძნობ.

გადატვირთვა არის უარყოფითიც და დადებითიც. დადებითში სისხლი ზემოდან ქვემოთ მოძრაობს, უარყოფითში – პირიქით. უარყოფითი გადატვირთვა ძალზე უსიამოვნო შეგრძნებაა. ყოველ პილოტაჟსა და ყველა ფიგურას თავისი მაქსიმალური გადატვირთვა აქვს. პილოტი პილოტაჟის შესრულებისას საშუალოდ 4-5 გადატვირთვას იღებს.

— **ადამიანი რამდენ გადატვირთვას უძლებს?**

— ჩვეულებრივ, პილოტაჟის შესრულებისას 9-საც უძლებს. თვითმფრინავების უმეტესობა კონსტრუქციულად 8 გადატვირთვაზეა გათვლილი, თუმცა არის თვითმფრინავები, მაგალითად, F სერიის ამერიკული გამანადგურებლები, რომლებიც 11-12 გადატვირთვასაც უძლებს. კატაპულტის დროს გადატვირთვა 17-მდე ადის, მაგრამ ეს წამის მეასედში ხდება და ადამიანი ვერ ასწრებს ამის გაცნობიერებას. კატაპულტირება თავიდან ბოლომდე 0.4 წამში ხდება.

— **გამოგიცდიათ კატაპულტირება? ამბობენ, რომ ამ დროს სხეული ძალიან დიდ დაზიანებას იღებს.**

— უკრაინაში თეორიულად გვაქვს ნასწავლი, პრაქტიკაში ჯერ არ შემისრულებია. რა თქმა უნდა, ეს დიდ გადატვირთვასა და რისკთან არის დაკავშირებული. ამბობენ, გადარჩენის შანსი 50 პროცენტიაო, მაგრამ ჩვენთან არიან პილოტები, რომლებსაც ეს გამოუცდიათ და ახლაც მშვენივრად გრძნობენ თავს, დღესაც დაფრინავენ.

— **როგორია სამხედრო პილოტის დღის რეჟიმი?**

— ეს დამოკიდებულია წლის დროსა და ამინდზე, რომელიც ჩვენს საქმეში მთავარია. პილოტისათვის აუცილებელია დღე-ღამეში 8-საათიანი ძილი. ზაფხულში 6 საათზე მივდივართ სამსახურში, რადგან ფრენამდე 2 საათით ადრე უნდა გამოვცხადდეთ. ერთი საათი სამედიცინო შემოწმებას უნდა, შემდეგ მოდის კვება. ეს აუცილებელი პირობაა, სპეციალური მენიუ გვაქვს. რა თქმა უნდა, აკრძალულია ალკოჰოლის მიღება. ამის შემდეგ ფრენისათვის მომზადებას ვიწყებთ. ყოველი გაფრენის წინ ბორტს ჯერ ტექნიკოსები ამოწმებენ და მერე თავად ჩვენ.

— **რამდენ ხანს გრძელდება ფრენა და რა დავალებებს ასრულებთ?**

— ფრენის ხანგრძლივობა იმაზეა დამოკიდებული, რამდენი თვითმფრინავი დაფრინავს. ფრენის დღიური გეგმა საშუალოდ 6-7 საათია. თითო აპარატით 6 გაფრენაზე მეტი აკრძალულია. ფრენა სხვადასხვა ხანგრძლივობისაა, არის 50 წუთიდან 20 წუთამდე. თუ წრეზე დაფრინავ, უფრო ნაკლები დროა გამოყოფილი ამისათვის. გაშვებისა და ძრავას გამორთვისთვის მაქსიმუმ ნახევარი საათია განსაზღვრული. პილოტაჟის ასათვისებლად, იმავე ფიგურების შესასრულებლად, სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში დავფრინავთ. აკრძალულია დასახლებული პუნქტების თავზე ფრენა.

— **რომელია თქვენი საოცნებო თვითმფრინავი, რომლის მართვას ისურვებდით?**

— საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ბევრ თვითმფრინავს ვისურვებდი, მაგალითად, Су-27-ს, МиГ-29-ს. ისე კი ამერიკული ავიაგამანადგურებლებით ვიფრენდი დიდი სიამოვნებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ჩემი არჩევანი არავის გახარებია, რადგან სიცოცხლეს ყოველდღიურად საფრთხეში ვაგდებ. ნატახტარის აეროდრომი

**— ავიაცია არმიაში ერთ-ერთი პრივილეგირებული მიმართულებაა, თქვენს ანაზღაურებაზე რამდენად აისახება ეს?**

— ყველა პროფესია დასაფასებელია, მაგრამ სამხედრო საქმე, ალბათ, ამ მხრივ მაინც გამორჩეულია. არა აქვს მნიშვნელობა, პილოტი იქნები თუ რიგითი ქვეითი, როცა სამშობლოს ემსახურები და მის სადარაჯოზე დგახარ, ეს უკვე პრივილეგიაა. თუმცა ჩემთვის ჩემი პროფესია ნომერი პირველია ყველა სხვა პროფესიას შორის. ძალიან სასიამოვნოა გამოცდილ პილოტებთან ურთიერთობა. ისე, ამბობენ, პილოტს იუმორის დიდი გრძნობა უნდა ჰქონდეს, თუ იუმორით არ შეხედა თავის საქმეს, გაუჭირდება, შეეშინდებაო. პილოტს სხვა სამხედროებთან შედარებით მეტი ფიზიკური დატვირთვა უწევს. სამხედრო პილოტის ერთი წლის ნამსახურები ჩვეულებრივ ჯარში სამსახურის 2 წელს უდრის. დატვირთვა იმდენად დიდია, რომ შეღავათი... შვებულებაც ორმაგი აქვთ ხოლმე. პენსიაზეც შედარებით ადრე გადიან.

რაც შეეხება ანაზღაურებას, როგორც უფროს სერჟანტს ხელფასი 1.000 ლარი მაქვს. ოფიცრებს, ბუნებრივია, უფრო მეტი აქვთ, ზუსტად არ ვიცი, კატეგორიებზეა დამოკიდებული.

**— როცა ამ პროფესიას ირჩევდით, წინააღმდეგობას არ შეხვდით?**

— ჩემი არჩევანი არავის გახარებია, რადგან სიცოცხლეს ყოველდღიურად კითხვის ნიშნის ქვეშ ვაყენებ. მამა არა მყავს და შესაბამისად, მის აზრს ვერც გავითვალისწინებდი. დედა ქიმიკოსია, მთელი ცხოვრება მშვიდ, მეცნიერულ საქმიანობას ეწევა და დღემდე ვერ შეჰგუებია ჩემს პროფესიას. უკვე 2 წელია, დავფრინავ და დღემდე ყველა გაფრენის შემდეგ ვურეკავ და ვამშვიდებ, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. სიძეც სამხედრო პილოტი მყავს, ალექსეევკაში მსახურობს, „იროკეზით" დაფრინავს. ჩემი ტყუპისცალი ალექსეევკაში ბუღალტრად მუშაობს, „იროკეზების" ესკადრილიაში, სწორედ იქ გაიცნეს ერთმანეთი და დაქორწინდნენ.

თავიდან მამაკაცი პილოტები არასერიოზულად აღგვიქვავდნენ...



**— ალბათ, მართლა ჯობს სამხედრო სამხედროზე დაქორწინდეს, რომ ერთმანეთის სამუშაო რეჟიმს გაუძლონ. როგორ ახერხებთ ასეთი რთული პროფესიისა და პირადი ცხოვრების შეთავსებას? საპირისპირო სქესს როგორი დამოკიდებულება აქვს, როცა იგებს, რომ ასეთი მომხიბლავი გოგონა სამხედრო პილოტია?**

ნინო სამსახურიდან თავისუფალ დროს...



— თავიდან უფრო რთული იყო სამუშაო რეჟიმთან შეგუება, ახლა შევეჩვიე. სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ ყველა წინააღმდეგობა დამაძლევინა. ჩემი პროფესიის საზოგადოებაში აფიშირებას არ ვახდენ ხოლმე. ისე კი, როცა ბიჭები ჩემი პროფესიის შესახებ იგებენ, შიშით არ ეშინიათ, მაგრამ ძალიან უკვირთ. თავიდან ჩვენი ბიჭებიც, ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე, ცოტა არასერიოულობზად აღგვიქვამდნენ გოგონებს, დანარჩენი ორი გოგონა, თამარ შიოშვილი და ეკატერინე ქვლივიძე, ჩემზე პატარები არიან, თუმცა ამ დამოკიდებულებას არ გვაგრძნობინებდნენ, პირიქით, მხარში გვედგნენ. მერე მიხვდნენ, რომ მათზე არანაკლებ სერიოზულად ვეკიდებოდით საქმეს და ახლა რეაქცია აღარ აქვთ იმაზე, რომ ქალები ვართ. სხვათა შორის, თამარის მეუღლეც სამხედრო პილოტია და ჩვენთან მსახურობს.

**— ნინო, ისე აღტაცებით ლაპარაკობთ ამ ყველაფერზე, ალბათ, ბევრს გაუჩნდება ფრენის სურვილი. თუ არის დღეს სამოქალაქო პირისათვის ამის საშუალება?**

— სამხედრო ავიაციაში ეს არ შეიძლება, მაგრამ ნატახტარში არის ამის შესაძლებლობა, იქ მარტო სამხედრო მფრინავების მომზადება არ ხდება. ჩვეულებრივი სამოქალაქო აეროდრომია, შეგიძლიათ მოელაპარაკოთ ინსტრუქტორს, გაივლით სამედიცინო შემოწმებას, გადაიხდით საფასურს და აიხდენთ ფრენის სურვილს. სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ იფრინოთ „ბეკასით" ან „სესნათი".

ნინო მამუკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საავიაციო ტყვიამფრქვევები და ქვემეხები



(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ №14 - 15)

მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტური გერმანია უმეტესად მსხვილკალიბრიან ტყვიამფრქვევებს იყენებდა. ჯერ კიდევ 1938 წელს გერმანულმა საიარალო ფირმა Rheinmetall AG-მ ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების დაკვეთით მსხვილკალიბრიან ტყვიამფრქვევზე დაიწყო მუშაობა, რომელიც პერსპექტიული 13X64მმ-ის კალიბრის ვაზნაზე იყო



13მმ-იანი გერმანული MG-131-ის ტიპის ქვემეხი

გათვალისწინებული. ერთწლიანი მუშაობის შემდეგ გაჩნდა კუთხვილლულიანი MG-131, რომლის ავტომატიკაც ლულის მცირე ბიჯით გადაადგილებაზე მუშაობდა, მისი კვება კი ორმხრივი ლენტით ხდებოდა. ტყვიამფრქვევის საბრძოლო კომპლექტში ჯავშანგამტანი-ტრასირებადი (წონა 38.5გ) და ფუგასურ-ტრასირებადი (34გ) ტყვიები შედიოდა. სროლისთვის ელექტროამძრავი გამოიყენებოდა. 1940 წლის მეორე ნახევარში ტყვიამფრქვევი სეირულ წარმოებაში ერთდროულად სამ ვარიანტად ჩაუშვეს: ფრთის, ტურელური და სინქრონული. პოპულარობა მხოლოდ ორმა უკანასკნელმა ვარიანტმა მოიპოვა. ტყვიამფრქვევის სიგრძე 1170მმ-ს შეადგენდა, საიდანაც 550მმ ლულაზე მოდიოდა. ის მხოლოდ 17კგ-ს იწონიდა და ტყვიის საწყისი სიჩქარე 750-800მ/წმ-ს შეადგენდა, სწრაფსროლა კი წუთში 800-900 გასროლას უტოლდებოდა.

Bf-109-ის ტიპის გამანადგურებლებზე სინქრონული MG-131-ები 7.92მმ-იან MG-17-ებს ჩაენაცვლა. სინქრონულ ვარიანტში ტყვიამფრქვევი Bf-109G-6, Fw-190A-8, Fw-190D-0 და Fw-190F-4-ის ტიპის გამანადგურებლებზე გამოიყენებოდა, ტურელურ ვარიანტში Ju-88, Ju-388, He-177-ისა და Me 410-ის ტიპის ბომბდამშენებზე. ამ უკანასკნელს დისტანციურად მართვად ტურელებზე აყენებდნენ.

13მმ-იანი ტყვიამფრქვევი საკმაოდ გამძლე გამოდგა. მისი ექსპლუატაციისას მწყობრიდან გამოსვლის ან მექანიზმების გაჭედვის შემთხვევები, პრაქტიკულად, არ ყოფილა. მაგრამ ამავდროულად მას საკმაოდ რთული კონსტრუქციული სქემა ჰქონდა და მთავარი ნაკლი დეტალების დიდი რაოდენობა იყო, რაც ართულებდა მისი დაშლა-აწყობის პროცესს. სხვათა შორის, ეს ტყვიამფრქვევი იაპონელებს იმდენად მოეწონათ, რომ 1942 წლიდან ნიშნულით Type II მისი ლიცენზირებული წარმოება დაიწყეს.

მეორე მსოფლიო ომის დასაწყისისთვის ევროპასა და ამერიკაში სინქრონულმა დანადგარებმა ნელ-ნელა პოზიციის დათმობა დაიწყეს, რაც იმ გარემოებით იყო განპირობებული, რომ სინქრონულ იარაღს არ შეეძლო სრული სწრაფსროლის განვითარება, რადგან მისი სროლის ტემპი სინქრონიზატორის იმპულსების სიხშირეზე იყო დამოკიდებული; ანუ სროლის სიხშირე საჰაერო ხრახნის ბრუნვის სიხშირეზე იყო დამოკიდებული და ძრავას მუშაობის ზოგიერთ რეჟიმზე არასინქრონულ იარაღთან შედარებით სწრაფსროლა 40%-ით ეცემოდა. სინქრონული ამძრავის ძლიერი ვიბრაციის გამო იარაღის თვითნებურად გასროლის შემთხვევები იშვიათი არ იყო. ხშირად გაფთრებულ ბრძოლაში, ძრავას მუშაობის რეჟიმების ცვლილებისას, მფრინავს ავიწყდებოდა იმ ზღვრული ბრუნთა რიცხვის შესახებ, რომლის იქითაც სინქრონული იარაღის სროლა დაუშვებელი იყო. როგორც წესი, ასეთი შემთხვევები ხრახნის დაზიანებით მთავრდებოდა. უმეტესწილად ეს ზღვარი ძრავას ლილვის წუთში 1300-დან 2400 ბრუნამდე მერყეობდა.

ამასთან, საბრძოლო თვითმფრინავების გაზრდილმა სიცოცხლისუნარიანობამ საცეცხლე წერტილების რაოდენობის გაზრდა განაპირობა. სინქრონულ ვარიანტში კი მაქსიმუმ ოთხი საცეცხლე წერტილის გამოყენება იყო შესაძლებელი. ამიტომაც ინჟინრები ტყვიამფრქვევების განსათავსებლად ფრთას ანიჭებდნენ უპირატესობას, სადაც 8-12 საცეცხლე წერტილის განთავსება იყო შესაძლებელი. ამერიკელები და ბრიტანელები პირველები იყვნენ, რომლებმაც გამანადგურებლების ფრთებში ერთდროულად რამდენიმე ტყვიამფრქვევი განათავსეს.

მეორე მსოფლიო ომის დროს ყველაზე დიდი პოპულარობა მსხვილკალიბრიანმა საავიაციო ტყვიამფრქვევებმა ამერიკაში მოიპოვეს.

1918 წელს ცნობილმა ამერიკელმა მეიარაღე ჯონ ბრაუნინგმა ქვეითებისთვის განკუთვნილ ახალი სახის ტყვიამფრქვევზე დაიწყო მუშაობა, რომელიც პერსპექტიულ ამერიკულ 12.7X99-ის ტიპის (.50 BMG) ვაზნაზე იქნებოდა გათვლილი. ახალი ტყვიამფრქვევი ბრაუნინგის 1917-ის ტიპის ტყვიამფრქვევის ზომებში გაზრდილ ანალოგს წარმოადგენდა და მისი ლულის გასაგრილებლად წყალი გამოიყენებოდა. 1923 წელს ტყვიამფრქვევი აშშ-ის არმიისა და ფლოტის შეიარაღებაში ნიშნულით 1921 მიიღეს. 1932 წელს ტყვიამფრქვევს, რომლის ავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომატიკის მუშაობაც ლულის მცირე ბიჯით გადაადგილების პრინციპზე იყო დაფუძნებული, მოდერნიზაცია ჩაუტარდა, რომელიც მისი მექანიზმებისა და ლულის კოლოფის უნიფიცირებაში მდგომარეობდა, რათა მისი გამოყენება საავიაციო ვარიანტში, გამანადგურებლებზე ყოფილიყო შესაძლებელი. ამ ვარიანტში ლულის გაგრილება მიმწყდომი ჰაერის ნაკადით უნდა მომხდარიყო და ტყვიამფრქვევმა ნიშნული M2 მიიღო. მისი სიგრძე 1653მმ-ს შეადგენდა, საიდანაც 1143მმ ლულაზე მოდიოდა. ტყვიამფრქვევი 38.2კგ-ს იწონიდა და მისი სწრაფსროლა წუთში 450-570 გასროლას შეადგენდა, ტყვიის საწყისი სიჩქარე კი 930მ/წმ-ს.

მაღალი საიმედოობისა და ტყვიის დიდი დამაზიანებელი ეფექტის გამო, ბრაუნინგის მსხვილკალიბრიანმა ტყვიამფრქვევმა მალე დიდი პოპულარობა მოიპოვა და 30-იანი წლების ბოლოს ამერიკელებმა ამ ტყვიამფრქვევებით გამანადგურებლების შეიარაღება დაიწყეს. საავიაციო ვარიანტისთვის ბრაუნინგმა მათ მცირე მოდერნიზაცია ჩაუტარა და მისი ფრთის, სინქრონული და ტურელური ვარიანტები შექმნა. პირველი ამერიკული გამანადგურებელი, რომელზეც ბრაუნინგის მსხვილკალიბრიანი საავიაციო ტყვიამფრქვევები დაყენდა, P-40 Tomahawk იყო. ამ თვითმფრინავის ფრთებში ექვსი ტყვიამფრქვევი იყო დამონტაჟებული — სამ-სამი თითო მხარეს, საბრძოლო კომპლექტი კი თითოზე 281 ვაზნას შეადგენდა. მალევე ამავე სახის იარაღით ორძრავიანი გამანადგურებელი P-38 Lighting-ი შეაიარაღეს. მის ცხვირა ნაწილში ოთხი ტყვიამფრქვევი იყო დაყენებული, 500-ვაზნიანი საბრძოლო კომპლექტით თითოზე. მეორე მსოფლიო ომის დროს ბრაუნინგის მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი აშშ-ის საზღვაო თუ სახმელეთო ბაზირების აბსოლუტურად ყველა გამანადგურებლის შეიარაღების მთავარ სახეობას წარმოადგენდა. მოდიფიკაციიდან გამომდინარე, P-39 Aerocobra-ზე 2 ან 4 ასეთი ტყვიამფრქვევი იყო დაყენებული, P-47 Thunderbolt-ზე — 8 ცალი, P-51 Mustang — 6 ცალი, P-61 Black Widow — 4, F-4U Corsar — 6, F-6F Hellcat — 6.

გამანადგურებლების გარდა, მეორე მსოფლიო ომის დროს ბრაუნინგის მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი ამერიკული ბომბდამშენების ერთადერთ თავდაცვით იარაღს წარმოადგენდა, რისი წყალობითაც მოკავშირეების ბომბდამშენებს შორის ამერიკული თვითმფრინავები ყველაზე უკეთ იყვნენ დაცული. განსაკუთრებით ძლიერი თავდაცვითი შეიარაღება კი B-17 Flying Fortre-ს ჰქონდა. ომის დროს აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში ამ ტიპის ექვსი მოდიფიკაციის ბომბდამშენი იყო: B-17, B-17B/C/D/E და F. თუმცა პირველი ორი მოდიფიკაცია თავდაცვითი შეიარაღების დონის მიხედვით ნაკლებად შეესაბამებოდა თვითმფრინავის მრისხანე სახელწოდებას და ის მხოლოდ ორი 7.9მმ-იანი და ხუთი 12.7მმ-იანი ტყვიამფრქვევისგან შედგებოდა. სამაგიეროდ, E მოდიფიკაციას ცხვირა ნაწილში ერთი 7.9მმ-იანი და ათი 12.7მმ-იანი ტყვიამფრქვევი ჰქონდა. ამათგან ორი შტურმანის კაბინაში იყო დაყენებული, ორ-ორი ზედა და ქვედა მექანიზებულ ტურელებში, ორი თვითმფრინავის უკანა ნაწილის ბორტებსა და ორიც — კუდში. გარდა ამისა, საველე პირობებში დამატებით კიდევ ორ მსხვილკალიბრიან ტყვიამფრქვევებს თვითმფრინავის ცხვირში, უძრავად, წინ სროლისთვის აყენებდნენ. ორი წინა საბორტე ტყვიამფრქვევი შტურმანის კაბინის გვერდითა ფანჯრებში სფერულ სახსრებზე მაგრდებოდა და თითოეულის საბრძოლო კომპლექტი 200 ვაზნას შეადგენდა. ტყვიამფრქვევებს შტურმანი ისროდა და მას წინა ნახევარსფეროს დაცვა ევალებოდა.

ფიუზელაჟის ზედა ზედაპირზე არსებული სფეროს კონსტრუქციის მოძრავი ტურელი, რომელიც ზედა ნახევარსფეროს დასაცავად იყო განკუთვნილი, მფრინავების კაბინის უკან იყო განთავსებული და მას სპეციალურ პლატფორმაზე მდგარი მსროლელი ემსახურებოდა. ტურელში არსებული ტყვიამფრქვევების საბრძოლო კომპლექტი თითო ცალზე 400 ვაზნას შეადგენდა. აზიმუტის მიხედვით ტურელიდან ცეცხლის წარმოება 360-ით, ადგილის კუთხის მიხედვით კი 0-დან 85 გრადუსამდე იყო შესაძლებელი.

ქვედა საცეცხლე ტურელი უშუალოდ ბომბნაკვეთურის უკან მდებარეობდა და E მოდიფიკაციაზე ის ორი ტიპისა იყო: სფერული და დისტანციურად მართვადი ტურელი. პირველი ვარიანტის შემთხვევაში ტურელს მსროლელი უმსახურებოდა, რომელიც სფეროს შიგნით იჯდა და მასთან ერთად ბრუნავდა. აზიმუტის მიხედვით ტურელიდან, რომელშიც ორი მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი იყო დაყენებული, 360-ს, ადგილის კუთხის მიხედვით კი — 90 გრადუსს (ქვევით) შეადგენდა. ამგვარად ეს ტურელი თვითმფრინავის მთელ ქვედა ნახევარსფეროს იცავდა.

დისტანციურად მართვადი ქვედა ტურელის შემთხვევაში კი მისგან 2.2მ-ის მოშორებით სამიზნე სადგური იყო განთავსებული და ტყვიამფრქვევების ლულების გადაადგილება სამიზნე რადიოლოკაციური სადგურის მიერ სამიზნის დაფიქსირების მიხედვით ხდებოდა. ტურელის ორივე ვარიანტის შემთხვევაში საბრძოლო კომპლექტი თითო ტყვიამფრქვევზე 500 ვაზნას შეადგენდა. თუმცა სამიზნე რადიოლოკაციური სადგურის დაუხვეწაობის გამო დისტანციურად მართვადი ტურელი შეზღუდულად გამოიყენებოდა და ბომბდამშენების ეკიპაჟები ტრადიციულ სფეროსებრ ტურელს ანიჭებდნენ უპირატესობას.

ორი უკანა საბორტე ტყვიამფრქვევი ფრთასა და ფრთასხმულობას შორის არსებულ სპეციალურ ლიუკებში თაბაკების საშუალებით მაგრდებოდა. მათთვის ვაზნების მიწოდება რბილი ლენტებით ხდებოდა და თითოეულის საბრძოლო კომპლექტი 400 ვაზნას შეადგენდა. უკანასკნელი საცეცხლე წერტილი თვითმფრინავის კუდში, მიმართულების საჭის

გამანადგურებელ P-38-ის ცხვირში, ბრაუნინგის ოთხი მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი იყო დაყენებული



ეროვნული ბიბლიოთეკა



B-17-ზე ქვედა ნახევარსფეროს დასაცავად განკუთვნილი სპერის კონსტრუქციის სფეროსებრი ტურელი

ქვევით იყო განთავსებული და მას უკანა ნახევარსფეროს დაცვა ევალებოდა.

B-17-ის გარდა, თავდაცვითი შეიარაღების სახით ბრაუნინგის 12.7მმ-იანი ტყვიამფრქვევი B-24 Liberator და B-25 Mitchel-ზე გამოიყენებოდა (შესაბამისად, 10 და 11 ტყვიამფრქვევი). საავიაციო ვარიანტში ბრაუნინგის ტყვიამფრქვევები ორ მოდიფიკაციად იყოფოდა: ტყვიამფრქვევები, რომლებიც მანქანაზე უძრავად მაგრდებოდა, ნიშნულ AN/M2-ს ატარებდნენ და მათი სწრაფსროლა წუთში 750-850 გასროლას შეადგენდა, ხოლო მოძრავად დამაგრებული ტყვიამფრქვევების ნიშნული AN/M3 იყო და მათი სწრაფსროლა წუთში 1200 გასროლამდე იყო გაზრდილი.

ამერიკისგან განსხვავებით, მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიაში მსხვილკალიბრიან ტყვიამფრქვევებთან ერთად გამანადგურებლების შესაიარაღებლად აქცენტი 20 და 30მმ-იან ქვემეხებზეც კეთდებოდა. ჯერ კიდევ 1934-36 წლებში ფირმა Waffenfabrik Mauser-ი ინტენსიურად მუშაობდა ახალ 15მმ-იან საავიაციო ქვემეხზე და მისთვის განკუთვნილ სხვადასხვა ტიპის ჭურვებზე: მსხვრევად-ფუგასური ტრასირებადი, ჯავშანგამტან-ტრასირებადი Pzgr-ი და ქვეკალიბრულ-ჯავშანგამტანი H-Pzgr-ი მტკიცე ფოლადისგან იყო დამზადებული. იმ დროისთვის MG-151-ს უნიკალური მახასიათებლები ჰქონდა და 13მმ-იან MG-131-თან შედარებით უფრო დიდი დამაზიანებელი ეფექტით გამოირჩეოდა. ქვემეხის სიგრძე, რომლის ავტომატიკაც მცირე ბიჯით ლულის გადაადგილებაზე იყო დამყარებული, 1916მმ-ს შეადგენდა, საიდანაც 1254მმ ლულაზე მოდიოდა. მას რვა კუთხვილი ჰქონდა და ის 15x96-ის ტიპის ჭურვებს ისროდა. MG-151-ის სრული წონა 42.7კგ-ს უტოლდებოდა და მისი სწრაფსროლა წუთში 750 გასროლას შეადგენდა. სროლის ეფექტიანი მანძილი 400მ-ს შეადგენდა და მსხვრევად-ფუგასური ტრასირებადი ჭურვისთვის ფრენის საწყისი სიჩქარე 960მ/წმ-ს, ჯავშანგამტან-ტრასირებადისთვის — 850მ/წმ-ს, ქვეკალიბრულ-ჯავშანგამტანისთვის კი 1030მ/წმ-ს. ამის წყალობით ეს ქვემეხი მოწინააღმდეგის მსუბუქად დაჯავშნულ ტექნიკასთან საბრძოლველად მოიერიშე Hs-129-ზე გამოიყენებოდა.

ქვემეხი ლუფტვაფეს შეიარაღებაში 1941 წლის დასაწყისში მიიღეს და პირველი თვითმფრინავი, რომელზეც ის დააყენდა, გამანადგურებელი Bf-109F-2 იყო. 15მმ-იანი ქვემეხი მისი ძრავას ბლოკების ლილვობში იყო ჩამონტაჟებული, მაგრამ ეს ქვემეხი ნაკლებად გამოიყენებოდა, რაც პირველ რიგში 15მმ-იანი ჭურვის არც ისე დიდი დამაზიანებელი ეფექტით გამოირჩეოდა. მართალია, მსხვრევად-ფუგასური ჭურვების გამოყენებამ საგრძნობლად გაზარდა თვითმფრინავის პლანერის დაზიანების ეფექტი, მაგრამ მფრინავებს ეს არასაკმარისად მიაჩნდათ. მიუხედავად ამისა, 1941-42 წლებში Bf-109F მოდიფიკაციის გამანადგურებელმა საბჭოთა ავიაციას პრობლემები შეუქმნა, რადგან 100-200მ-ის დისტანციიდან Pzgr-ის ტიპის ჭურვი გამანადგურებლების მფრინავების სავარძლების დაჯავშნულ საზურგეებსა და მოიერიშე Ил-2-ის ჯავშანკაბინას თავისუფლად ხვრეტდა.

1941 წელს Waffenfabrik Mauser-მა MG-151-ს მოდერნიზაცია ჩაუტარა და მისი მინიმალური გადაკეთებით მის ბაზაზე ახალი 20მმ-იანი ქვემეხი შექმნა, რომელმაც მალევე ნიშნული MG-151/20 მიიღო. კონსტრუქტორებმა ახალი 20x82-ის ტიპის ჭურვი ძველი 15მმ-იანის ბაზაზე მასრის ყელის დიამეტრის გაზრდით შექმნეს, სხვა ზომები კი უცვლელი დატოვეს, თავად ქვემეხში კი მთავარი ცვლილება ლულას შეეხო. ასე გაჩნდა მსოფლიოში პირველი საავიაციო ბიკალიბრული ქვემეხი, რომლის კალიბრის გაზრდა ან შემცირება ლულის შეცვლით იყო შესაძლებელი. MG-151/20-ის სიგრძე 1466მმ-ს შეადგენდა, საიდანაც 1104მმ ლულაზე მოდიოდა. ქვემეხის წონა, სროლის ტემპი და ლულის კუთხვილების რაოდენობა უცვლელი დარჩა, სამაგიეროდ კალიბრის ზრდამ სროლის ეფექტიან მანძილზე იმოქმედა და ის 300-320მ-ით შემოიფარგლა. 1942 წლის დასაწყისიდან 20მმ-იანმა ქვემეხმა გამანადგურებლებიდან თავისი წინამორბედი სრულიად გამოდევნა და ის მხოლოდ ბომბდამშენებზე, თავდაცვითი შეიარაღების სახით გამოიყენებოდა.

Bf-109F-4, G-2, G-4 და G-6 სერიის თვითმფრინავებზე ორ 13მმ-იან მსხვილკალიბრიან MG-131-თან ერთად ის შეიარაღების სტანდარტულ კომპლექტში შედიოდა და ძრავას ბლოკების ლილვობში მონტაჟდებოდა, სადაც მანამდე არსებული 20მმ-იანი MG-FF-ის ტიპის ნაკლებად ეფექტიანი ქვემეხი შეცვალა. გარდა ამისა, F-4 სერიიდან მოყოლებული ორი MG-151/20-ის განთავსება გამანადგურებლის ფრთის კონსოლების ქვევით, სპეციალურ გონდოლებში შეიძლებოდა. Fw-190-ის ტიპის გამანადგურებლის A-2, B-/C-/D-/F-/G სერიის თვითმფრინავებზე ქვემეხის სინქრონული მოდიფიკაცია, 250-ჭურვიანი საბრძოლო კომპლექტით ქვემეხზე, ფრთის ძირეულ ნაწილებში მაგრდებოდა. დაწყებული A-6 სერიიდან კი კიდევ ორ ასეთ ქვემეხს ფრთის კონსოლურ ნაწილში MG-FF-ის ნაცვლად აყენებდნენ.

ახალმა 20მმ-იანმა ქვემეხმა გერმანული გამანადგურებლების საცეცხლე შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გაზარდა. მაგალითად, ორი MG-131-ითა და ოთხი MG-151/20-ით შეიარაღებული Fw-190A-6-ის წამური ზალპი 5.58კგ-ს შეადგენდა. იგივე მაჩვენებელი საბჭოთა გამანადგურებლებისთვის კი საშუალოდ 2.5კგ-ს შეადგენდა.

15 და 20მმ-იანი ქვემეხების გარდა, გერმანელი ინჟინრები 30მმ კალიბრის საავიაციო იარაღზეც მუშაობდნენ, რომელსაც ყველაზე პერსპექტიულად თვლიდნენ. ერთწლიანი მუშაობის შემდეგ ფირმა Rheinmetall-Borsig-ის მეიარაღეებმა 30მმ-იანი ქვემეხი MK-103 შექმნეს, რომლის ავტომატიკაც შერეული სქემის პრინციპით მუშაობდა: ლულის არხის გახსნა და საკეტის შეყენება დამწვარი დენთის აირების წნევის ზემოქმედებით ხდებოდა, რაც ლულაში გვერდითა არხიდან ხვდებოდა, ჭურვის მიმწოდებელი მექანიზმის მუშაობა კი ლულის მცირე ბიჯით გადაადგილების ხარჯზე იზრდებოდა. ქვემეხის სიგრძე 2335მმ-ს შეადგენდა, საიდანაც 1200მმ ლულაზე მოდიოდა. მისი სროლის ტემპი წუთში 425 გასროლას უტოლდებოდა და 30x184-ის ტიპის ჭურვის საწყისი სიჩ-



მაღალი ეფექტურობის წყალობით, 1943 წლისთვის Bf-109-ის ფრთაქვეშა გონდოლებში დამონტაჟებული MG-151/20-ის ტიპის შეიარაღების სტანდარტულ ვარიანტად იქცა

ქარე 710მ/წმ-ს შეადგენდა, სროლის ეფექტიანი მანძილი კი — 380მ-ს. მიუხედავად ამისა, ქვემეხი საკმაოდ მძიმე გამოუვიდა, — ის 143კგ-ს იწონიდა.

MK-103-ის საბრძოლო კომპლექტში მსხვრევად-ტრასირებადი (წონა 440გ), ფუგასური (320გ), ჯავშანგამტან-ტრასირებადი (530გ), ჯავშანგამტან-ცეცხლგამჩენი (455გ) და ჯავშანგამტან-ქვეკალიბრული (350გ) ტიპის ჭურვები შედიოდა. იმ დროისთვის ქვემეხი საკმაოდ ტექნოლოგიური იყო და გერმანული საიარაღო წარმოების მაღალი კულტურის გამო დიდი საიმედოობით გამოირჩეოდა. თუმცა დიდი წონის გამო ერთძრავიან გამანადგურებლებზე ფეხი ვერ მოიკიდა. ამას მისი სახაზინო ნაწილის გაბარიტებიც ემატებოდა, რის გამოც მისი გამანადგურებელ Bf-109 ძრავას ბლოკების ლილვობში დამონტაჟება ვერ მოხერხდა. ორი 143კგ-იანი ქვემეხისა და დამატებით მათი ფრთაქვეშა გონდოლების წაღება ამ გამანადგურებელს არ შეეძლო. ერთხანს ქვემეხით აღჭურვილი ორი ფრთაქვეშა გონდოლით შედარებით მძიმე Fw-190F შეაიარაღეს, მაგრამ მფრინავები მის საფრენოსნო მახასიათებლების გაუარესებას უჩიოდნენ, რის გამოც ახალი იარაღით მხოლოდ რამდენიმე ათეული ასეთი თვითმფრინავი აღჭურვეს. შედარებით ფართოდ MK-103 ორძრავიან მძიმე გამანადგურებელ-ბომბდამშენ Me-410-სა და მოიერიშე Hs-129-ზე გამოიყენებოდა.

1940 წელს მოკავშირეების მძიმე ბომბდამშენებთან საბრძოლველად ფირმა Rheinmetall-Borsig-მა ლუფტვაფესგან ახალ 30მმ-იან ქვემეხზე მიიღო შეკვეთა. ქვემეხის დახვეწა 1942 წელს დასრულდა და როგორც გამოცდებმა ცხადყო, B-17-ისა და B-24-ის ტიპის მძიმე ამერიკული ბომბდამშენის ჩამოსაგდებად საშუალოდ 4-5 მორტყმა, ერთძრავიანი გამანადგურებლის ჩამოსაგდებად კი — ერთი მორტყმაც სავსებით საკმარისი იყო. შედარებისთვის: B-17-ის ჩამოსაგდებად MG-151/20-დან საშუალოდ 25 მორტყმა იყო საჭირო.

MK-108-ს ავტომატიკას ამ კლასის იარაღისთვის საკმაოდ ორიგინალური სქემა ჰქონდა და ის საკეტის თავისუფალ სვლაზე იყო დაფუძნებული, მეთოდზე, რომელიც ძირითადად მსუბუქ ცეცხლსასროლ იარაღში გამოიყენება. მიზეზი კი ის არის, რომ საშუალო კალიბრის იარაღში ლულაში წარმოქმნილმა დიდმა წნევამ შეიძლება საკეტის გაღებისას იარაღი დააზიანოს. MK-108-ის კონსტრუქტორებმა კი ეს პრობლემა საკმაოდ მარტივად, ლულის დამოკლებით გადაწყვიტეს. მისი სიგრძე ისე იყო გათვლილი, რომ საკეტის გახსნის მომენტისთვის ჭურვი ტოვებდა ლულას და მასში არსებული წნევა დაბლა ეცემოდა. თუმცა ასეთ გადაწყვეტილებას თავისი მინუსებიც ჰქონდა: დამოკლებული ლულის გამო იკლო ჭურვის საწყისმა სიჩქარემ, რაც უარყოფითად აისახა მის ბალისტიკაზე — შემცირდა სროლის ეფექტიანი მანძილი. მიუხედავად ამისა, მარტივი კონსტრუქციისა და მაღალი ეფექტიანობის წყალობით მფრინავები ამ ქვემეხით კმაყოფილი იყვნენ. მისი სიგრძე 1057მმ-ს შეადგენდა, საიდანაც 580მმ ლულაზე მოდიოდა. ქვემეხი 58კგ-ს იწონიდა და მისი სროლის ტემპი წუთში 650 გასროლას შეადგენდა. კვება 60 ან 120 ჭურვზე გათვლილი ლენტით ხდებოდა.

MK-108-ის საბრძოლო კომპლექტში, რომელიც 30X90-ის ტიპის ჭურვებს მოიხმარდა, ჯავშანგამტანი, ფუგასური და ცეცხლგამჩენი ჭურვები შედიოდა. თუმცა საჰაერო სამიზნეების გასანადგურებლად ყველაზე ხშირად ეს ორი უკანასკნელი გამოიყენებოდა. ცეცხლგამჩენი ჭურვების დამაზიანებელი ეფექტი, სპეციალური ჰიდროსტატიკური ამფეთქის გამოყენებით საგრძნობლად იზრდებოდა. ის ისე იყო მოწყობილი, რომ მოქმედებაში სითხით შევსებულ მოცულობაში მოხვედრისას მოდიოდა, რისი წყალობითაც ჭურვი შემონაკერთან შეხებისას კი არა, არამედ საწვავის ავზში მოხვედრისას ფეთქდებოდა, რაც, როგორც წესი, თვითმფრინავის აფეთქებით თავდებოდა. ამიტომაც იყო, რომ MK-108-ის გამოყენებისას გერმანელი პილოტები ამერიკულ „მფრინავ ციხესიმაგრეებს" ფრთებში უმიზნებდნენ.

*თემურ პულუზაშვილი*

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

დიდი წონის გამო MK-103-ის ტიპის ქვემეხით მხოლოდ რამდენიმე Fw-190F-ი შეიარაღეს



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავკასიური მოვლენების



ქვეითთა საბრძოლო მანქანა Namer-ი

## სომხეთი

● გაეროს რეგისტრში ჩვეულებრივ შეიარაღებაზე სომხეთის ანგარიშში ნათქვამია, რომ 2008 წელს რუსეთში ნაყიდი იქნა 52 სნაიპერული შაშხანა СВ-98, 32 სპეციალური კარაბინი КС-23, 60 ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნი ГП-30 და 10 ყუმბარსატყორცნი 6Г30. სხვა შესყიდვების შესახებ ერევანი არაფერს ამბობს.

● 2006 წელს ბელორუსიამ სომხეთს 10 122 მმ-იანი ბუქსირებადი ჰაუბიცა Д-30 მიჰყიდა.

## ჩრდილო კავკასია

● ჩრდილო კავკასიაში ახლახან დასრულებულ სწავლება „კავკაზ-2009"-ზე სამხედროები ჯარების მართვის ერთიანი ავტომატიზებული სისტემის გამოცდას გეგმავდნენ, მაგრამ ოფიცერთა მოუმზადებლობის გამო ეს არ მოხერხდა. სისტემა ორი კომპონენტისაგან შედგება: პირველია — „აკაცია", რომლითაც ოპერატიული შტაბი გენშტაბთან არის დაკავშირებული და გამოიყენება საბრძოლო მოქმედებათა გათვლისათვის, ქვედა რგოლებიდან მიღებული ინფორმაციის დასამუშავებლად; მეორეა — „სოზვეზდიე", რომელიც ოპერატიული შტაბიდან ქვედა რგოლებში ბრძანებებისა და სხვა სახის ინფორმაციის გადაცემას უზრუნველყოფს. ორივე კომპონენტი დროის რეალურ რეჟიმში მუშაობს და მონი-

## აზერბაიჯანი

● ბაქოში ისრაელის პრეზიდენტის შიმონ პერესის ვიზიტი ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობაზე რამდენიმე შეთანხმების ხელმოწერით აღინიშნა. ისრაელის ფირმა Aeronautics Defense Systems-მა და აზერბაიჯანის მთავრობამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას მაღალი ტექნოლოგიების ქარხნის მშენებლობაზე, სადაც სადაზვერვო და საბრძოლო დანიშნულების უპილოტო საფრენი აპარატები აიწყობა. საინფორმაციო სააგენტო 1news.az-ის ინფორმაციით, მხარეები, სავარაუდოდ, შეთანხმდებიან სამთო პირობებისათვის იდეალური — ქვეითთა საბრძოლო მანქანის Namer-ის წარმოებაზე. ფირმა ELTA Systems-ი მალე დაიწყებს აზერბაიჯანისათვის თანამგზავრული დაკვირვების სისტემის შექმნას. ისრაელთან სამხედრო თანამშრომლობას საფუძველი შარშან, აგვისტოში ჩაეყარა და პირველივე კონტრაქტი რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის იარაღის შეძენაზე გაფორმდა. მათ შორის იყო 5,56 მმ-იანი ავტომატები TAR 21 Tavor-ი და ვაზნები, კომპანია Soltam-ის წარმოებული 120 მმ-იანი თვითმავალი ნაღმსატყორცნები Aibat-ი, 122 მმ-იანი თვითმავალი ჰაუბიცები Semser-ი, ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები და რადიოაპარატურა.

● აზერბაიჯანის მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა განაცხადა, რომ 2010 წელს გემთსაშენი ქარხნის მშენებლობა დაიწყება, სადაც სამხედრო ხომალდებთან ერთად სამოქალაქო დანიშნულების მცურავი საშუალებები აიგება.

● 2008 წელს ბელორუსიამ აზერბაიჯანს 3 თვითმავალი 203 მმ-იანი ჰაუბიცა 2С7 Пион-ი მიჰყიდა. 2005-06 წლებში ბელორუსიიდან 60 Т-72-ის ტანკია მიღებული.

● აზერბაიჯანის სახელმწიფო სასაზღვრო სამსახური სანაპირო დაცვისათვის თურქული კომპანია Yonca Onuk-ის კომპოზიციური მასალებისაგან აგებული KAAN-33 მოდელის კატარღების შეძენას გეგმავს.

ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქს შეიარაღებაში Т-90А ტიპის თანამედროვე ტანკები გადაეცა



# მიმოხილვა...



2011 წლისთვის რუსები მდინარე ენგურზე აფხაზეთის „საზღვრის“ სრულად გამაგრებას გეგმავენ

ტორზე სურათის ავტომატურად ფორმირებისათვის იყენებს უპილოტო საფრენი აპარატების, სადაზვერვო ჯგუფებისა თუ დამკვირებლებისაგან მოწოდებულ ინფორმაციას და სხვა წყაროებს. სისტემის ჩავარდნა ინფორმაციის არაოპერატიულობამ განაპირობა. მიღებული ინფორმაცია ოპერატორებს ისევ ხელით და თანაც დაგვიანებით შეჰყავდათ. ბრძანებებს გენშტაბის უფროსი რადიოსადგურებიდან ხმით იღებდა. ამასთან, ოფიცრებიც სათანადოდ მომზადებულები არ იყვნენ.

● სწავლება ,,კავკაზ-2009“-ზე რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბმა აგვისტოს ომის გათვალისწინებით ახალი ტაქტიკური მითითებები დაამუშავა. გენშტაბის უფროსის არმიის გენერლის ნიკოლაი მაკაროვის თქმით, ადრე რუსეთის არმია დიდ ომებზე, ხანგრძლივი მობილიზაციის შედეგად ფორმირებული ჯარების მრავალრიცხოვანი მასების დაპირისპირებაზე იყო ორიენტირებული. ახლა თანამედროვე კონფლიქტებს მაქსიმალურად მოკლე დრო და ჯარების სხვადასხვა სახეობის ფართოდ გამოყენება ახასიათებს. აზრი დაკარგა სტაციონარულმა, უმოძრაო თავდაცვამ და ბევრად მეტი მნიშვნელობა მანევრულმა თავდაცვამ შეიძინა. ჯარების მართვის ფორმები სრულიად განსხვავებული თვისებებით დაიტვირთა: ყველა რგოლში მეთაური უფრო მეტად დამოუკიდებელი გახდა და შტაბების მუშაობამ ინტენსიური ხასიათი მიიღო, ხოლო სარდლებს სხვადასხვა სახეობის ჯარების გაერთიანებათა ხელმძღვანელობა მოუხდათ.

● გენშტაბის უფროსის, არმიის გენერლის ნიკოლაი მაკაროვის განცხადებით, სწავლება ,,კავკაზ-2009“-ზე 7 საბრიგადო და 22 საბატალიონო სწავლება ჩატარდა. შეიძლება ითქვას, რომ სწავლებაში ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის ყველა შენაერთი თუ ქვედანაყოფი მონაწილეობდა.

## კონფლიქტური რეგიონები

### აფხაზეთი

● სეპარატისტთა თავდაცვის მინისტრის, გენერალ-პოლკოვნიკ მერაბ ქიშმარიას განცხადებით, მზად არის რუსეთის თავდაცვის სამინისტროსთან ხელმოსაწერი შეთანხმება. დოკუმენტში გათვალისწინებულია პოლიგონების, აეროდრომებისა და კავშირის არხების ერთობლივი გამოყენება, ვარჯიშებისა და სწავლებების ჩატარება.

● რუსეთის საანგარიშო პალატის უფროსის სერგეი სტეპაშინის თქმით, 2011 წლისათვის რუსი მესაზღვრეები აფხაზეთის საზღვარს საქართველოსთან დაცვის ყველაზე თანამედროვე სისტემებით აღჭურავენ და მთლიანად გადაკეტავენ. მისივე აზრით, აფხაზეთში 2011 წლისათვის რუსეთს სასაზღვრო ჯარების ყველაზე თანამედროვე და საუკეთესო სამმართველო ექნება.

### ცხინვალის რეგიონი

● ცოტა ხნის წინ რუსულ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნდა ეროვნული ანტიტერორისტული ცენტრის ხელმძღვანელის, ფედერალური უშიშროების სამსახურის დირექტორის ალექსანდრ ბორტნიკოვის ინფორმაცია, რომ რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურებმა აღკვეთეს იმ დანაშაულებრივი ჯგუფების მცდელობა, რომლებიც აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან ჩრდილო კავკასიაში 170 ერთეულზე მეტი ცეცხლსასროლი იარაღის შეტანას ცდილობდნენ.

*თემურ ჩაჩანიძე*

ცხინვალის რეგიონში იარაღი და საბრძოლო მასალები უხვად მოიპოვება



ეროვნული ბიბლიოთეკა



# პირადი ამოსაცნობი ნიშნების შექმნის ისტორია

## ნაწილი II

კაცობრიობას არაერთი სისხლისმღვრელი ომი გადაუტანია. ეს უპირველესად ცოცხალი ძალის უზარმაზარ მსხვერპლთან იყო დაკავშირებული. მეომარი მხარეები დანაკარგს სისტემატურად აღრიცხავდნენ, რაც საშუალებას აძლევდათ, დაედგინათ, რა ძალას ფლობდნენ. აღრიცხვის ფორმა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარი გახლდათ. ბრძოლაში მიმავალი ჩინგის-ყაენის მეომრები წასვლისას მომცრო ქვებს ტოვებდნენ, ხოლო უკან დაბრუნებულნი, იღებდნენ. დარჩენილი ქვების გროვა დაღუპული მეომრების რაოდენობაზე მიახლოებით წარმოდგენას იძლეოდა. მოგვიანებით საჭირო გახდა დაღუპულ მეომართა იდენტიფიკაციაც.

პირადი ამოსაცნობი ნიშნის შექმნის ორი ისტორია არსებობს: ლეგენდა და დასაბუთებული ფაქტი, ორივე სათავეს ერთი ქვეყნიდან იღებს.



*დასაწყისი იხ. „არსენალი" №15*

ამერიკელ ჯარისკაცთა სარეგისტრაციო ნომრების სისტემა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არ შეცვლილა. ჟეტონზე აღნიშნული ნომერი ჯარისკაცზე შეიცავდა შემდეგ ინფორმაციას: პირველი ციფრი იძლეოდა საშუალებას, გაერკვიათ, ეკუთვნოდა თუ არა ის ნაციონალურ გვარდიას და იყო თუ არა წვევამდელი; მეორე ციფრი მიუთითებდა, თუ ქვეყნის რომელი რეგიონიდან იყო გაწვეული, ხოლო მთლიანად ნომერი სამსახურის დაწყების სავარაუდო დროს აღნიშნავდა.

ჟეტონები, რომელთაც ამერიკელი ჯარისკაცები ვიეტნამის ომში ატარებდნენ, მონელის შენადნობისაგან იყო დამზადებული. შეგხვდებოდათ სხვა მასალისგანაც დამზადებული ჟეტონებიც. სამოციან წლებში სისხლის ჯგუფთან ერთად დაიწყეს რეზუსფაქტორის მითითებაც და, როგორც წესი, მხოლოდ დადებითის — „POS", ამავდროულად მოიხსნა შეზღუდვები აღმსარებლობაზე. მედალიონების ჟღარუნის თავიდან ასაცილებლად შემოიღეს ქარხნული წესით დამზადებული შავი რეზინის „მაყუჩები" (SILENCERS), მაგრამ ჯარისკაცები ხშირად სკოჩს იყენებდნენ. სავალდებულო-სამხედრო ჟეტონებთან ერთად მედალიონების ძეწკვზე ატარებდნენ სხვადასხვა თილისმას, ნიშნებსა და ა. შ. ზოგჯერ ჟეტონის კომპანიონად „ჯიაისთვის" საჭირო ისეთი აუცილებელი

ჟეტონებზე ინფორმაციის სატვიფრი პორტატიული მანქანა





ფეხსაცმლის თასმებში ჟეტონების ჩამაგრება ვიეტნამის ომის დროს დაიწყეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა



60-იანი წლების ჟეტონები: 1. საზღვაო ქვეითის ჟეტონი; 2. სამხედრო-საჰაერო ძალების ჟეტონი; 3. არმიული ჟეტონი; 4. სამხედრო-საზღვაო ფლოტის ჟეტონი; 5. ექსპერიმენტული ჟეტონი მიკროსქემით; 6. ჟეტონი სოციალური დაზღვევისა და სარეგისტრაციო ნომრით; 7. თანამედროვე ჟეტონი, ალუმინის შენადნობი.

ნივთი გვევლინებოდა, როგორიცაა კონსერვისა და ბოთლის გასახსნელი — „P38“. ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმზე ფეხის დაბიჯებისას ან საარტილერიო და საავიაციო დაბომბვისას მებრძოლს ხშირად აფეთქების დარტყმის ტალღა მედალიონს აგლეჯდა, რაც შემდგომში გვამის ამოცნობას ართულებდა. ამის თავიდან ასაცილებლად ბევრი ჯარისკაცი ერთ ჟეტონს ფეხსაცმლის თასმაში იმაგრებდა, მეორეს კი შარვლის ქამარში ან ჯიბეში ინახავდა.

აშშ-ის არმიის თანამედროვე ჟეტონები დამზადებულია იმავე მასალისაგან, რასაც ვიეტნამის ომის დროს იყენებდნენ. ერთადერთი ცვლილება მფლობელის მონაცემებში სარეგისტრაციო ნომერმა განიცადა, 1969 წლიდან სარეგისტრაციო ნომრის მაგივრად დაიწყეს სოციალური დაზღვევის ბარათის ნომრის აღნიშვნა.

დღეს ჟეტონზე მფლობელის ინფორმაციას შემდეგი თანამიმდევრობით წერენ: 1. გვარი; 2. სახელი და ინიციალი; 3. სოციალური დაზღვევის ბარათის ნომერი; 4. სისხლის ჯგუფი, რეზუსფაქტორი; 5. აღმსარებლობა. არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი კერძო ფირმა უშვებს შავი ან წითელი ფერის ჟეტონებს, მაგრამ ისინი ოფიციალურად არ ითვლება.

ჟეტონებზე დატანილი ინფორმაცია სრულ წარმოდგენას იძლევა მის მფლობელზე. ახალი თითქოსდა რა უნდა იყოს, მაგრამ პრაგმატული ამერიკელები უფრო შორს წავიდნენ. უკვე გამოშვებულია ახალი ჟეტონების საცდელი ეგზემპლარები, რომლებშიც მიკროჩიპია ჩამონტაჟებული და გაცილებით მეტ ინფორმაციას შეიცავს მფლობელზე, ვიდრე არსებული ხუთი სტრიქონი. ასევე 90-იანი წლებიდან ლაპარაკია მიკროჩიპის ჯარისკაცის კბილში ჩამონტაჟებაზეც, ვინაიდან სტატისტიკურად დადგინდა, რომ სხეულის ეს ნაწილი ბრძოლაში ყველაზე ნაკლებად ზიანდება. თუმცა ისმის კითხვა: რა რაოდენობის ინფორმაცია უნდა ჩაიწეროს მიკროჩიპზე, რომ ჯარისკაცის ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში იგი მოწინააღმდეგემ თავის სასარგებლოდ არ გამოიყენოს.
წესდების მიხედვით, ჯარისკაცს უფლება აქვს, გააცხადოს მხოლოდ გვარი, სახელი, წოდება და პირადი ნომერი. ამავე დროს „პიროვნების უფლებების ხელშეუხებლობის“ მომხრე ამერიკელებმა მიკროჩიპების საწინააღმდეგო დაუნდობელი კამპანია გააჩაღეს. აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, აშშ-ის არმია 21-ე საუკუნეში სამსახურს ე.წ. „ძაღლის ჟეტონებით“ გააგრძელებს.



## მუშურ-გლეხური წითელი არმიის (PKKA) ჯარისკაცების მედალიონები და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები

*ისევე როგორც სხვა ქვეყნის არმიებში, 1918 წლის 23 თებერვალს შექმნილ მუშურ-გლეხურ წითელ არმიაშიც მედალიონები მეომრის დაღუპვის საიდენტიფიკაციოდ გამოიყენებოდა. 14.08.25 წლის №856 ბრძანების თანახმად, მედალიონი სამხედრო მოსამსახურეს სამხედრო ნაწილში გამოცხადების შემდეგ ეძლეოდა. მედალიონი თასმით მკერდზე სატარებელ 50მმX33მმX4მმ ზომის თუნუქის თხელ კოლოფს წარმოადგენდა და მასში ტიპოგრაფიული წესით დამზადებული პერგამენტის სპეციალური ბლანკი თავსდებოდა. ხშირად პერგამენტის მაგივრად საგაზეთო ქაღალდს იყენებდნენ.*

### 1925 წლის ნიმუშის მედალიონი

1939 წლის საბრძოლო მოქმედების დროს (ფინეთის ომში) გამოვლინდა ნაკლოვანება, რაც მედალიონის არაჰერმეტულობით იყო გამოწვეული. ამის გამო კოლოფში მოთავსებული ბლანკი უვარგისი ხდებოდა და დაღუპული ჯარისკაცის ამოცნობა შეუძლებელი იყო. 1937 წელს ეს მედალიონი ხმარებიდან ამოიღეს, მაგრამ მეორე მსოფლიო ომამდე ცოტა ხნით ადრე საბჭოთა მთავრობა კვლავ დაუბრუნდა მედალიონების იდეას და 1941 წლის 15 მარტს გამოიცა №138-ე ბრძანება





წითელარმიელის წიგნაკი, 1941 წ.

„წითელი არმიის საბრძოლო ვითარებაში დაღუპული და დასაფლავებული პირადი შემადგენლობის აღნიშვნა-აღრიცხვის შესახებ“ და მიიღეს ახალი მედალიონი, რომელიც ებონიტის ექვსწახნაგა პენალს წარმოადგენდა მისახრახნი თავაკითა და მასში მოთავსებული პერგამენტის ორი იდენტური ბლანკით.

ბლანკის შესაბამის გრაფაში აღნიშნული იყო მონაცემები: გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, სამხედრო წოდება, დაბადების ადგილი (რესპუბლიკა, მხარე, ოლქი, ქალაქი, რაიონი, ს.საბჭო, სოფელი), ოჯახური მდგომარეობა, მეუღლის გვარი, სახელი და მამის სახელი, უახლოესი ნათესავები, რომელი სამხედრო კომისარიატის მიერ იქნა ჯარისკაცი გაწვეული, სისხლის ჯგუფი (I-IV). სასტიკად იყო აკრძალული სამხედრო ნაწილის მითითება.

იმის გამო, რომ წითელი არმიის მებრძოლთა ერთი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინარი იყო, მფლობელის მაგივრად ბლანკს ხშირად შტაბის მწერლები ავსებდნენ. ზემოთ ნახსენები ბრძანების 28-ე პუნქტის თანახმად, სავალდებულო იყო დაღუპული მეომრის მედალიონიდან ერთი ბლანკის ამოღება და შტაბში ჩაბარება, ხოლო მეორე ბლანკი მედალიონთან ერთად დაღუპულ მეომართან რჩებოდა. საბრძოლო ვითარებიდან გამომდინარე, ეს პუნქტი არ სრულდებოდა და მედალიონი (ორივე ბლანკითურთ) შტაბში იგზავნებოდა. ხშირად მედალიონი მხოლოდ ერთი ბლანკით გაიცემოდა, ხოლო ახალი მედალიონების გაცემა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც წითელ არმიას 1941 წლის შემოდგომაზე გაუჭირდა, არ იყო რეგულარული. მიუხედავად ქვეყნის ათეისტური იდეოლოგიისა, ცრურწმენა წითელ არმიაშიც არსებობდა. ჯარისკაცებმა მედალიონს „სიკვდილის მედალიონი“ შეარქვეს და ამის გამო არცთუ იშვიათად თავიდან იშორებდნენ ან ებონიტის ცარიელ კაფსულებს ნემსის, ასანთის, თამბაქოსა და სხვა წვრილმანების შესანახავად იყენებდნენ.

1942 წლის ნოემბრის 376-ე ბრძანების თანახმად, წითელ არმიაში მედალიონების ტარების ვალდებულება გაუქმდა, რამაც ომში დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაზარდა.

„სიკვდილის მედალიონების“ ნაირსახეობას სპილენძის ან თითბრისაგან დამზადებული ცილინდრის ფორმის მილაკები წარმოადგენდა, რომლებსაც სახურავები ეხრახნებოდა ან ამისათვის საცობს ხმარობდნენ. საკმაოდ ხშირად მედალიონების უქონლობის გამო ვაზნების ცარიელ მასრებს იყენებდნენ. მასრის საცობად ფანქარი, ხის ნაჭერი ან წვერით მასრაში ჩამაგრებული ტყვია იხმარებოდა. არსებობდა მცირე არტელების მიერ დამზადებული ხის პენალები, რომლებიც უვარგისი იყო.

1941 წლის 7 ოქტომბრის ბრძანებულების თანახმად, რიგითებისა და უმცროს მეთაურთა შემადგენლობისათვის შემოიღეს წითელარმიელის პირადობის მოწმობა, რომელიც სამხედრო ბილეთის ან მიწერის საბუთის მაგივრობას სწევდა. მეომრის გაგზავნა ფრონტზე ამ დოკუმენტის გარეშე სასტიკად იკრძალებოდა.

მოკლული ან ჭრილობისგან გარდაცვლილი წითელარმიელის წიგნაკი ნაწილის შტაბში ან სამკურნალო დაწესებულებაში იგზავნებოდა, სადაც მის საფუძველზე დაღუპული ჯარისკაცების სიას ადგენდნენ.



ებონიტისკაფსულიანი ე.წ. „სიკვდილის მედალიონი“



ეროვნული ბიბლიოთეკა



საბჭოთა კავშირის დროინდელი ოფიცერთა პირადი მედალიონი


მხედრიონელის მედალიონი

მიუხედავად მეორე მსოფლიო ომში მიღებული მწარე გამოცდილებისა, საბჭოთა კავშირი სამხედრო მოსამსახურეების პირადი შემადგენლობის ამოსაცნობი ნიშნებით უზრუნველყოფის საქმეს მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგაც გულგრილად ეკიდებოდა. მხოლოდ 1957 წლის 3 ივლისს მიღებული ბრძანებით კვლავ დაუბრუნდნენ ამ საკითხს და ისიც ნაწილობრივ. ბრძანება მხოლოდ ოფიცერთა შემადგენლობას შეეხო, ხოლო რიგითები ისევ ჯარისკაცის წიგნაკების ამარა დარჩნენ. საბჭოთა ოფიცრებს მედალიონები სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ურიგდებოდათ. ეს იყო ალუმინის ოვალური ფირფიტა. მას გრძივ გამყოფ ხაზზე ღარი გასდევდა, რაც მედალიონს პირობითად ორ ნახევრად ყოფდა. ზედა ნახევარზე აღნიშნული იყო ВС СССР (საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები), ხოლო მეორე ნახევარზე ნომერი, გამოხატული ერთი ასოთი და ექვსციფრა ნიშნით. მედალიონზე არ იყო მითითებული მფლობელის სისხლის ჯგუფი და რეზუსფაქტორი. წესდებით მისი ტარება გათვალისწინებული იყო საველე ფორმის შარვლის სპეციალურ წინა მომცრო ჯიბეში მარჯვენა მხარეს და პირველივე საქამრეზე მწვანე თასმით მაგრდებოდა. თასმის გასაყრელად მედალიონს ნახვრეტი გააჩნდა. ასეთივე მედალიონები ჰქონდა უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ოფიცერთა პირად შემადგენლობას, შესაბამისი სამინისტროების აღნიშვნით. სამხედრო ძალებიდან დათხოვნის შემდეგ ოფიცერი ვალდებული იყო, მედალიონი უკან დაებრუნებინა და ის მის პირად საქმეში ინახებოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ოფიცერთა შემადგენლობას იგივე მედალიონი დარჩა, მხოლოდ ერთი განსხვავებით, — წარწერა МО СССР შეიცვალა ახლით — ВС РОССИЙ (რუსეთის შეიარაღებული ძალები). მოგვიანებით სისხლის ჯგუფი და რეზუსფაქტორი სამხედრო საველე ფორმებზე გადაიტანეს. დღეს რუსეთის არმიაში მედალიონები აქვთ როგორც ოფიცრებს, ასევე კონტრაქტით მომსახურეებსაც.

## ქართული პირადი ამოსაცნობი ნიშნები

90-იანი წლების დასაწყისში შექმნილ ქართულ შეიარაღებულ ძალებს (ეროვნული გვარდია) პან-ი არ ჰქონდა, სამაგიეროდ, ცალკეული საჯარისო შენაერთი „მხედრიონი" თავისი ინიციატივით შექმნილ ჟეტონებს ატარებდა. ჟეტონი მრგვალი ფორმის მედალიონს წარმოადგენდა. მის წინა მხარეს ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი და გველეშაპი იყო გამოსახული, წარწერით „საქართველოს მხედრიონი", ხოლო უკანა მხარეს მფლობელის სახელი და გვარი იყო აღნიშნული. თავდაპირველად 100 ცალი მედალიონი დამზადდა, ხოლო შემდეგ მხედრიონელთა რიცხვის ზრდასთან ერთად მათი რიცხვიც გაიზარდა. მიუხედავად ინფორმაციის სიმწირისა (სისხლის ჯგუფი, რეზუსფაქტორი, პირადი ნომერი), მედალიონმა დადებითი ფსიქოლოგიური როლი მაინც შეასრულა.

შარშანდელმა რუსეთ-საქართველოს ომმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ პირადი ამოსაცნობი ნიშანი ჯარისკაცისთვის აუცილებელია. რეზერვისტებისა და ერაყში მომსახურე ჯარისკაცებისათვის გაცემული ჟეტონების რაოდენობა ზღვაში წვეთი აღმოჩნდა იმ პრობლემის მოსაგვარებლად, რამაც ომის დამთავრებისთანავე იჩინა თავი. დიდ პრობლემად იქცა ჩვენი დაღუპული მეომრების ცხედრების იდენტიფიკაცია. მოგვიანებით, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ჩარევითა და ოსური მხარის „კეთილი ნებით" ქართველი ჯარისკაცების ცხედრებს ექსჰუმაცია გაუკეთდა, რის შემდეგაც ისინი ქართულ მხარეს გადმოსცეს. ამ პროცესში საქართველოს შეიარაღებული ძალების, ცალკეული სამედიცინო ბატალიონის მეომრები მონაწილეობდნენ. მათთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ პან-ი არც ერთ ცხედარს არ აღმოაჩნდა. მხოლოდ პროზექტურაში გადასვენების შემდეგ გახდა შესაძლებელი რამდენიმე ნეშტის ამოცნობა პირადი ნივთებითა ან ტანსაცმელზე შემორჩენილი გვარის აღმნიშვნელი დანაკერით. მუხათგვერდის სასაფლაოზე დაკრძალულ მეომართა ნაწილი კვლავაც ამოუცნობია. მათი იდენტიფიკაციის ერთადერთი საშუალება დნმ-ის ძვირად ღირებული ანალიზის პასუხია, მაშინ როცა მსოფლიოში უკვე 150 წლის წინ შემოღებული და აპრობირებულია პან-ი, რომლის გამოყენების შემთხვევაში ამოუცნობ მეომართა რიცხვი, ალბათ, გაცილებით ნაკლები იქნებოდა.

უკეთესად არის სამხედრო მოსამსახურეების სამსახურებრივი მოწმობის, ე.წ. აიდი-ბარათების საქმე. ის, ფაქტობრივად, ყველა მოსამსახურეს აქვს. ბარათში მითითებულია მფლობელის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, სისხლის ჯგუფი, რეზუსფაქტორი, სქესი, თვალის ფერი და თანამდებობა.

ჯონ ბაიდენის ვიზიტმა კრემლში ზოგიერთი პოლიტიკოსის ცხელი თავი ოდნავ გააცივა, მაგრამ რუსეთის აგრესიული საგარეო პოლიტიკიდან გამომდინარე, გამორიცხული არაფერია. სამხედრო სისტემაში მიმდინარე სასიკეთო ცვლილებები, NATO-ს წევრი ქვეყნების სტანდარტებთან მიახლოება, მნიშვნელოვანია ქვეყნის ძლიერებისათვის.

იმედია, საკითხს, რომელიც თითოეული ჯარისკაცის პან-ით უზრუნველყოფას შეეხება, ჯეროვანი ყურადღება მიექცევა და ჩვენს ცნობიერებაში ცნება „უცნობი ჯარისკაცი", მხოლოდ ვაკის პარკში დაკრძალული მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ქართველი მეომრის საფლავთან იქნება ასოცირებული.

*მიხეილ ხურცილავა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არსენალვორდი



**თარაზულად** 5. გერმანული პისტოლეტი; 6. ვაჭარი, რომელიც ძველად ჯარს მისდევდა ლაშქრობაში და ყიდდა სურსათსა და სხვა წვრილმანს; 7. რაიმე ბუნებრივი დაბრკოლების ბრძოლით გადალახვა; 10. ხმლის ან ხანჯლის ბუდე; 13. საწვიმარი; 14. ისრაელის სამხედრო-საზღვაო ფლოტის კატარღა; 15 მექსიკის დედაქალაქი; 17. ბელგიური რევოლვერი; 18. ფრანგული რევოლვერის „მანიურენის" მოდელი; 20. იტალიური პისტოლეტი; 22. რუკების კრებული; 23. ჯარის ნაწილი, გამოყოფილი გარკვეული საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად; 25. ამერიკის შტატი; 27. ქრისტეფორე კოლუმბის ერთ-ერთი გემი; 28. ავსტრიის დედაქალაქი; 29. აშშ-ის სახმელეთო ჯარების ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსი; 30. ფრანგული საავიაციო რაკეტა ჰაერი-ჰაერი ტიპის.

**შვეულად** 1. არგენტინული პისტოლეტი; 2. გერმანული ტანკი; 3. ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობა ძველ საბერძნეთში; 4. ვაშლის ღვინო; 7. გენერლის უმაღლესი ჩინი მეფის რუსეთში; 8. ესპანური ავტომობილი; 9. სინამდვილე; 11. ავღანეთის დედაქალაქი; 12. შებრძოლება, შეჭიდება; 16. დიდი საზღვაო გემი; 17. გერმანული რევოლვერი; 19. ძვირფასი სასადილო; 21. რუსული თვითმფრინავი; 23. ამერიკული პისტოლეტის „რემინგტონის" მოდელი; 24. სერბული პისტოლეტი; 26. ესპანური პისტოლეტის „გაბილონდოს" მოდელი.

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის" პასუხები:* ***თარაზულად:*** 5. თემურლენგი; 6. იოვანოვიჩი; 7. პენტაგონი; 10. ამანათი; 13. რენომე; 14. ინდიგო; 16. იტალია; 18. ვარამი; 19. გალიფე; 21. ლაბაძე; 22. ტერმინატორი; 27. რაინმეტალი; 29. ონი; 30. კიტელი; 31. მაია. ***შვეულად:*** 1. ვექტორი; 2. ყუმბარა; 3. გელოვანი; 4. თიქრითი; 7. პერშინგი; 8. ნინძა; 9. გრენადერი; 11. მაკიაველი; 12. თარგამაძე; 15. დარაბა; 17. ლუი; 20. ლოები; 23. მამფალი; 24. ნატო; 25. ტალანტი; 26. ფრანკო; 28. ეტა.

# Carl Gustaf-ი — 50 წელი შვედეთის არმიის არსენალში

## შვედეთის მეფის „სეხნია“ ნახევარი საუკუნის შემდეგაც იბრძვის ავღანეთში



მეორე მსოფლიო ომში გერმანული Panzerfaut-ებისა და ამერიკული „ბაზუკების“ წარმატებულმა დებიუტმა შვედ კონსტრუქტორებს ყუმბარსატყორცნის შექმნისკენ უბიძგა.

1948 წელს შვედეთის არმიის შეიარაღებაში შევიდა მრავალჯერადი გამოყენების ყუმბარსატყორცნი Carl Gustaf-ი, რომლითაც 84 მმ კალიბრის ყუმბარების სროლა შეიძლებოდა.

შვედეთის მეფის პატივსაცემად დარქმეული სახელი ყუმბარსატყორცნმა გაამართლა, რადგან მალე კიდევ ბევრმა ქვეყანამ მიიღო შეიარაღებაში.

„კარლ გუსტავი“ გამოირჩევა მარტივი კონსტრუქციით, თუმცა თითქმის იმავე პერიოდში შექმნილი საბჭოთა РПГ-2-სგან, მით უმეტეს, РПГ-7-სგან, მნიშვნელოვანდ განსხვავდება.

РПГ-7 ზეკალიბრის რეაქტიულ ჭურვს ისვრის. ამ ჭურვის წინა საბრძოლო ქობინის კალიბრის გაზრდა უპრობლემოდ შეიძლება. ამ ტექნიკურმა გარემოებამ საბჭოთა კონსტრუქტორებს საშუალება მისცა, შეექმნა გაძლიერებული კუმულაციური ეფექტის მქონე და ასევე ორთავიანი რეაქტიული ჭურვები,

„კარლ გუსტავში“ კი ეს შეუძლებელია. თუკი РПГ-7-ში რეაქტიული ჭურვი წინიდან იდება, შვედური ყუმბარსატყორცნის მილის უკანა მხარე გვერდზე უნდა გადასწიოი და ისე ჩადო ყუმბარა, რაც, გამორიცხავს ამ ყუმბარის კალიბრის გაზრდას.

განსხვავებულია „კარლ გუსტავისა“ და РПГ-7-ის გასროლაც. РПГ-7-ში ჩადებული ჭურვის ბოლოში რეაქტიული ძრავის პატარა საქშენებია, რომლებიც რეაქტიული ჭურვის მსროლელისგან რამდენიმე მეტრით დაშორების შემდეგ ირთვება. მანამდე კი ყუმბარსატყორცნის მილში ამოქმედდება გამომგდები მუხტი (ის გასროლის წინ იხრახნება რეაქტიული ჭურვის ბოლოში), რომელიც თითქმის მთლიანად იწვის.



Carl Gustaf M3

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩვენი დოსიე: მოდერნიზებული Carl Gustaf m/86-M3-ის კალიბრი 84 მმ-ია, სიგრძე 1130 მმ და 9,5 კგ-ის იწონის.

სროლის ეფექტიანი მანძილი მოძრავ სამიზნემდე 150-მდეა, ხოლო უძრავზე — 700 მ. აქტიურ-რეაქტიული გასროლით უძრავი მიზნის დაზიანება 1000 მ-ზეც შეიძლება.

თანამედროვე კუმულაციურქობინიანი ყუმბარა მიზნის დინამიკური დაცვის გარღვევისა და 500 მმ სისქის მონოლითური ჯავშნის გახვრეტის საშუალებას იძლევა.



RPГ-7-ი „კარლ გუსტავთან“ შედარებით უფრო პრაქტიკულა ბრძოლის დროს

„კარლ გუსტავში“ კი უკანა მხრიდან, ფაქტობრივად, ისეთივე უნიტარული ჭურვი იდება, როგორიც ქვემეხში, თუმცა უკუცემა არა აქვს. ჭურვი შედგება თავად ყუმბარისგან, რომელიც ალუმინის ჰილზაშია ჩასმული. ჰილზის ბოლო პლასტმასისაა, კაფსულა კი ჰილზას ძირის ნაცვლად გვერდით აქვს დაყენებული. სასხლეტის გამოკვრისას საცემი კაფსულს ურტყამს, დენთის აფეთქებისას ჰილზის პლასტიკური ძირი საჭირო წნევას უზრუნველყოფს, რომ

შვედური ყუმბარსატყორცნი მალაიზიის არმიის შეიარაღებაში






მრავალფეროვანი გასროლები „კარლ გუსტავი“-სთვის

ყუმბარა წინ გავარდეს. პარალელურად, დამწვარი დენთის ნაკადი უკან გაიტყორცნება და რეაქტიული მომენტების განეიტრალება ხდება. შესაბამისად, ყუმბარსატყორცნის მსროლელი უკუცემის ძალას ვერ გრძნობს.

მართალია, „კარლ გუსტავის“ უნიტარული გასროლა РПГ-7-ის რეაქტიულ ჭურვზე უფრო მარტივი პრინციპით მოქმედებს, მაგრამ შვედური ყუმბარსატყორცნი უფრო მოუქნელია. თუნდაც იმიტომ, რომ მისი გადატენისთვის აუცილებელია მილის უკანა ნაწილის — საქშენის გვერდზე გადახსნა, რაც აუცილებელს ხდის, რომ „კარლ გუსტავს“ ორი მებრძოლი მოემსახუროს. РПГ-7-ის გათვლაშიც მსროლელის გარდა დამხმარე მებრძოლიც შედის, მაგრამ ბევრი დამერწმუნება, რომ РПГ-7-ის ეფექტიანად გამოყენება ერთ მებრძოლსაც არ გაუჭირდება.



სამაგიეროდ, „კარლ გუსტავის“ გასროლები გამოირჩევა მრავალფეროვნებით. ბოლო 10-15 წელია, რაც РПГ-7-ისთვის მსხვრევად-ფუგასური და თერმობარული ქობინიანი რეაქტიული ჭურვების გამოშვება დაიწყეს, თორემ 30 წელი იქნება, რაც РПГ-7 მხოლოდ ტანკსაწინააღმდეგო კუმულაციურქობინიან რეაქტიულ ჭურვებს ისროდა, რაც უეფექტო იყო მოწინააღმდეგის ქვეითებთან საბრძოლველად.

„კარლ გუსტავს“ კი თავიდანვე შეუქმნეს როგორც კუმულაციური, ისე მსხვრევად-ფუგასური, შრაპნელიანი, ცეცხლგამჩენი, საკვამლე და მანათობელი უნიტარული გასროლები.

გასული საუკუნის 80-იან წლებში „კარლ გუსტავს“ მოდერნიზაცია ჩაუტარდა. მისი რკინის მილი კომპოზიციური მასალებისგან დამზადებულით შეიცვალა, რამაც მასა 14 კგ-დან 9,5 კგმდე შეამცირა. მიუხედავად ამისა,



შვედური ყუმბარსატყორცნის დასატენად აუცილებელია მილის უკანა მხარის-საქშენის გვერდზე გადახსნა

„კარლ გუსტავი“ რკინისმილიან РПГ-7-ზე მაინც 3 კგ-ით მეტს იწონის.

შვედური ყუმბარსატყორცნის განმასხვავებელი ნიშანი ისიცაა, რომ მილის შიდა ზედაპირი დახრახნილია თითქმის ისევე, როგორც ცეცხლსასროლი იარაღის ლულა, რაც გასროლილ ყუმბარას ფრენის სტაბილირების უნარს უმატებს.

მოდერნიზებული Carl Gustaf M3-ისთვის შექმნეს აქტიურ-რეაქტიული გასროლები, რომლებიც კონსტრუქციით ჰგავს РПГ-7-ის ПГ-7В ტიპის რაკეტულძრავიან გასროლას. აქტიურ-რეაქტიული გასროლის რაკეტული ძრავა მსროლელისგან 10-20 მ-ის დაშორებით ირთვება.

„კარლ გუსტავი“ კვლავ რჩება რამდენიმე ათეული ქვეყნის არმიების შეიარაღებაში, მათ შორის აშშ-ში, ინდოეთში, ბელგიაში.

*ირაკლი ალადაშვილი*




# Carl Gustaf M3

არსენალი

ISSN 1987 - 5061

6 63/30